აჭარაში პრივატიზაცია დაიწყება A4

დედოფალი ნაქურდალი გვირგვინით B5

გულახდილად B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 22 მაისი, 2004 წელი. №120 (669)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

ახალ ჰიმნს პარლამენტმა "მწვანე შუქი" აუნთო

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მას შემდეგ შევა ძალაში, როგორც კი მას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოაწერს ხელს.

A3

ეკონომიკა

ფინანსურმა პოლიციამ "საქართველოს თამბაქოს წარმოების" შემოწმება დაიწყო

თამბაქოს ბაზარზე ლეგალიზაციის მასშტაბები საგრძნობლად შემცირდა, ბაზარი კვლავ კონტრაბანდულმა სიგარეტმა გააჯერა. სავაჭრო ქსელში დიდი ოდენობით ადგილობრივი წარმოების უაქციზო სიგარეტი და რუსულაქციზიანი იმპორტული სიგარეტის რეალიზაცია ხდება.

A4

უცხოეთი

"გაზპრომი" "ბელტრანსგაზის" ხელში ჩაგდებას ცდილობს

ბელარუსის გაზის სახელმწიფო კომპანია "ბელტრანსგაზი", რომლის მილსადენების მეშვეობით ხდება რუსული გაზის ექსპორტი ევროპაში, რუსეთის გაზის მონოპოლიამ "გაზპრომმა" ამოიღო მიზანში და კომპანიის ჩალის ფასად შეძენა სურს.

A5

საზოგადოება

იქ, სადაც ავადმყოფები კვდებიან!

იქ, სადაც ავადმყოფები კვდებიან, გუშინ იმყოფებოდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი. სტაციონარად გადაკეთებული რკინიგზის ტუბდისპანსერიდან იგი თავზარდაცემული გამოვიდა.

A6

სამართალი

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" გენერალური პროკურატურის ქმედებას აპროტესტებს

საგზაო პოლიციის კორუფციულ საქმიანობაზე ხმაური ჯერ კიდევ კობა ნარჩემაშვილის მინისტრობის დროს ატყდა, უფრო ზუსტად, ანტიკორუფციულმა საბჭომ იხმაურა და, ფაქტობრივად, უშედეგოდ - კობა ნარჩემაშვილმა დავით კობახიძე თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლა.

A6

ამინდი

თბილისი	26	☼
ქუთაისი	28	☼
ბათუმი	26	☼
სოხუმი	26	☼
ფოთი	27	☼
თელავი	24	☼
ზუგდიდი	29	☼
გორი	25	☼
ახმეტა	25	☼
ჭიათურა	27	☼
გაგრა	25	☼
სამტრედია	28	☼

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9200
ევრო	2.3048
გირვანქა სტერლ.	3.4272
რუბლი	0.0662

სოხუმის ბუნდოვანი მომავალი

სოხუმში პანიკა მატულობს. როგორც ჩანს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას სოხუმში ვიზიტმა და მისგან გაჟღერებულმა გარანტიებმა თავდაუსხმელობის შესახებ აფხაზებს შიშის გრძნობა ოდნავაც არ გაუნელა. გუშინ აფხაზურ ვებ-გვერდებზე გამოჩენილი ინფორმაციებით თუ ვიმსჯელებთ, სოხუმში სულ უფრო მეტი ადამიანია შეშფოთებული საკუთარი ბედით. ხოლო ოფიციალური პირები კვლავ აცხადებენ, რომ აფხაზეთი თავდაცვისთვის ემზადება. ერთი სიტყვით, სოხუმი საკუთარი ინფორმაციული პოლიტიკით იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ აფხაზეთი საფრთხეშია.

თამარ მჭედლიშვილი

საგულისხმოა, რომ პირველი ინფორმაციები აფხაზურ საინფორმაციო ვებ-გვერდებზე გუშინ მხოლოდ დღის მეორე ნახევრისთვის გაჩნდა. თუმცა, აფხაზი ჟურნალისტები თუ სოხუმის ხელისუფლების "პიარშიკები" მხოლოდ ქართული თუ რუსული ვებ-გვერდებიდან აღებული მასალების გამოქვეყნებით შემოიფარგლნენ. გუშინ არ გამოქვეყნებულა არც ერთი აფხაზი ჟურნალისტის ანალიტიკური სტატია, რომელიც სოხუმში გოგა ხაინდრავას ვიზიტს ეხმაურებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ქუთაისელები გუბერნატორის გადადგომას ითხოვენ

ბექა სისაური
ქუთაისი

"იმერეთს მუმლაძე არ ეკადრება! მიშა გღალატობენ! ძირს კლანური მმართველობა! მუმლაძე წადი," - *ასეთი კატეგორიული მოთხოვნებით გუშინ ქუთაისის მერიის წინ 200-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა და მხარის რწმუნებულის დათო მუმლაძის გადადგომა მოითხოვა. აქციის მონაწილეთა კიდევ ერთი მოთხოვნა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი გიორგაძესაც ეხებოდა, მომიტინგეები მას უნდობლობას უცხადებდნენ და პრეზიდენტისგან ქუთაისის მერის არჩევნების დანიშვნას მოითხოვდნენ.*

გაგრძელება A3 გვერდზე

ქუთათურები მუმლაძის წინააღმდეგ.

სიმღერაში ყველა ცდუნებას გავუძელი

მაია ჭალაგანიძე

საუბრისას ყველაზე ბევრჯერ გამოიყენა სიტყვები - გული, სიყვარული, ნაღდი. თითქმის არ უხსენებია სიტყვა - ფონოგრამა. საკუთარ ჟანრს როკის ოჯახს მიაკუთვნებს. ეს კი, როკპუბლიცისტების აზრით, პოპმუსიკის ნაწილია, რომელსაც ერთგვარი მუსიკალური სკეპტიციზმი ახასიათებს. თუ გაიხსენებთ, ნიაზ დიასამიძისა და მისი მეგობრების ყველაზე მაგარი "პრომოუშენი" ავტომატურად ხდება რევოლუციების დროს. ეს ჟანრი თუ მიმდინარეობა "როკის ოჯახიდან" პროტესტმა შვა - მუსიკოსების პროტესტმა არსებული გარემოს წინააღმდეგ. დღეს მათ პროტესტებს მუსიკალურ-სოციალური აქციის სახე აქვს. ნიაზს მიაჩნია, რომ უკვე შემდგარი ორი რევოლუცია არის წინაპირობა მესამე, კულტურული რევოლუციისა და ამ გზაზე ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ გამართული ფესტივალი "არტ-გენი" იქნება.

გაგრძელება B1 გვერდზე

ბესო გულაშვილის ფოტო

ნიაზ დიასამიძე სტუმრად გაზეთ "24 საათის" რედაქციაში.

კანის ფესტივალის დღიური

ნესტან ნიჟარაძე
სპეც. კორ. კანიდან

კანის 57-ე საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამა გუშინ სტეფან ჰოპკინსის ფილმის "პეტერ სელერის ცხოვრება და სიკვდილის" ჩვენებით დასრულდა. დღეს საღამოს დახურვის ცერემონიალზე ჟიური გამარჯვებულებს დაასახელებს.

ფესტივალის მუშაობის უკანასკნელი დღეები განსაკუთრებულად დაძაბული და გამძაფრებული მოლოდინით აღსავსე აღმოჩნდა. მითუმეტეს, რომ სწორედ ბოლო დღეებს დაემთხვა იმ რამდენიმე ფილმის ჩვენება, რომელთაც 2004 წლის კანის ფესტივალის შესაძლო პრიზიორთა შორის ასახელებენ.

გაგრძელება B3 გვერდზე



გეილ გარსია ბერნალი პრესკონფერენციაზე.

მეცნიერება სჭირდება ყველას, არა მხოლოდ მეცნიერებს

ნინო ცინცაძე

გუშინ ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზი და სართულების დერეფნები ხალხით იყო სავსე. მათთვის, ვინც დარბაზში ვეღარ ეტეოდა, მიკროფონი სართულებზე იყო დამონტაჟებული, ორატორების სიტყვა ყველას რომ გაეგონა. ასე ერთსულოვნად მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები, ინსტიტუტის დირექტორები და თანამშრომლები მეცნიერებათა აკადემიის სისტემის რეფორმის მთავრობისეულ გეგმას აპროტესტებდნენ.

"ფუნდამენტური მეცნიერებების მიზნობრივად დაფინანსება ნონსენსია"; "ყველამ უნდა გაიგოს, მეცნიერება სჭირდება ყველას, არა მხოლოდ მეცნიერებს"; ფუნდამენტური მეცნიერების შედეგი არ არის საბაზრო პროდუქტი, მაგრამ ის მაინც უნდა ფინანსდებოდეს, რადგან მისი მონაპოვარი მომავალ თაობებს გადაეცემათ, - ასეთი იყო გამომსვლელთა ძირითადი პათოსი.

გაგრძელება A6 გვერდზე

დენის ტარიფის შემცირება შესაძლებელია

მაია ურუშაძე

თბილისის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომისიამ კომუნალური სექტორის ტარიფების განხილვა დაიწყო. კომისიის თავმჯდომარის დავით იოსელიანის ინფორმაციით, დენის ტარიფში არსებობს რეზერვი, რომლის გათვალისწინებითაც, შესაძლოა, ერთი კილოვატსაათის ღირებულებამ დაიკლოს.

მისი თქმით, დღეს იმ ტარიფში, რომლის მიხედვითაც "თელასი" მომხმარებლებს დენის საფასურს ახდევინებს, გათვალისწინებულია ენერგეტიკული დანადგარების ამორტიზაციისა და ცვეთის ხარჯები. ეს კი არასწორია, რადგან ეს ხარჯები იმ თანხებში აისახება, რასაც მომხმარებელი, "ეი-ი-ეს სილკ როუდ ბი-ვი"-ს მიერ "თელასში" თავის დროზე განხორციელებული ინვესტიციის ამოღების მიზნით, ერთხელ უკვე იხდის.

გაგრძელება A3 გვერდზე

რუსეთ-ევროკავშირის სამიტი მოსკოვში

მოსკოვში ევროკავშირის და რუსეთის ლიდერების სამიტი დასრულდა. პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და ევროკომისიის პრეზიდენტი რომანო პროდი თანამშრომლობის "ოთხ სფეროზე" შეთანხმდნენ. კრემლის მესვეურმა ამ სფეროებში შესაბამისი კოორდინატორები უკვე დანიშნა. მიღწეული შეთანხმების თანახმად, ევროკავშირი და რუსეთი აქტიურად ითანამშრომლებენ ეკონომიკის, საერთაშორისო უსაფრთხოების, შიდა უსაფრთხოების და სამართლის და მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროებში.

ვლადიმირ პუტინის განცხადებით, ევროკავშირის ხელმძღვანელებმა ამ სფეროების ჩამოსაყალიბებლად შესაბამისი სამუშაოების დასრულება უნდა დააჩქარონ. **"თანამშრომლობის დაყოვნება ბიზნესის, მეცნიერების და კულტურის სფეროებში არსებული პროექტების რეალიზაციას სერიოზულად შეაფერხებს,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 რეკლამა | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

ევროსტრუქტურებში ინტეგრირება კვლავ ჩვენი მთავარი პრიორიტეტია

17-19 მაისს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პარლამენტის თავმჯდომარეების კონფერენციაში მონაწილეობდა. სიტყვით გამოსვლისას ქალბატონმა ბურჯანაძემ ყურადღება გაამახვილა ევროსაბჭოს და, მთლიანად, ევროსტრუქტურების პოზიტიურ როლზე საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად კვლავ ევროსტრუქტურებში ინტეგრირება რჩება.

კონფერენციის ფარგლებში მიმდინარეობდა ორმხრივი შეხვედრები, სადაც საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე იყო საუბარი. ვიზიტის პირველ დღეს ნინო ბურჯანაძე ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერს შეხვდა. დიალოგის მონაწილეები ევროსაბჭოსთან დაკავშირებით ცოტა ხნის წინათ წარმოშობილ კონფლიქტურ სიტუაციასაც შეეხნენ. "მოხარული ვიქნები, თუ დაძაბულობა დასრულდება და საქართველო გააგრძელებს ინტენსიურ თანამშრომლობას ევროპის საბჭოსთან", - განაცხადა შვრიმერმა. ბურჯანაძემ მას თანამშრომლობისთვის სრული მზადყოფნა აღუთქვა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი ურთიერთობები კიდევ უფრო მჭიდრო და ინტენსიური გახდება. შვრიმერი დაინტერესდა, თუ რა ვითარებაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსთან დაკავშირებით. ბურჯანაძის ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხზე მუშაობს ევროსაბჭოს ვენეციის კომისია და, შესაძლოა, უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტმა მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ავტონომიის სტატუსთან და არჩევნებთან დაკავშირებით.

იმავე შეხვედრისას საუბარი შეეხო ახლად არჩეული პარლამენტის და ევროსტრუქტურების ურთიერთობას. აღინიშნა, რომ პარლამენტში შეიქმნა ახალი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი. აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადებით, მთლიანად უნდა შეიცვალოს ევროსაბჭოსთან ურთიერთობების სტრატეგია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, პარლამენტს უახლოეს ხანებში ევროსაბჭოში ეყოლება ახალი დელეგაცია, რომელიც, ევროსტრუქტურებში ინტეგრირების თვალსაზრისით, შეეცდება, წინანდელზე უფრო ქმედითი და აქტიური იყოს.

ბურჯანაძე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს პიტერ შიდერსაც შეხვდა. დიალოგისას ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ საქართველო მადლობელია იმ ისტორიული გადაწყვეტილების გამო, რომელიც ევროსაბჭომ ჩვენი ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გადავადებასთან დაკავშირებით მიიღო. საუბარი შეეხო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარეების სამმხრივ შეხვედრებს, რასაც ევროსაბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. უახლოეს მომავალში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი ბრუნო ჰალერი სამივე რესპუბლიკაში გეგმავს ვიზიტს. ეს ხელს შეუწყობს კავკასიის სტაბილურობის პაქტზე მუშაობის გააქტიურებას.

ნინო ბურჯანაძისა და რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის სერგეი მირონოვის დიალოგისას ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა იმ პოზიტიურ როლს, რომელიც რუსეთმა აჭარის მოვლენების დროს შეასრულა.

სერგეი მირონოვი რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების საკითხს შეეხო. აღინიშნა, რომ აუცილებელია კონსტრუქციული დიალოგის გაგრძელება სტამბოლის შეთანხმების საფუძველზე და რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის საკითხებზე მოლაპარაკებების დასრულება. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, აუცილებელია, დაიწყოს ჟენევისა და სოჭის შეთანხმებების რეალიზაციის პროცესი, პირველ რიგში კი - გალის რაიონში დევნილების დაბრუნება. ამ შემთხვევაში, რუსეთმა უნდა გამოხატოს კეთილი ნება, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში სერიოზული ფსიქოლოგიური გარდატეხა იქნება. დაისვა ე.წ. კავკასიის ოთხეულის მორიგი შეხვედრის ჩატარების საკითხიც. სერგეი მირონოვის განცხადებით, სასურველია, ეს შეხვედრა შედგეს თბილისში ივნისში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვედრები ჰქონდა საფრანგეთის სენატის თავმჯდომარესთან კრისტიან პონსოლესთან; ასევე, სუუამის ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეების შეხვედრა, სადაც ხაზი გაესვა აღნიშნული ორგანიზაციის ფარგლებში თანამშრომლობის გაფართოების აუცილებლობას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თურქ კოლეგას ბიულენთ არინჩს შეხვდა. სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება ეკონომიკურ პროექტებზეც გამახვილდა. საუბარი შეეხო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს. ნინო ბურჯანაძემ არინჩს თხოვნით მიმართა, მხედველობაში მიიღოს თურქი ბიზნესმენების სავაჭრო ურთიერთობები აფხაზეთის ტერიტორიაზე და მომავალში მსგავსი ფაქტები თავიდან იქნეს აცილებული.

ბურჯანაძესა და შვედეთის პარლამენტის თავმჯდომარეს ბიორნ ფონ სიუდოვს შორის შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს პარლამენტში ევროინტეგრაციის კომიტეტის შექმნას და მის გეგმებს.

გერმანიის პარლამენტის თავმჯდომარესთან ვოლფგანგ ტიერსთან შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა საქართველოში მყარი საინვესტიციო გარემოს შექმნის აუცილებლობაზე. ლატვიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარესთან ინგრიდა უდრესთან შეხვედრისას ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ საქართველომ უნდა გაააქტიუროს თავისი მუშაობა საერთაშორისო საპარლამენტთაშორისო კავშირში, რადგან ეს მისთვის კარგი ტრიბუნა იქნება საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად. უდრესი დაგვპირდა, რომ ლატვიის პარლამენტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა საქართველო უახლოეს პერიოდში გახდეს იმ ევროპული ოჯახის შემადგენელი ნაწილი, რომლის წევრიც ლატვიაა.

24 საათი

ახალი სახეები აჭარის ახალ მინისტრთა კაბინეტში

აბაშიძის რუსეთში გადახვეწის შემდეგ, აჭარის "სეკვესტრირებულ" მინისტრთა კაბინეტში, საბოლოოდ, მხოლოდ ხუთი მინისტრისთვის გამოიძებნა პორტფელი. [illegible]

ლელა მჭედლიძე

კახეთს პანკისიდან ეპიდემია ემუქრება

სულ მალე შესაძლოა კახეთში მწვავე ინფექციურმა დაავადებებმა იჩინოს თავი. ამჯერად რეგიონს საშიშროება პანკისის ხეობიდან ელოდება. წითელას შემდეგ აქ უკვე ტუბერკულოზმაც იჩინა თავი.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში პანკისის ხეობაში არაერთმა დაავადებამ იჩინა თავი. ამჯერად კი აქ მდგომარეობა საგანგაშოა. გასული ერთი კვირის მანძილზე ხეობაში ტუბერკულოზით ათობით ადამიანი დასნებოვნდა. ეპიდემიამ ახმეტის რაიონშიც იჩინა თავი. როგორც პანკისელები ამბობენ, ასეთი დაავადებები მას შემდეგ გახშირდა, რაც საქართველოს საზღვრები ჩეჩენმა ტოლვილებმა გადმოლახეს. აღშფოთებას კი პანკისის ხეობაში ის იწვევს, რომ ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანებს, საზოგადოებასთან აქვთ ურთიერთობა.

ექიმი პტიზიატრი მაია გაბრიელაშვილი აცხადებს, რომ ამ სენით თვეში 15 ადამიანი ავადდება. დაავადების გავრცელების ყველაზე აქტიურ წყაროდ ჰაერწვეთოვანი გზები სახელდება: **"ხველება, დაცემინება და თუნდაც, უბრალო საუბარიც კი საკმარისია იმისთვის, რომ ბაქტერია სხვა ორგანიზმში აღმოჩნდეს",** - გვითხრა მაია გაბრიელაშვილმა.

პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად სპეციალისტები ახმეტაში, საზოგადოებისგან იზოლირებულ ადგილში, სტაციონარის გახსნას ასახელებენ. თუმცა, თავის დროზე რაიონს ტუბდისპანსერი ჰქონდა, მაგარამ უმოქმედობის გამო შენობა გაუქმდა: **"ახმეტაში პტიზიატრის კაბინეტს პროფილაქტიკის საშუალება არ გააჩნია, ხოლო დეზინფექციის მიზნით, სპირტის ან მჟავის გამოყენება უშედეგოა",** - ამბობს გაბრიელაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ტუბერკულოზთან ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში "დოტის" პროგრამა ახორციელებს, რომელთა წყალობითაც ავადმყოფებს მკურნალობა უტარდებათ, მაგარამ, როგორც ექიმები აცახდებენ, ბოლო დროს პრეპარატები სასურველ შედეგს ველარ იძლევა: **"იყო შემთხვევები, როდესაც ავადმყოფმა ამ წამლებით მკურნალობის სრული კურსი გაიარა, მაგარამ ავადმყოფის მდგომარეობა დადებითად არ შეცვლილა",** - ამბობენ ექიმები.

ტუბერკულოზით დაავადებულთა განკურნებას ექვსი თვე სჭირდება. ამიტომ ავადმყოფისთვის ყურადღება და პრეპარატების ინტენსიურად მიღებაა საჭირო, მაგრამ, როგორც ექიმი აღნიშნავს, ხალხის იმის თქმაც ეშინია, რომ ტუბერკულოზი აქვთ: **"ექიმთან მისულ ავადმყოფს, ნაცნობი თუ მოუსწრებს, პირველი იმალება ან ექიმთან მისვლის მიზეზს არ ასახელებს",** - ამბობს პტიზიატრი მაია გაბრიელაშვილი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯანდაცვის სამინისტრომ აღნიშნული პრობლემის დასაძლევად რაიმე ღონისძიება არ გაატარა, ტუბერკულოზი სხვა რაიონებშიც გადაინაცვლებს.

ზვიად რუაძე, შორენა ხანგოშვილი, პანკისიდან

სამართალდამცველები შემოწმებას თავს არიდებენ

აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატსა და ქალაქის სამმართველოში ორი დღის წინ დაწყებული პოლიციელთა ნარკოლოგიური შემოწმება დასრულებულია. რაც ყველაზე საინტერესოა, შემოწმებამდე ასმა პოლიციელმა წინასწარი პატაკით მიმართა ხელმძღვანელობას და ისინი საკუთარი განცხადებების საფუძველზე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. აჭარის შს მინისტრმა დავით ღლონტმა და საქართველოს გენერალური ინსპექციის უფროსმა დავით ჯინჯოლავამ გუშინ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს და ნარკოლოგიური შემოწმების დეტალებზე ისაუბრეს. ღლონტის განცხადებით, შემოწმების შედეგად 9 პოლიციელს ნარკოტიკების მოხმარება დაუდასტურდა, რვა საეჭვო ანალიზი კი თბილისში ხელმეორე შემოწმებისთვის არის გადაგზავნილი.

საქართველოს გენერალური ინსპექციის უფროსის დავით ჯინჯოლავას თქმით, რომელიც უკვე სამი დღეა ბათუმში იმყოფება, გუშინ ინსპექტორი ემზარ ხალვაში დააკავეს, რომელიც 2000 წელს შს სამინისტროში კადრების განყოფილების გამგედ მუშაობდა. ჯინჯოლავას ინფორმაციით, ხალვაშის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში 100-მდე პირს დაურიგდა საგზაო პოლიციელის ფორმა, რომლებიც ყოველგვარი ფორმალური მხარის მოწესრიგების გარეშე ასრულებდნენ საგზაო პოლიციელის მოვალეობას და "ფულს აკეთებდნენ". "ხალვაშს თითოეული მათგანისგან 1000-დან 2000-დოლარამდე თანხა აქვს აღებული. სწორედ ამ ბრალდებების გამო დავაკავეთ ხალვაში", - აცხადებს დავით ჯინჯოლავა.

როგორც გუშინდელ ბრიფინგზე გაირკვა, შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ აჭარის შსს-ში იარაღის გაფორმებასთან დაკავშირებით სერიოზული დარღვევები გამოავლინა. კერძოდ, 397 პირზე უკანონოდ არის გაცემული ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ნებართვა. აქედან, 34 იარაღზე ნებართვა გაცემულია იმ დროს, როდესაც ეს იარაღები იძებნებოდა და საინფორმაციო ცენტრში აღრიცხვაზე იყო. გარდა ამისა, ბათუმის პოლიციაში აღმოჩენილ იქნა გამოსაფხიზლებელი, რომელიც, კანონით, უკვე დიდი ხანია აიკრძალა. "აღნიშნულ გამოსაფხიზლებელში მოთავსებული იყო იატაკში ჩაბეტონებული რკინის ღვედებიანი სავარძელი, ხოლო გამოსაფხიზლებლის კედლებზე ახლაც შეიმჩნევა სისხლის კვალი. ამ დარღვევებზე გენერალური ინსპექცია ოპერატიულად მოახდენს სათანადო რეაგირებას", - აცხადებს შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი დავით ჯინჯოლავა

24 საათი

გიორგი კენჭაძე საპყრობილეში გადაიყვანეს

სამი დღის წინ კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებული პარლამენტის წევრი გიორგი კენჭაძე გუშინ უზენაესი სასამართლოს შენობიდან მეხუთე იზოლატორში გადაიყვანეს. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და ბრალდებულ კენჭაძეს, რომლესაც პარლამენტმა დეპუტატობის იმუნიტეტი მოუხსნა, წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. გიორგი კენჭაძეს გუშინდელ სასამართლო პროცესზე არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. ის ამჟამად დუმილის უფლებით სარგებლობს.

უზენაესი სასამართლოს გუშინდელ გადაწყვეტილებას - გიორგი კენჭაძისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდებას - ბრალდებულის ადვოკატი კანონით გათვალისწინებულ ვადაში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში გაასაჩივრებს.

24 საათი

მამის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის ოპერატიული სამსახურის და გარდაბნის რაიონის პროკურატურის თანამშრომლებმა სოფელ თელეთში მდებარე ხუთმეტრიან ჭაში 43 წლის იოსებ ბატალოვის გვამი აღმოაჩინეს.

ქვემო ქართლის მხარის პროკურორის გია ჯიქიას ინფორმაციით, იოსებ ბატალოვი საკუთარმა შვილმა - 21 წლის კონსტანტინე ბატალოვმა 2 იანვარს ნაჯახით მოკლა. მკვლელობის დროს ოჯახში იმყოფებოდნენ გარდაცვლილის დედა, მეუღლე და ძმა. მათი დახმარებით შვილმა მოკლული მამის ცხედარი ეზოში, ხუთმეტრიან ჭაში ჩამარხა.

უმცროსი ბატალოვი სამართალდამცველებმა გუშინ დააკავეს. მან აღიარა ჩადენილი დანაშაული. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლით, რაც სასჯელს განზრახ მკვლელობისთვის ითვალისწინებს. საქმე საოლქო პროკურატურიდან სამხედრო პროკურატურაში გადაიგზავნა, რადგან მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბატალოვი შინაგანი ჯარის რიგითი იყო.

ინტერ-პრესი

ცეცხლსასროლი იარაღის სამალავი აღმოაჩინეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების თანამშრომლებმა წალენჯიხის რაიონის სოფელ ხოკოდან დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. როგორც რეგიონის უშიშროების სამსახურში აცხადებენ, ამოღებულია სპეციალურად დამზადებული სწრაფი მსროლელი კარაბინი "სკს"-ის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობები, რუსული წარმოებს კარაბინი და სამი "აკმ"-ს ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდებითა და ვაზნებით. წინასწარი ინფორმაციით, იარაღი, სავარაუდოდ, აფხაზეთიდან შეკვეთით არის შემოტანილი და მისი გამოყენების რამდენიმე ვერსია განიხილება. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

პრაიმ-ნიუსი

მერის ახალი შემოვლა

თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელ ავთანდილ დავითაძესთან ერთად რაიონში მიმდინარე მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემები ადგილზე შეისწავლა და მოსახლეობის აზრიც მოისმინა. პირველად ჭიაბერაშვილი ფალიაშვილის ქუჩაზე, კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლთან მდებარე ავარიულ სახლს ეწვია. კორპუსში ამჟამად გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს. შემდეგ ჭიაბერაშვილი მე-9 საავადმყოფოს ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობის კანონიერებითაც დაინტერესდა. **"დედაქალაქში რომ მსგავსი უკანონო მშენებლობები აღარ განხორციელდეს, ქალაქის მერი თვითონ გააკონტროლებს დედაქალაქში ნებისმიერი ახალი მშენებლობის კანონიერებას",** - განაცხადა მან. მოგვიანებით იგი თანმხლებ პირებთან ერთად ყიფშიძის ქუჩაზე მივიდა, სადაც ახალი სკვერის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ვაკის რაიონში არსებული პრობლემების გაცნობის შემდეგ მერმა რესპუბლიკურ საავადმყოფოში რაიონში მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაზარალებული ქალბატონი მოინახულა. 72 წლის ქალბატონს სკვერში მიკროავტობუსი დაეჯახა, რის შედეგადაც სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. **"ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დედაქალაქში, სამარშრუტო ტაქსების მხრივ, სრული ვაკჰანალიაა და ეს პრობლემა სერიოზულადაა მისახედი",** - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ინტერ-პრესი

აქცია გადასახადების შემცირების მოთხოვნით

მოვაჭრეები გზის გადაკეტვას ცდილობდნენ.

გუშინ, დღის პირველ საათზე მცირე მეწარმეებმა, რომლებიც, ძირითადად, დიდუბის ბაზრობის მოვაჭრეები არიან, საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები საქონლის განბაჟების გადასახადის შემცირებას მოითხოვდნენ. მოვაჭრეები შეეცადნენ, გადაეკეტათ გზა "დინამოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე და დროებით შეაფერხეს კიდეც ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

აქციის გამართვა მოვაჭრეებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც სტამბოლიდან მომავალი, განუბაჟებელი საქონლით სავსე ავტობუსი, ტერმინალის გვერდის ავლით, პირდაპირ ბაზრობაზე შემოიყვანეს.

"მცირე მეწარმის უფლებები საქართველოში კვლავ დაუცველია. შევარდნაძის დროინდელი კანონები ჯერ არ შეცვლილა. ადრე მებაჟეებს გარკვეული თანხას ვაძლევდით და ამგვარად გადასახადი არც ისე დიდი გამოდიოდა. პირადად მე გუშინ ჩამოვედი თურქეთიდან და არანაირი წინააღმდეგობა არ შემხვედრია. დღეს კი ათასლარიან საქონელზე 350 ლარს მარტო განბაჟებისას მოითხოვენ. აგერ არის ავტობუსი, რომელიც პირდაპირ ტერმინალიდან მოდის და ჯერ კიდევ დალუქულია. ამას გარდა, ჩვენ კიდევ უამრავი გადასახადის გადახდა გვიწევს. თითო დახლზე რვა ლარია დაწესებული. ყველაფრის გასტუმრების შემდეგ პურის ფული აღარ გვრჩება. გვეუბნებიან, - ფასი მოუმატეთო, არადა ათლარიან მაისურს ორას ლარად ხომ არ გავყიდით", - აღშფოთებულები არიან აქციის მონაწილეები და საბაჟო გადასახადის შემცირებას მოითხოვენ.

გამორიცხული არ არის, ახალმა ხელისუფლებამ გადასახადები, მართლაც, შეამციროს, მაგრამ - რა მიმართულებით და რამდენად, ჯერ გაურკვეველია. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა: **"გადასახადების ოდენობა ახალ საგადასახადო კოდექსში იმისდა მიხედვით დარეგულირდება, თუ როგორ განვითარდება ქვეყანაში შიდა წარმოება".**

თამარ ჯაჯანიძე

ინტელექტუალური საჩუქარი

ვნახოთ, რა თვალით შეხედავენ ახალ წიგნებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია "მოზარდთა ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა" და წიგნის მაღაზია "პარნასმა" დიღომში მდებარე თბილისის №1 ბავშვთა სახლს საჩუქრად წიგნები გადასცეს..

ეს დახმარება, მართლაც, დროული იყო. ბავშვები, რომლებიც, ძირითადად, სკოლის ასაკის არიან, ნამდვილად საჭიროებდნენ სახელმძღვანელოებს. აქამდე მათ ძველი, დახეული წიგნები ჰქონდათ და ისიც არასაკმარისი რაოდენობით. **"ხშირად ერთი სახელმძღვანელოთი რამდენიმე ბავშვი ერთდროულად სარგებლობს და, სანამ ერთი სწავლას მორჩება, მეორეს წაკითხვის სურვილიც კი უქრება,** - ამბობენ ამის თაობაზე იქაური აღმზრდელები, **- აქ 80 ბავშვია; ბევრი კარგად არ სწავლობს და არც სხვა, კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა უყვართ".** კეთილისმსურველებმა კი არა მარტო სასკოლო სახელმძღვანელოებზე იზრუნეს, ბავშვებს უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული გასართობ-შემეცნებითი ლიტერატურაც მიუტანეს.

"ჩვენი მიზანია, ბავშვთა სახლებში შეიქმნას უკეთესად დაკომპლექტებული ბიბლიოთეკები და საქართველოში ყველა ბავშვთა სახლის ბიბლიოთეკას ჰქონდეს ახალ გამოცემული წიგნის ერთი ეგზემპლარი მაინც. ახალგამოცემული და უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული წიგნები მათ კითხვის სურვილსა და სწავლის ინტერესს გაუღვიძებს, - განმარტავს პარნასის დირექტორი, დამფუძნებელი და "მოზარდთა ინტელექტუალური განვითარების ცენტრის" გამგეობის წევრი გია დარსალია, **- ეს ჩვენი მეორე პროექტია. უკვე გადავეცით წიგნები გლდანში მდებარე ბავშვთა სახლს, სახელით - "რწმენა ერთი". იქ 64 ბავშვია. ამ საქმეში ფინანსურ დახმარებას ჯერჯერობით "კოკა-კოლა", "მაკდონალდსი" და ამერიკის საელჩო გვიწევენ. გვინდა, სხვა დონორი ორგანიზაციებიც მოვიზიდოთ".**

ბავშვთა სახლის ბიბლიოთეკაში ახლებთან ერთად, მართალია - ძველი, მაგრამ კარგი წიგნები აღმოვაჩინეთ. შილერს, სტერნს და სერვანტესს იქ, ეტყობა, დიდად არ ეტანებიან. გაცილებით პოპულარული დიუმას და ჰიუგოს რომანებია, თუმცა ბევრი არც მათ კითხულობს. ტელევიზორის ყურება, რომელიც სულ ოთხიოდე არხს უჩვენებს, წიგნის კითხვას ნამდვილად ურჩევნიათ. ვნახოთ, რა თვალით შეხედავენ ახალ წიგნებს - მსოფლიოს ზღაპრებს, მსოფლიოს საოცრებებს, საბავშვო ენციკლოპედიასა და ბევრ სხვა საინტერესო საჩუქარს, რომელიც დღეიდან მათი სახლის ბიბლიოთეკას დაამშვენებს.

თამარ ჯაჯანიძე

პრემიერ-მინისტრი რუსეთში გაემგზავრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ორშაბათს - 24 მაისს, ორდღიანი სამუშაო ვიზიტით რუსეთის ფედერაციაში მიემგზავრება. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს, უშიშროების საბჭოს მდივანს იგორ ივანოვს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარეს მიხეილ ფრადკოვს, ეკონომიკური განვითარების მინისტრს გერმან გრეფს, თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს, მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს, რუსეთის ფედერაციის გაერთიანებული ენერგოსისტემების მმართველობის თავმჯდომარეს ანატოლი ჩუბაისს და "გაზპრომის" მმართველობის თავმჯდომარეს ალექსეი მილერს შეხვდება. პრემიერ-მინისტრის აპარატის ინფორმაციით, შეხვედრებისას საქართველო-რუსეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე, კონფლიქტების გადაწყვეტის შესაძლო გზები და საშუალებები განიხილება.

ზურაბ ჟვანია და მიხეილ ფრადკოვი რუსეთ-საქართველოს ბიზნეს-კონფერენციის მომზადების საკითხებს განიხილავენ, რომელიც თბილისში, უახლოეს მომავალში უნდა გაიმართოს. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში შედიან - პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, საქართველოს პარლამენტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვარლამ კილაძე და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია. **ინტერ-პრესი**

გსეკ-ი ქვესადგურებს გადახურავს

გუშინ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) არეალში მყოფ რეგიონებს რამდენიმე საათით დენი არ მიეწოდებოდათ. მარაგდებოდნენ მხოლოდ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტები. ამის მიზეზი "ენგურჰესში" მე-4 აგრეგატის მწყობრიდან გამოსვლა იყო, რის გამოც ელექტროსისტემას 200 მეგავატი ელექტროენერგია მოაკლდა. საღამოსთვის აგრეგატი გარემონტდა და დენის მიწოდება გრაფიკის მიხედვით აღდგა.

ამის გარდა, გუშინ დილიდან დენი არ მიეწოდებოდა გუდაურსა და ყაზბეგს. შეფერხების მიზეზი დილის 4 საათზე, დუშეთის ქვესადგურში, 110-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის "ჟინვალის" ზეთიანი ამომრთველის აფეთქება იყო. გსეკ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, გამორთულია გადამცემი ხაზი "ანანურიც". გუშინ, აღნიშნული რაიონები ქვესადგურ "მუხრანის ველის" მეშვეობით მარაგდებოდა.

იმისათვის, რომ ქვეყნის ენერგოსექტორში პერმანენტული ავარიების გამომწვევ მიზეზებს, მინიმუმ, ერთი მაინც მოაკლდეს, გსეკ-ი რუსთავის, ბოლნისისა და გარდაბნის ფილიალებში 18 ქვესადგურს გადახურავს. ამ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა განახორციელებს. სამუშაოების დასრულების შემდეგ ქვესადგურის დანადგარებს წვიმა აღარ დააზიანებს, რაც კომპანიის ტექნიკურ დანახარჯებსაც შეამცირებს და ქვესადგურების საიმედოობასაც გაზრდის.

24 საათი

"თელასმა" "კენისი" აღადგინა

"თელასმა" 110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "კენისი" აღადგინა. კომპანიაში მიიჩნევენ, რომ ეს ნაძალადევის რაიონის ელექტრომომარაგებას გააუმჯობესებს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ბოლო ორი წლის მანძილზე ეს ხაზი მთლიანად გაიძარცვა, რის გამოც "თელასს" ამ ხაზის 7,5-კილომეტრიანი მონაკვეთის შეკეთება მოუხდა.

"ხაზის მწყობრიდან გამოყვანამ ქვესადგური "ზღვისპირეთი", საიდანაც ნაძალადევის რაიონი მარაგდებოდა, ცალმხრივ კვებაზე დატოვა, რითაც მისი ელექტრომომარაგების საიმედოობა დააქვეითა," - განაცხადეს "თელასში". კომპანიაში აზუსტებენ, რომ მომარაგების სქემის გაუარესებამ პრობლემები წარმოშვა დედაქალაქის ელექტროგანაწილების ქსელშიც, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. "სისტემაში ენერგოდეფიციტის დროს, რაც, ფაქტობრივად, ძალიან ხშირია, ცენტრალური სადისპეტჩერო ქვესადგურ "ზღვისპირეთს" მკაცრად ზღუდავდა," - აკონკრეტებენ კომპანიაში მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზებს. ამჟამად ნაძალადევის რაიონის ელექტრომომარაგების ნორმალური რეჟიმი უკვე აღდგენილია.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე მიიჩნევს, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის საკითხში მოსკოვი კატეგორიულ, საწინააღმდეგო პოზიციას არ დაიკავებს მოლაპარაკებებზე, რომელიც უახლოეს მომავალში ორ სახელმწიფოს შორის დაიწყება. როგორც გივი თარგამაძემ განაცხადა, საჭიროა, რომ მოლაპარაკებები წარიმართოს არა "პირადი თვალსაზრისით", როგორც ეს აქამდე ხდებოდა, და ასეთ შემთხვევაში, ურთიერთსასარგებლო შედეგების მიღწევა შესაძლებელი გახდება. ამასთან, თარგამაძის აზრით, ნორმალური მოლაპარაკებების შედეგად, შესაძლებელია, შემცირდეს 10-წლიანი ვადა, რასაც რუსეთი ითხოვს ახალქალაქიდან და ბათუმიდან სამხედრო ბაზების გასაყვანად. კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, 3 წელი ნორმალური ვადაა ბაზების გასაყვანად და ამას ნებისმიერი უცხოელი ექსპერტი დაადასტურებს. საქართველო, ასევე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული, გუდაუთის სამხედრო ბაზის საერთაშორისო ინსპექტირებასაც შეეცდება, - განაცხადა გივი თარგამაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ახალციხე. არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატ მესხთა კავშირი" პრეზიდენტის რწმუნებულს სამცხე-ჯავახეთში თამამი გადაწყვეტილებებისკენ მოუწოდებს და ერთი თვის ვადაში, რეგიონის მასშტაბით ძირეული საკადრო ცვლილებების გატარებას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროტესტის მკაცრი ფორმებით ემუქრება. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელ გია მესხელის თქმით, ნოემბრის რევოლუციის შემდეგ რეგიონში მოსახლეობის სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა და არც არაფერი შეიცვლება, სანამ თანამდებობებზე "ძველი კომუნისტების ნაცვლად ახალგაზრდა ადგილობრივი კადრები არ დაინიშნება". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გალი. გალის რაიონის ქართული სოფლებიდან აფხაზეთის ეგრეთ წოდებულ შეიარაღებულ ძალებში პირველი მაისიდან უკვე 15-მდე ქართველი წვევამდელია გაწვეული. მათი უმრავლესობა სოფელ რეფის მცხოვრებია. როგორც ქართველი სამართალდამცავები აცხადებენ, გაწვევა მუქარითა და ძალის გამოყენებით ხდება, რამდენიმე წვევამდელმა კი უკვე მოახერხა ზუგდიდში გადასვლა და აფხაზური ჯარისთვის თავის არიდება. სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების შეიარაღებულ ძალებში საგაზაფხულო გაწვევა პირველ მაისს დაიწყო. გალის რაიონში აფხაზ პოლიციელთა რაზმების შესვლის გამო, ამჟამად იქ გაწვევის პროცესი შეჩერებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი პრეზიდენტ სააკაშვილს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების ძალისმიერი გზით გადაწყვეტისაკენ მოუწოდებს. წერეთლის განცხადებით, "საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, სრული უფლება აქვს, რუსეთის მიერ საქართველოსგან ძალადობრივი და დანაშაულებრივი გზით მიტაცებული ტერიტორიები სამხედრო ძალის გამოყენებით დაიბრუნოს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. წარუმატებელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ "საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ" საკადრო ცვლილებების განხორციელება დაიწყო. პარტიის პოლიტიკური კომიტეტის დღევანდელი გადაწყვეტილებით, "ლეიბორისტული პარტიის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელად დაინიშნა პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრი, დედაქალაქის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ჯიბლაძე. რაც შეეხება ვაჟა შენგელიას, რომელიც დღემდე პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, ასევე პოლიტიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით, გადაყვანილია პარტიის ცენტრალურ აპარატში და დანიშნულია პარტიის კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელად. აღნიშნული სამსახური, რომელსაც აქამდე სარევიზიო სამსახური ერქვა, პარტიის რაიონული ორგანიზაციების მუშაობას გააკონტროლებს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან [illegible], მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია [illegible], დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

სოხუმის ბუნდოვანი მომავალი

პირველი გვერდიდან

ამავე დროს, არ ყოფილა არც ხელისუფლების პირველ პირთა კომენტარები და არც არძინბას პრესსამსახურის ოფიციალური განცხადება.

თუმცა, იმის გასაგებად, თუ რა საერთო განწყობა სუფევს სოხუმში, გადმობეჭდილი მასალების წაკითხვაც კმარა. სოხუმი პანიკურად არის შეშინებული იმით, თუ რა იქნება ახლო მომავალში. ქვეყნდება რუსი პოლიტოლოგებისა და ექსპერტების არასახარბიელო პროგნოზები, რომლის თანახმადაც, აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკას, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. "საქართველო აფხაზეთის ხელისუფლებაში პროგრესული ძალების მოყვანას აპირებს...", "რა გზებს მიმართავს სააკაშვილი საქართველოს შემდგომი გაერთიანებისთვის?", "რა ბედი ელის აფხაზეთს?" - ეს რუსული საინფორმაციო საიტებიდან გადმობეჭდილი სტატიების სათაურებია.

"აჭარაში თბილისის ძალაუფლება აღდგენილია. დამკვირვებლები უკვე იმაზე ბჭობენ, თუ როგორი იქნება პრეზიდენტ სააკაშვილის მომდევნო ნაბიჯები ორ სეპარატისტულ რეგიონთან - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში. ამ ორი ტერიტორიის ლიდერს მიაჩნია, რომ სააკაშვილის ადმინისტრაცია ძალის გამოყენების მომხრეა. თუმცა, ამავე დროს, საქართველოს მთავრობა კვლავ დაჟინებით იმეორებს, რომ, აჭარის მსგავსად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთან მიერთება მშვიდობიანი გზით მოხდება. რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეები ყურადღებით ადევნებენ თვალს საქართველოში მოვლენების განვითარებას. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამ (რომელმაც შეძლო კრემლის ერთ-ერთი მარიონეტის - აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის გადაყენება), ქართულ-რუსულ ურთიერთობებში სერიოზული კორექტივები შეიტანა. რუსეთის ხელისუფლება და ექსპერტები შეშფოთებულები არიან იმით, რომ თბილისის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება კავკასიაში რუსეთის სტრატეგიული პოზიციების შესუსტებას გამოიწვევს... აფხაზეთის ლიდერები შიშობენ, რომ სააკაშვილი "ვარდების რევოლუციის" საკუთარ ფორმულას გამოიყენებს და სოხუმში მასობრივი მიტინგებისა და დემონსტრაციების ორგანიზებას მოახერხებს, რომლის მთავარი მოთხოვნა სოხუმის დღევანდელი ხელისუფლების გადაყენება იქნება... სოხუმის ხელისუფლება, ასევე, თბილისს კოდორის ხეობის მილიტარიზებაში ადანაშაულებს... იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილის ადმინისტრაციამ კონფლიქტის დარეგულირების გეგმა შეიმუშავა, გაურკვეველია, საკმარისი იქნება თუ არა ფედერაციის თაობაზე შეთანხმება იმისთვის, რომ სოხუმის ხელისუფლება თბილისთან კომპრომისზე წავიდეს. დღეისთვის სოხუმი დაჟინებით მოითხოვს საკუთარი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღიარებას. თუმცა, აფხაზების თამამი რიტორიკის მიუხედავად, სოხუმი შეშფოთებულია იმ წარმატებით, რომელსაც სააკაშვილმა აჭარაში მიაღწია..." - ეს რუსულ საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტო "მარკეტინგი და კონსალტინგში" გამოქვეყნებული სტატიის ფრაგმენტია ("რა გზებს მიმართავს სააკაშვილი საქართველოს შემდგომი გაერთიანებისთვის?").

ამავე დროს, აფხაზურ საინფორმაციო საიტებზე გამოჩნდა აფხაზეთში საქართველოს შეჭრის სამხედრო გეგმაც, რომელზეც დე-ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აპელირებს და რომლის თაობაზეც მან გოგა ხაინდრავასთან შეხვედრის დროს ისაუბრა. სოხუმში გოგა ხაინდრავამ ცალსახად განაცხადა, რომ ასეთი "გეგმები" ინტერნეტიდან არის აღებული და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველო, აფხაზეთთან დაკავშირებით, სწორედ ასეთი სცენარით მოქმედებას გეგმავს. ამის მიუხედავად, აფხაზური მედია თავს ვალდებულად თვლის, საკუთარ მოსახლეობას და საზღვარგარეთის პოლიტიკურ წრეებს ამ გეგმის თაობაზე ხშირ-ხშირად შეახსენოს.

ასე მაგალითად, აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ოფიციალურ საინფორმაციო საიტზე ჩნდება პუბლიკაცია სათაურით - "რა ელის აფხაზეთს?" იგი ერთ-ერთი რუსული გაზეთიდან ("სამხედრო-სამრეწველო კურიერი") არის გადმობეჭდილი. მასში, საქართველოსა და აფხაზეთის სამხედრო პოტენციალთან ერთად, განხილულია საქართველოს აფხაზეთში შეჭრის რამდენიმე ვარიანტი. ერთ-ერთი გრაფიკულადაც არის გაფორმებული. მისი ავტორი ვინმე სერგეი მელნიკია.

უნდა აღინიშნოს ისიც, თუ როგორ გულშემატკივრობას იჩენენ აფხაზებისადმი ის რუსი კორესპონდენტები, რომლებიც აფხაზეთის პრობლემის თაობაზე წერენ. მაგალითად, "სოვეტსკაია როსიას" ჟურნალისტი ალექსანდრ ტრუბიცინი, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიბასთან საუბრისას (ინტერვიუ 20 მაისს გამოქვეყნდა), მასზე მეტად აკრიტიკებდა საქართველოს ხელისუფლებას. გულანთებული ჟურნალისტის შეკითხვები ხაჯიბასადმი უკვე შეიცავდა პასუხებს. ასე რომ, პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტს მხოლოდ კვერს უკრავდა. საკმაოდ საინტერესოა ამ ინტერვიუს ერთი ფრაგმენტი, სადაც ჟურნალისტი ჯერ ლტოლვილთა პრობლემაზე საუბრობს, შემდეგ კი აქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს საკმაოდ ბევრი მოქალაქე ტოვებს და აქედან გამომდინარე, რაიონებში უამრავია მიტოვებული კარ-მიდამოები, მაგალითად კი წალკის რაიონი მოჰყავს. და იქვე ასკვნის - **"საქართველოს არასდროს აღელვებდა ლტოლვილთა ბედი - არც ადრე, არც ახლა"**, რასაც ხაჯიბას პასუხი მოსდევს - **"შეუძლებელია ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო..."**

აფხაზურ ვებ-გვერდებზე ბოლო ორი დღის მანძილზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ აფხაზები, ყველაფრის მიუხედავად, სამხედრო თავდაცვის გაძლიერებას მაინც აპირებენ. ნებისმიერი ოფიციალური პირი საქართველოს მხრიდან სამხედრო ოპერაციის შესაძლებლობაზე საუბრობს.

ბუნებრივია, სოხუმისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის პოზიციაც, რომელსაც ცხინვალი დაიჭერს. როგორც სოხუმში მიაჩნიათ, ცხინვალის "აყვირება" ორივე თვითაღიარებული რესპუბლიკის გადარჩენის (მართალია, მინიმალურ, მაგრამ მაინც) შანსს იძლევა. აქედან გამომდინარე, აფხაზურ საიტებზე ისეთი სტატიებიც გამოქვეყნდა (რაღა თქმა უნდა, რუსული საინფორმაციო საშუალებებიდან გადმობეჭდილი), სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სოხუმამდე თბილისი ცხინვალს მოუვლის.

ამასთან ერთად, გუშინ **www.abkhaziya.org**-ზე გამოჩნდა ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარის თეიმურაზ მამსუროვის განცხადება, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული: **იმ შემთხვევაში, თუკი სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოებას საქართველოს მხრიდან საფრთხე დაემუქრება, ჩრდილოეთ ოსეთი სამხრეთ ოსეთის მხარდასაჭერად აუცილებელ ზომებს მიმართავს.**

მოკლედ, აფხაზური მხარე მის ხელთ არსებულ ყველა საინფორმაციო რესურსს იყენებს, რათა მომავალი საფრთხის უგულებელყოფა შეძლოს. სოხუმის პოზიცია ცალსახაა - მას სამშვიდობო მოლაპარაკებების არ სჯერა.

ახალ ჰიმნს პარლამენტმა "მწვანე შუქი აუნთო"

გუშინ პარლამენტმა ქვეყნის ახალი სახელმწიფო ჰიმნი დაამტკიცა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მას შემდეგ შევა ძალაში, როგორც კი მას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოაწერს ხელს. ახალ ჰიმნს პარლამენტში 128 მხარდამჭერი აღმოაჩნდა, წინააღმდეგ კი ხუთმა დეპუტატმა მისცა ხმა.

ძალთა ასეთი ბალანსის მიუხედავად, პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ მაინც სიფრთხილე გამოიჩინა და კანონპროექტი კენჭისყრაზე მხოლოდ სარეიტინგო გამოკითხვის ჩატარების შემდეგ დააყენა.

ოპოზიციამ, როგორც ყოველთვის, საპარლამენტო უმრავლესობა ამჯერადაც რეგლამენტის დარღვევაში დაადანაშაულა და მოითხოვა, რომ მესამე მოსმენით კენჭისყრა მომავალ კვირაში გამართულიყო. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ჰიმნის მიღება სპეციფიკური საკითხია და იგი მუხლობრივ განხილვასა თუ რედაქციულ შესწორებას "არ ექვემდებარება", პარლამენტის ხელმძღვანელობამ "ცოდვის ჩადენა" თავის თავზე აიღო და კანონპროექტს მეორე და მესამე მოსმენით გუშინვე უყარა კენჭი.

გუშინ პარლამენტში კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე ჩატარდა კენჭისყრა. დეპუტატებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს კანონში "სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ". ამ ცვლილებებიდან, უპირველეს ყოვლისა, ის არის აღსანიშნავი, რომ აჭარისა და აფხაზეთის უშიშროების სამსახურები გაუქმებულად ცხადდება. გადაწყვეტილება 127 ხმით, ერთსულოვნად იქნა მიღებული.

ექსპარლამენტარებს ჯიბეებს უმსუბუქებენ

პარლამენტის წევრები თანდათან კარგავენ რესპექტაბელურობისა და მატერიალური უზრუნველყოფის განცდას. ჯერ იყო და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს იმდენად შეუზღუდეს სადეპუტატო იმუნიტეტი, რომ სულ რაღაც 100 ათასი დოლარის გამოძალვისთვის სამართალდამცავები მათ უპრობლემოდ აპატიმრებენ. მალე ამას საპენსიო "რეპრესიებიც" დაემატება, რისი წყალობითაც ექსდეპუტატებს ჯიბეები საგრძნობლად შეუმსუბუქდებათ.

გიორგი ასანიშვილი

გუშინ საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მოიწონა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, პარლამენტართა საპენსიო თანხას სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისთვის გათვალისწინებული 255 ლარი აკლდება და დეპუტატების პენსიაც, შესაბამისად, 750-დან 495 ლარამდე მცირდება.

"სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებისთვის საჭირო თანხა დეპუტატს კონკრეტული საქმიანობისთვის ეძლევა; მაგალითად, ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზებისთვის, ამ შეხვედრებზე გადასაადგილებლად და ა.შ. ყოფილი პარლამენტარები კი ამ ფუნქციებს აღარ ასრულებენ და ამიტომ დამატებით 255 ლარსაც არ უნდა იღებდნენ", - ასე ასაბუთებს დეპუტატების პენსიის შემცირების კანონიერებას კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, დეპუტატი ირინა ქურდაძე.

პარლამენტართა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხში გაცილებით რადიკალური პოზიცია აქვს დეპუტატ კობა დავითაშვილს. მისი განცხადებით, ყველაზე სამართლიანი ის იქნება, თუ პარლამენტარის პენსია რიგითი მოქალაქის პენსიას მიებმება და მინიმალური პენსიის ათმაგი ოდენობით (ანუ 180 ლარით) განისაზღვრება. ვინაიდან საკუთარი ხელფასისა და პენსიის ოდენობას თავადვე ადგენენ, დავითაშვილი კოლეგებს მოუწოდებს, რომ ამ საკითხში ზომიერება გამოიჩინონ.

"ყველას 18-ლარიანი პენსია ჰქონდეს, ამ დროს კი ყოფილმა დეპუტატებმა ყოველთვიურად 500 ლარი (ამჟამინდელ 750-ს რომ თავი დავანებოთ) ჩაიკუჭონ ჯიბეში, დიდი უსამართლობა იქნება", - აღნიშნავს დავითაშვილი.

თუმცა მას, როგორც ჩანს, ავიწყდება, რომ "სინდისზე შეგდება" პარლამენტში არ ჭრის, - კობა დავითაშვილის მიერ გუშინ წარმოდგენილ ალტერნატიულ კანონპროექტს მხოლოდ 10-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი (სხვათა შორის, მათ რიგებში იყო ამ ბოლო დროს თითქმის გაოპოზიციონერებული ზვიად ძიძიგურიც).

პარლამენტმა პირველი მოსმენით მოიწონა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, პარლამენტართა საპენსიო თანხა მცირდება.

ერთადერთი, ვინც ექსპარლამენტართა ინტერესებს ხმამაღლა იცავს, ზურაბ ტყემალაძეა. მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, რომ პენსიების შემცირებით ყოფილი დეპუტატების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება, რაც სამოქალაქო კოდექსით დაუშვებელია და ამავე დროს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას ეწინააღმდეგება.

"თუ გვინდა, რომ სამართლიანებად გამოვჩნდეთ, მაშინ მოქმედმა დეპუტატებმაც უნდა შევიმციროთ ხელფასები. ამის ნაცვლად კი განზრახულია, რომ მომავალში პარლამენტარის სახელფასო დანამატი 255-დან 800 ლარამდე გაიზარდოს", - პროტესტს გამოთქვამს ტყემალაძე და იმუქრება, რომ **"თავისი პენსიის შემცირებას ექსპარლამენტარები აუცილებლად გაასაჩივრებენ და სამართალსაც იპოვნიან"**.

საინტერესოა, რომ ექსდეპუტატების რიცხვი არც ისე მცირეა. როგორც საპენსიო ფონდის ხელმძღვანელი ზაზა სოფრომაძე აცხადებს, დეპუტატის პენსიას ამჟამად 562 ადამიანი ღებულობს; ბოლო ორ კვირაში, როდესაც პარლამენტართა პენსიებთან დაკავშირებულმა აჟიოტაჟმა პიკს მიაღწია, მის სამსახურს პენსიის დანიშვნის მოთხოვნით 78-მა ყოფილმა დეპუტატმა მიმართა. თუმცა, როგორც ირკვევა, ეს კიდევ არ არის ზედა ზღვარი. **"თუ განცხადებას ყველა დაწერს, პენსიონერ პარლამენტართა რაოდენობა 800-ს გადააჭარბებს"**, - აღნიშნავს საპენსიო ფონდის ხელმძღვანელი.

გუშინ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტის შესახებ მსჯელობა პარლამენტში, სავარაუდოდ, მომავალი თვის დასაწყისიდან განახლდება.

ქუთაისელები გუბერნატორის გადადგომას ითხოვენ

პირველი გვერდიდან

მიტინგის ორგანიზატორი გახლდათ ორგანიზაცია "სამშობლო უმთავრესია", რომლის თავმჯდომარეც მერაბ გვაზავა აქციის დაწყებამდე რწმუნებულს შეხვდა. გვაზავამ განაცხადა, რომ საუბარი რწმუნებულის ინიციატივით გაიმართა, თუმცა, მას შედეგი არ მოყოლია. **"საპროტესტო გამოსვლების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ თუ იგი კანონის ფარგლებში არ ჩაჯდება, შესაბამის ორგანოებს მოვთხოვ, რომ დღევანდელ აქციას შეფასება მისცენ. ისე, ყველა კრიტიკული შენიშვნის მოსმენისთვის მზად ვარ... დღეს მიტინგი მოაწყვეს იმ ჯგუფებმა, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით ბიუჯეტიდან ფული ვერ წაიღეს. მე არ ვაპირებ მოსახლეობის ხარჯზე ბიუჯეტიდან ფულის გაცემას,"** - აქციის დაწყებამდე განაცხადა დავით მუმლაძემ. მიუხედავად მუმლაძის მკაცრი განცხადებისა, მიტინგის ჩატარებისთვის ხელი არავის შეუშლია. დათქმულ დროს ქუთაისის მერიის წინ რწმუნებულის საქმიანობაზე უარყოფითი აზრის მქონე საზოგადოება შეიკრიბა. ძირითადად, ახალი ხელისუფლების მიერ თანამდებობიდან გათავისუფლებული პირები, ყოფილი მერის ნუგზარ ფალიანის აქტიური მხარდამჭერები და შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში პრივილეგირებული არასამთავრობოები, რომლებიც ბიუჯეტიდანაც აქტიურად ფინანსდებოდნენ. აქციაზე იმყოფებოდნენ მწერალთა და მხატვართა კავშირის წარმომადგენლებიც, ადგილობრივი განათლების სისტემიდან განთავისუფლებული პირები და მათი მხარდამჭერები. **"ქალაქში არანაირი სისტემური ცვლილებები არ მომხდარა. ქუთაისი და იმერეთი გაპარტახებამდე მივიდა. რაც მთავარია, მუმლაძე შეურაცხყოფს ქუთაისელებს, როდესაც აცხადებს, რომ ქალაქში კადრები არ მოიპოვება და ისინი გარედან უნდა ჩამოვიყვანოთო. მან ისე დანიშნა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი, რომ არავისთვის არაფერი უკითხავს. მის თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოს,"** - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მერაბ გვაზავამ.

აქციას ესწრებოდნენ თავის დროზე შევარდნაძის ხელისუფლების ოპოზიციონერები და ის ადამიანებიც, რომელთაც ხავერდოვან რევოლუციაშიც სერიოზული წვლილი შეიტანეს და ამჟამინდელი რწმუნებული მაინც არ მოსწონთ. ასეთებს შორის გახლდათ ოტია იოსელიანის ვაჟი, რომელიც წყალტუბოში ორი ნოემბრის არჩევნებზე "ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერით იყრიდა კენჭს. **"იმერეთში რევლუციის შემდეგ არაფერი შეცვლილა, მაგალითად, წყალტუბოში ისეთივე მდგომარეობაა რაც რევოლუციამდე იყო. აუცილებელია, რომ მუმლაძე შეიცვალოს, ხოლო ქუთაისის მერის არჩევნები უახლეს ხანში ჩატარდეს. მათ არ შესწევთ ძალა იმერეთში სასიკეთო ცვლილებები განახორციელონ, განვლილმა პერიოდმა ამაში უკვე დაგვარწმუნა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ოტია იოსელიანის ვაჟმა, რამაზ იოსელიანმა.

რაც შეეხება, მუმლაძის პოზიციას. იგი გადაგომას არ აპირებს. საკმაოდ პრინციპულადაა განწყობილი და აცხადებს, რომ აქციის მოწყობა, გარკვეუწილად, მისი ბრალიცაა, რადაგან იმ პირების მიმართ ვინც მოსახსნელი იყო თავის დროზე მკაცრი ზომები არ გაატარა. **"მერიის წინ თავი მოიყარეს ადამიანებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ხელგამოშვერილი იდგნენ ყოფილი რწმუნებულის კარებთან და მოწყალებას ელოდნენ. მათ ცრემლიანი თვალები გააყოლეს ამ შენობიდან გასულ კრიმინალებს და დღეს ისინი ცდილობენ "წყალი აამღვრიონ". რა თქმა უნდა, მე მათთვის მოსაწონი არ ვიქნები,"** - აცხადებს მუმლაძე. რაც შეეხება ქუთაისის მერის არჩევნებს, იგი განმარტავს რომ მომხრე იყო მერის არჩევნები, აჭარის არჩევნებთან ერთად ჩატარებულიყო. **"კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ქუთაისს არჩეული მერი უნდა ჰყავდეს. მაგრამ აჭარის ამბებმა, ჩვენი არჩევნების თარიღი გადასწია, თუმცა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ვფიქრობთ, რომ პერზიდენტი არჩევნებს მალე დანიშნავს,"** - განმარტავს რწუნებული.

გუშინ ქუთაისის მერიის წინ აქცია მშვიდობიანად დაიშალა. აქციის მონაწილეები დღესაც აპირებენ შეკრებას.

ფინანსურმა პოლიციამ "საქართველოს თამბაქოს წარმოების" შემოწმება დაიწყო

თამბაქოს ბაზარზე ლეგალიზაციის მასშტაბები საგრძნობლად შემცირდა, ბაზარი კვლავ კონტრაბანდულმა სიგარეტმა გააჯერა. სავაჭრო ქსელში დიდი ოდენობით ადგილობრივი წარმოების უაქციზო სიგარეტი და რუსულაქციზიანი იმპორტული სიგარეტის რეალიზაცია ხდება. ბაზარზე დიდი ოდენობით აღმოჩენილი უაქციზო სიგარეტის "პირველი"-ს გამო, გუშინ ფინანსურმა პოლიციამ ავთანდილ წერეთლის კომპანიის "საქართველოს თამბაქოს წარმოების" შემოწმება დაიწყო. სერიოზული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში კომპანიას დალუქვა ემუქრება. "საქართველოს თამბაქოს წარმოებაში" კი ირწმუნებიან, რომ პოლიცია საეჭვოს ვერაფერს მიაგნებს.

სოფიკო ოხანაშვილი

პირველი, რაც "ახალმა" ხელისუფლებამ გააკეთა, სიგარეტის (და არა მარტო) კონტრაბანდასთან სერიოზული ბრძოლა გამოაცხადა. მთავრობის მიერ გატარებული ანტიკონტრაბანდისტული და ანტიკორუფციული ღონისძიებების შედეგმა არ დააყოვნა: აპრილის ბოლოსთვის თამბაქოს ბაზრის ლეგალიზაციის მაჩვენებელმა 85 პროცენტი შეადგინა. ახლა კი ბაზარზე კონტრაბანდულმა სიგარეტმა კვლავ ძველი პოზიციების გამყარება დაიწყო. ბაზარზე კონტრაბანდულ საქონელთან ერთად ადგილობრივი წარმოების უაქციზო პროდუქციაც მომრავლდა. ბაზარზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი უაქციზო სიგარეტი "პირველი", რომელსაც ავთანდილ წერეთლის ფაბრიკა უშვებს.

ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ბოლო სამი კვირის განმავლობაში ქვეყანაში სიგარეტის კონტრაბანდის მასშტაბების ზრდის გამო შეშფოთებულია. **"საქართველოში სიგარეტის ლეგალიზაციის მაჩვენებელი აპრილში 85 პროცენტს შეადგენდა, თუმცა უკანასკნელ დღეებში შემჩნეული ტენდენციის მიხედვით, ეს მაჩვენებელი შეიძლება შემცირდეს. ამიტომ, გულხელდაკრეფილნი ვერ ვისხდებით და ვერ ვუყურებთ, როგორ შეიძლება ეს ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებაზე აისახოს,"** - განაცხადა ნოღაიდელმა. მიმდინარე წელს ექსპერტები სიგარეტის ბიზნესიდან 98,5 მილიონი ლარის მობილიზებას ვარაუდობენ. ბაზარზე კონტრაბანდის წილის გაზრდა კი პირდაპირპროპორციულად აისახება ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებაზე.

პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, პირველი ივლისისთვის ყველა სასაქონლო ბაზრის ლეგალიზაციის მაჩვენებელი 80 პროცენტს უნდა შეადგენდეს. ეს კი ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების განხორციელების შედეგად არის შესაძლებელი. ამიტომ, ფინანსთა სამინისტრომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში თავის დაზღვევისა და ლეგალიზაციის მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით, რეაგირება არ დააყოვნა: ფინანსური პოლიცია "საქართველოს თამბაქოს წარმოებაში" შესამოწმებლად გუშინვე შევიდა.

ქარხნის ინვენტარიზაციის პროცესს კომპანიის მფლობელი ავთანდილ წერეთელიც ესწრებოდა, თუმცა ჟურნალისტებთან საუბარს მან თავი აარიდა. "საქართველოს თამბაქოს წარმოების" ფინანსური დირექტორის ზურაბ ბერუაშვილის თქმით კი, მათთვის უცნობი იყო ფინანსური პოლიციის ქარხანაში შესვლის მიზეზი. თუმცა, მან იქვე ისიც დასძინა, რომ ფინანსური პოლიცია კანონის დაცვით მოქმედებს და კომპანიაც კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის მზადაა. დღეს, ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები და "საქართველოს თამბაქოს წარმოების" იურისტი სასამართლოს მიმართავენ. სასამართლოს ნებართვის მიღების შემდეგ ფინანსური პოლიცია კომპანიის სრულ ინვენტარიზაციას მომდევნო დღეებშიც განაგრძობს. "საქართველოს თამბაქოს წარმოებაში" კი დარწმუნებულები არიან, რომ ფინანსური პოლიცია საეჭვოს ვერაფერს აღმოაჩენს.

ფინანსთა სამინისტრო და ფინანსური პოლიცია ფაბრიკის შემოწმების მიზეზად უკანასკნელ პერიოდში საქართველოს თამბაქოს ბაზარზე დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის დაფიქსირებას ასახელებენ. უაქციზო სიგარეტებს შორის ჭარბობს სიგარეტი "პირველი", რომელსაც "საქართველოს თამბაქოს წარმოება" აწარმოებს.

ცნობისათვის, დღესდღეობით საქართველოში თამბაქოს მწარმოებელი ორი ქარხანაა ("ომეგა-ფილიპ მორისი", "საქართველოს თამბაქოს წარმოება"). "ომეგას" გარშემო ატეხილი ხმაური და მისი ქონების დალუქვა საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა თამბაქოს ბაზარზე მოქმედი სხვა სუბიექტებისთვის: სიგარეტის ადგილობრივ წარმოებაში "საქართველოს თამბაქოს წარმოების" სახით მხოლოდ ერთი მსხვილი მოთამაშეღა დარჩა. სერიოზული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში (უაქციზო პროდუქცია და ა.შ.) აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, რის შედეგადაც კომპანია დაილუქება.

თამბაქოს ბაზარზე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და ამ ბაზარზე აპრილში არსებული მდგომარეობის აღსადგენად საგადასახადო დეპარტამენტს, აქციზის გადამხდელთა ინსპექციასა და ფინანსურ პოლიციას შესაბამისი დავალებები და 10-დღიანი ვადა მიეცათ. ზურაბ ნოღაიდელმა ფინანსურ პოლიციას, უახლოესი ათი დღის განმავლობაში, ადგილობრივი სიგარეტის მწარმოებელთა და იმპორტიორთა შემოწმება დაავალა. უაქციზო "პირველის" გარდა, ბაზარზე სხვა დასახელების უაქციზო სიგარეტებიც არის აღმოჩენილი, მათ შორის მედიუმი "მარლბორო", რომელიც, სავარაუდოდ, ერგნეთიდან და აფხაზეთიდან ენგურის ხიდის გავლით არის შემოსული. ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელის დავით კეზერაშვილის თქმით, მათთვის კონტრაბანდისტების ვინაობა და კონტრაბანდული საქონლის წარმოშობა ჯერჯერობით უცნობია. **"ჩვენ ბაზრების შემოწმებას, უაქციზო და უცხოური აქციზის მქონე სიგარეტის ამოღებას, განადგურებას და გამყიდველების დაჯარიმებას ვგეგმავთ",** - "24 საათთან" საუბარში განაცხადა კეზერაშვილმა. მისივე თქმით, სამსახურს ინფორმაციები აქვს სიგარეტის კონტრაბანდის გზების შესახებ და კანონდამრღვევთა შემოწმება უახლოეს მომავალში დაიწყება.

თუმცა, მთავრობის მცდელობის მიუხედავად, ფაქტია, რომ თამბაქოს ბაზარზე კვლავ კონტრაბანდული სიგარეტი ლიდერობს და ძველ პრობლემებზეც კვლავ აქტიურად საუბრობენ.

ს.ს. "თელასი"AN აცხადებს ტენდერს კომპიუტერის შემდეგ აქსესუარებზე:

1. რელე
2. კონტაქტორი
3. მცველი
4. მილწამზომი
5. მუდმივი დენის ფარი
6. რეზისტორი
7. გასაღები
8. ავტომატი

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 25 მაისამდე;
მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 27 მაისი.

ს.ს. "თელასი"AN აცხადებს ტენდერს კომპიუტერის შემდეგ აქსესუარებზე:

1. სისტემური ბლოკი - **33ც**
2. მონიტორი HP V7550 17 "ბრტყელი"- ***3 წლიანი გარანტიით* - 20ც**
3. UPS –APC 475 – **15ც**
4. პრინტერი HPLJ 9000N, მეხს: 256mb+დამატ. უჯრა - **1ც**
5. პრინტერი HPLJ 9000N-ის, მეხსიერება 128 მბ - **1ც**
6. პრინტერი 9000N-ის კარტრიჯები - **15ც**
7. პრინტერი 9000N-ის ლუმელი კომპლექტში (რეზინებით) - **5ც**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 18 მაისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 24 მაისი.

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

24 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კილომეტრის და დილმის სასწავლო მეურნეობის მაცხოვრებლებს.

24 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
ბარალეთის, ლიბანის, დავით სარაჯიშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

24 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
ვაჟა-ფშაველას IV კვარტლის მაცხოვრებლებს.

24 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
აღმაშენებლის გამზირის(ნაწილობრივ), რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), დოდო აბაშიძის, კიტა აბაშიძის, აჯამეთის, ანაკლიის, ანთელავას, არაგვისპირელის, ართვინის, ახალციხის, ახვლედიანის, ბენაშვილის, ბოდავის, ბურების, ბუხაიძის, ჩაისუბნის, ჩანჩიბაძის, ჩერნიშევსკის, ჩერქეზიშვილის, ციმაკურიძის, ჩიქობავას, ჩიტაიას, ჩუბინაშვილის, ნინო ჩხეიძის, უშანგი ჩხეიძის, დგებუაძის, დოქის, ერისთავის, ფაბრიციუსის, გაბისკირიას მოედანის, გამცემლიძის, გოცირიძის, გოგიბერიძის, გორკის, გრანელის, ჯავახიშვილის, კალანდარიშვილის, კალატოზის, კანკავას, კარდანახის, კიბალჩიჩის, კიევის, სერგო კლდიაშვილის, კრილოვის, კუმისის, ლენტეხის, მამარდაშვილის, მარჯანიშვილის, მაზნიაშვილის, ნათიშვილის, ნინოშვილის, ოსიაურის, პასტერის, პლატონის, ქედის, საარბრიუკენის მოედანის, სამოქალაქოს, სანკტ-პეტერბურგის, სანთლის, შემოვლის, სპარტაკის, სულიაშვილის, სუნდუკიანის, შურდულის, სხულუხიას, ტეტელაშვილის, ტირიფონის, თოიძის, ტოლსტოის, ტოვსტონოგოვის, ტურგენევის, ტყვიავის, ურიცკის, დიმიტრი უზნაძის, ვარციხის, ვერჰარნის, ვეძათხევის, ზურაბ ჭავჭავაძის, სოსო წერეთლის, წინამძღვრიშვილის, წმიდა ნიკოლოზის, ჭოროხის, ხეთაგუროვის, ვასო აბაშიძის, ათონელის, ბესიკის, ბროსეს, ფურცელაძის, ფხოვის, გრიბოედოვის(ნაწილობრივ), ჯამბულის, მიხეილ ჯავახიშვილის, ლაღიძის(ნაწილობრივ), ორბელიანის, ქუთათელაძის, საქანელას, თაბუკაშვილის, ვირსალაძის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ხაზინის, ზუბალაშვილების(ნაწილობრივ), ჭანტურიას ქუჩების მაცხოვრებლებს.

დენის ტარიფის შემცირება შესაძლებელია

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, დენის ტარიფში გათვალისწინებულია მოგების მარჟაც. იოსელიანი მიიჩნევს, რომ მთავრობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ენერგეტიკულ საწარმოებს **"არ უნდა უყურებდეს, როგორც მომგებიან ბიზნესს. ამიტომაც, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგოსაწარმოები მოგებაზე არ უნდა მუშაობდნენ."**

როგორც სემეკ-თან არსებული, ენერგეტიკის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე აკონკრეტებს, **"ტარიფში სახელმწიფო საწარმოების კუთვნილი კომპონენტი გაბერილია, რადგან სახელმწიფო ენერგოსექტორის ამ სუბიექტებისგან მოგების მიღებას გეგმავს. ეს მოგების გადასახადი ბიუჯეტში, რეალურად, არ შედის. მაგრამ, რომც შედიოდეს, ეს თანხა მინიმალურია იმასთან შედარებით, რა თანხებიც ამ მექანიზმის არსებობის გამო გაურკვეველი მიმართულებით "ორთქლდება."**

"თელასის" მიერ ტარიფის გაზრდის მოთხოვნას ებრალიძე პარადოქსად აფასებს.

საბოლოოდ გამოდის, რომ არასწორად გაანგარიშებული ტარიფის წყალობით, დღეს მოსახლეობას ერთი კილოვატსაათი დენისთვის, რეალურთან შედარებით, საშუალოდ 20-30 პროცენტით მეტის გადახდა უწევს.

ენერგეტიკის მომხმარებელთა ინტერესების ომბუდსმენი ამ საკითხის განხილვას ხელისუფლების ყველა დაინტერესებულ კომისიასა თუ კომიტეტს სთხოვს და პარადოქსად მიიჩნევს, რომ ამ ვითარებაში "თელასი" ტარიფის კიდევ უფრო გაზრდას ითხოვს. შეგახსენებთ, რომ ტარიფის გაზრდის მოთხოვნით "თელასს" შესაბამისი განაცხადი საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში (სემეკ) უკვე შეტანილი აქვს.

აჭარაში პრივატიზაცია დაიწყება

ეთერ მამულაშვილი

ეკონომიკის სამინისტროს სპეციალური ჯგუფი, რომელიც უკანასკნელი ერთი კვირის მანძილზე აჭარაში სახელმწიფო ქონების აღწერით არის დაკავებული, მუშაობას ამ დღეებში დაამთავრებს. ცნობილი ხდება ჯგუფის მუშაობის პირველადი შედეგები და იმ საწარმოების ნუსხა, რომელთა პრივატიზაცია უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი.

აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები ეკონომიკის მინისტრმა სამ ძირითად ჯგუფად დაყო. პირველ ჯგუფში თავმოყრილია ის შვიდი საწარმო, რომელსაც, ეკონომისტების შეფასებით, რეგიონისთვის და მთელი ქვეყნისთვის სტრატეგიული დანიშნულება გააჩნია. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია აჭარისთვის მნიშვნელოვანი საწარმოები, რომელთა რაოდენობა 19-მდე აღწევს. სხვა დანარჩენი საწარმოები, რომელთა რაოდენობა აჭარაში 200 აღემატება, მესამე ჯგუფშია გაერთიანებული. პრივატიზაციის პროცესი სწორედ ამ უკანასკნელიდან დაიწყება. მომდევნო ეტაპზე პრივატიზაცია მეორე ჯგუფის საწარმოებსაც შეეხება. უახლოეს რამდენიმე წელიწადში სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების განსახელმწიფოებრიობას კი რეხვიაშვილი გამორიცხავს, თუმცა ხსენებულ საწარმოებში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით მათი აქციების გარკვეული რაოდენობის გასხვისება ადვილი მოსალოდნელია.

რეხვიაშვილი არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში აბაშიძის დროს გასხვისებული ზოგიერთი საწარმოს კანონიერება შემოწმდეს. ამ ტიპის საწარმოებში მინისტრი, პირველ რიგში, თხილის გადამამუშავებელ საწარმოს, შპს "ბათნავთობიმპექსს" (ნავთოგადამამუშავებელი საწარმო) და მედიკამენტების ქარხანას გულისხმობს.

საწარმოთა მართვის სააგენტოსა და ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით, რეგიონში პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე მოხდება აჭარის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოს საფინანსო-სამეურნეო შემოწმება და მათი ზუსტი ბალანსის დადგენა დამოუკიდებელი აუდიტის გზით. საწარმოების აუდიტორული შემოწმება, სავარაუდოდ, უმოკლეს დროში დამთავრდება, რადგან რეგიონში პრივატიზაციის პროცესის დაწყებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აჭარის ეკონომიკის პოტენციალის განვითარებისთვის და რეგიონში ინვესტიციების მოსაზიდად. ეკონომიკის მინისტრის შეფასებით კი, აჭარაში მასობრივი პრივატიზაციის პროცესის ჩატარებას შემდეგი მნიშვნელობა ენიჭება: ფისკალური ეფექტი - პრივატიზებული საწარმოების მიერ ქვეყნის ბიუჯეტში თანხების მობილიზაცია; რეგიონში კერძო მესაკუთრეთა ფენის შექმნა-განვითარება; უცხოური კაპიტალის შემოდინება და თავად ამ საწარმოებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

რეხვიაშვილის ინფორმაციით, აუცილებელია აჭარის ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების გაყოფა და მათი ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივ მმართველობის ორგანოების მართვაში გადაცემა.

სხვათაშორის, გუშინ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ხსენებული ჯგუფის რამდენიმე წევრი ბათუმის მერიაში ადგილობრივ მეწარმეებს შეხვდა. სამინისტროს წარმომადგენლის ილია გოცირიძის ინფორმაციით, ბათუმში 127 საწარმოა, აქედან 15 სააქციო საზოგადოებაა, დანარჩენი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო. მისივე თქმით, 70 საწარმო ამ ეტაპზე საერთოდ გაჩერებულია, არ ფუნქციონირებს და იგი მესაკუთრეებზე იჯარის წესით არის გაცემული. გოცირიძის თქმით, მათ მიერ შესწავლილ საწარმოებში სერიოზული დარღვევებია პრივატიზების კანონთან და საწარმოთა ფუნქციონირების სამართლებრივ ფორმებთან დაკავშირებით, ამიტომაც აუცილებლად უნდა მოხდეს ყველა დასახელებული საწარმოს თავიდან დარეგისტრირება, რაც მეწარმეებს არ გაუპროტესტებიათ.

აჭარის არ ტერიტორიაზე განთავსებული სტრატეგიული საწარმოების ნუსხა
(ციფრული მონაცემები ათასი ლარის ოდენობით)

№	საწარმოს დასახელება	საწესდებო კაპიტალი	სახელმწიფო წილი %	საქმიანობის სფერო (დარგი)	ფინანსური მდგომარეობა 01.01.03 წლის მონაცემებით: შემოსავლები	საანგარიშო წლის მოგება (ზარალი)	კრედიტორული დავალიანება	დებიტორული დავალიანება
№	2	4	5	6	8	9	10	11
1	სს „ქიმფარმაცევტული ქარხანა"	2185.1	76.86	მედიკამენტების დამზადება	214.5	65.1	406.7	208.0
2	შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა	26429.1	100	ნავთობპროდუქტების გადამუშავება	4525.0	-	1071.7	5986.0
3	შპს „გემთსაშენი ქარხანა"	13774.2	100	გემთმშენებლობა	270.6	62.1	346.3	28.8
4	შპს „ენერგოკომპანია"	27977.2	100	მოსახლეობის მომსახურება ელ. ენერგიით	11204.6	-5428.4	62178.3	70688.6
5	შპს „ბათნავთობიმპექსი"	27655.3	11.4	ნავთობპროდუქტების მომსახურება	366.2	1111.5	7234.4	0.006
6	შპს საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"	18378.9	100	საზღვაო გზით ტვირთების მიღება-დაცვა	29305.1	18287.0	3991.2	6130.8
7	შპს „ბათუმის აეროპორტი"	469.1	100	მგზავრთა მომსახურება	428.5	-38.5	163.3	223.7

აჭარის არ ტერიტორიაზე განთავსებული მნიშვნელოვანი საწარმოების ნუსხა
ციფრული მონაცემები ათასი ლარის ოდენობით

საწარმოს დასახელება	საწესდებო კაპიტალი	სახელმწიფო წილი %
სს ტრანსელექტრო	2932.1	74.8
ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი	5162	100
თამბაქოს კომბინატი	2046.3	100
ნავთობბაზა	448.3	100
ოაზისი	7686.1	100
[illegible]	2903.4	41.7
შპს. შელფი	520.8	100
№8 საგზაო სამმართველო	805.1	100
შპს. [illegible]		
საქართველოს საზღვაო სანაოსნო		
[illegible]	133.6	100
ბათუმის ცენტრალური ბაზარი	243.6	100
აჭარმშენსერვისი	2.1	100
ქობულეთის სანატორიუმი	534990	100
ბათუმის სახლმშენებელი კომბინატი	1134290	100
დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ცენტრი	636660	100
თანამგზავრი	538810	40.46
შპს. [illegible]	1 მილ. მეტრი	100
შპს. ხულოს დედათა და ბავშვთა რეგ. სამ. ცენტრი	3443972	100

რუსეთ-ევროკავშირის სამიტი მოსკოვში

პირველი გვერდიდან

გადაწყდა, რომ რუსეთის მხრიდან ევროკავშირთან თანამშრომლობის საერთო კოორდინაციას პრემიერ-მინისტრი მიხაილ ფრადკოვი შეასრულებს. მისი ხელმძღვანელობით კი იმუშავებენ:

ეკონომიკის სფეროს კოორდინატორი - მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ვიქტორ ხრისტენკო;

საერთაშორისო უსაფრთხოების კოორდინატორი - საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი;

კულტურისა და მეცნიერების კოორდინატორი - პრეზიდენტის მრჩეველი სერგეი იასტრჟემბსკი.

ვლადიმირ პუტინმა რომანო პროდის სთხოვა, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში დაინიშნონ შესაბამის სფეროებში მოღვაწე კოორდინატორები ევროკავშირის მხრიდანაც, რადგან ორმხრივ ურთიერთობებში არ უნდა იყვნენ წამყვანი მხარეები და თანამშრომლობა თანაბარ პირობებში უნდა განხორციელდეს.

ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ კი ევროკავშირისა და რუსეთის თანამშრომლობა მეტაფორულად დაახასიათა და განაცხადა, რომ ორივე მხარე ისე უნდა შეეფერებოდეს ერთმანეთს, როგორც **"არაყი და ხიზილალა."**

ვლადიმირ პუტინი და რომანო პროდი

სამიტზე მხარეებმა სხვა საკითხებიც განიხილეს. კერძოდ, ევროკავშირის ლიდერმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე, ფაქტობრივად, თანხმობა განაცხადა. რუსი ანალიტიკოსები ამ ფაქტს უმნიშვნელოვანესად აფასებენ, რადგან ევროკავშირი რუსეთის უმთავრეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. ევროკავშირის ლიდერთა პოზიცია კი, ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის და სხვა ქვეყნების მოლაპარაკებების პროცესზე დიდ გავლენას მოახდენს.

პუტინმა რომანო პროდისთან შეხვედრაზე რუსეთისათვის კიდევ ერთი პრობლემატური საკითხი დააყენა. კერძოდ, მოსკოვს ევროკავშირში ახლადგაწევრიანებულ ქვეყნებში რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად დაცვა სურს. ევროკომისიის პრეზიდენტმა კი პუტინი დაამშვიდა და განაცხადა, რომ ევროკაშირი აუცილებლად დაიცავს რუსულენოვანი უმცირესობის ინტერესებს, ისევე, როგორც სხვა ეროვნულ უმცირესობებს ევროპაში. მხარეები კალინინგრადის ანკლავის საკითხსაც შეეხნენ. ევროკავშირი ამ ოლქში მნიშვნელოვან ინვესტიციებს განახორციელებს და რეგიონის განვითარებაზე მოსკოვთან ერთად იზრუნებს.

"გაზპრომი" "ბელტრანსგაზის" ხელში ჩაგდებას ცდილობს

ვლადიმირ სოკორი

ბელარუსის გაზის სახელმწიფო კომპანია "ბელტრანსგაზი", რომლის მილსადენების მეშვეობით ხდება რუსული გაზის ექსპორტი ევროპაში, რუსეთის გაზის მონოპოლიამ "გაზპრომმა" ამოიღო მიზანში და კომპანიის ჩალის ფასად შეძენა სურს. 19 მაისს რუსულმა მხარემ გამოაქვეყნა ორი დღით ადრე "გაზპრომის" მენეჯერების შეხვედრის ჩანაწერი: "გაზპრომი" მზადაა, "ბელტრანსგაზი" და კომპანიის კუთვნილი სატრანზიტო მილსადენები, რომლებიც ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენს, სულ რაღაც, 500 მილიონ ამერიკულ დოლარად დაუყოვნებლივ შეიძინოს.

შეხვედრაზე "გაზპრომის" მმართველმა ალექსეი მილერმა და მისმა მოადგილემ ალექსანდრ რიაზანოვმა აღიარეს, რომ "ბელტრანსგაზის" რეალური ფასი, შესაძლოა, რამდენიმე მილიარდი დოლარი იყოს. თუმცა, მათ იქვე დაასახელეს ის მიზეზები, რის გამოც "გაზპრომი" და რუსეთის მთავრობა რეალურ ფასს არ გადაიხდიან: 1) ჩადებული თანხების ამოღებას ძალზე დიდი დრო დასჭირდება; 2) "გაზპრომს" ამდენი თანხა არ გააჩნია.

მინსკზე ზეწოლის მოსახდენად, "გაზპრომმა" უარი განაცხადა ბელარუსთან კონტრაქტის ხელმოწერაზე, რომელიც ქვეყნის შიდა მოხმარებისათვის გაზის მიწოდებას ითვალისწინებს იმის მიუხედავად, რომ რუსეთის მთავრობას მანამდე სხვა გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული: ბელარუსს 10.2 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა მიეღო 2004 წელს, ისე, როგორც ეს 2003 წელს მოხდა. ამას გარდა, ნომინალურად დამოუკიდებელი რუსული კომპანიები შეთანხმებულნი იყვნენ, რომ წელს ბელარუსისთვის დამატებით 8.3 მილიარდი კუბური მეტრი მიეწოდებინათ. ამ შეთანხმებების მიუხედავად, "გაზპრომს" ბელარუსისთვის 1 იანვრიდან ერთი კუბური მეტრიც აღარ მიუწოდებია.

რუსეთის მთავრობამ გაზის მიწოდების დროებით შეჩერება იმ მოტივით მოიწონა, რომ ბელარუსმა, "გაზპრომის" მოთხოვნების შესაბამისად, "ბელტრანსგაზის" ერთობლივ საწარმოდ გარდაქმნაზე უარი თქვა. დანარჩენმა რუსმა მიმწოდებლებმა ბელარუსს მაისის შუა რიცხვებამდე 7.9 მილიარდი კუბური მეტრი მიაწოდეს, რითაც, ფაქტობრივად, ამოწურეს 2004 წელს მათთვის გამოყოფილი კვოტა. ასე რომ, ბელარუსს მალე გაზის მიწოდება საერთოდ შეუწყდება.

ამას გარდა, "გაზპრომმა" უარი თქვა ბელარუსთან ევროპაში გაზის ტრანზიტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე. რეალურად, გაზის ტრანზიტი გრძელდება, რომლისთვისაც "გაზპრომი" არაფერს იხდის. ბელარუს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, "გაზპრომის" ხელმძღვანელებმა მკაცრად გააფრთხილეს მინსკი, რომ გაზის მიწოდების შეწყვეტის შემდეგ, სატრანზიტო მილსადენებიდან გაზის მოპარვას არ შეეგუებიან.

წლების განმავლობაში "გაზპრომი" ბელარუსს იმავე ტარიფით აწვდიდა გაზს, როგორც საკუთარ რეგიონებს უკიდურეს დასავლეთში. შარშან, სოჭში შეხვედრისას, პრეზიდენტები ვლადიმირ პუტინი და ალექსანდრ ლუკაშენკო შეთანხმდნენ, რომ ტარიფები საბაზრო ფასებს გაუთანაბრდება.

2004 წელს, "გაზპრომი" 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის სანაცვლოდ 52 ამერიკულ დოლარს ითხოვს, მაშინ, როდესაც ბელარუსი შიდა ბაზარზე ამ გაზს 46.7 ამერიკულ დოლარად ყიდის. რაც შეეხება ტრანზიტს, "გაზპრომი" მზად არის ბელარუსზე გამავალი მილსადენის ყოველ ას კილომეტრზე გატარებულ ათას კუბურ მეტრ გაზში 67 ცენტი გადაიხადოს, ხოლო მინსკი 1.2 ამერიკულ დოლარს ითხოვს.

ბელარუს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე "გაზპრომის" ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ ბელარუსისთვის რუსეთის შიდა ფასებით გაზის მიწოდების აღდგენა გამორიცხული არ არის, ოღონდ იმ პირობით, რომ "ბელტრანსგაზი" "გაზპრომის" მფლობელობაში გადავა და "რეალურად დაიწყება ორი სახელმწიფოს ინტეგრაცია". რუსეთი მინსკს ამ პროექტს 2003 წლის ივნისიდან სთავაზობს. წინააღმდეგობას ორი რამ იწვევს: ჯერ ერთი, რუსეთი და ბელარუსი "ბელტრანსგაზის" ღირებულებას სხვადასხვანაირად აფასებენ და მეორე, მინსკი ცდილობს, რომ კომპანიაში მნიშვნელოვანი წილი შეინარჩუნოს, რასაც რუსები ეწინააღმდეგებიან.

ლუკაშენკო "გაზპრომის" მენეჯერების განცხადებებს მინსკიდან გამოეხმაურა და მოსკოვი საჯაროდ გალანძღა. "თუ პრივატიზაცია გსურთ, მაშინ ფული გადაიხადეთ, და გადაიხადეთ საბაზრო ფასი. პატიოსნად ივაჭრეთ და არ გაანადგუროთ ჩვენი ქვეყანა. ვაჭრობა რუსეთთან სავალალო მდგომარეობაშია. ჩვენ გვსურს, რომ მოკავშირეებივით მოგვეპყრონ. თუ ამას ვერ გაიგებთ, მაშინ ჩვენ იძულებულები გავხდებით, რომ ერთად ყოფნის იდეაზე უარი ვთქვათ", - განაცხადა ლუკაშენკომ.

აჰმად ჩალაბი: ყველა უსიამოვნების მიზეზი ერაყში

აშშ-მ განტევების ვაცი მოძებნა

ერაყში სიტუაცია დღითიდღე იძაბება. სისხლიან ბრძოლებში განცდილ მარცხთან ერთად, კოალიცია დასაყრდენს ერაყის მომავალ პოლიტიკურ ელიტაშიც კარგავს. ერაყის პოლიტიკური სტაბილიზაციის საკითხი კი სულ უფრო ბუნდოვანი ხდება. ერაყის მმართველი საბჭო, ფაქტობრივად, იშლება - მისი თავმჯდომარე აბდელ ზაჰრა ოტმანი, იგივე იზ-ედ-დინ სალიმი რამდენიმე დღის წინ ააფეთქეს, საბჭოში მეორე გავლენიანი ფიგურა აჰმად ჩალაბი კი ერთიმეორეზე მძიმე დანაშაულებშია ეჭვმიტანილი,

ნიკა თარაშვილი

ამერიკულმა ტელეკომპანია "სი-ბი-ეს"-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ერაყის მმართველი საბჭოს წევრი აჰმად ჩალაბი ამერიკის დაზვერვის ცნობებს ირანს გადასცემდა. ტელეკომპანია "ფოქს ნიუსის" ცნობით, დაზვერვის მონაცემები, რომელთაც ჩალაბი, თითქოსდა, ირანელებს აწვდიდა, სრულიად საიდუმლო ინფორმაციას შეიცავდა. იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია აშშ-ს მტრებს ხელში ჩაუვარდებათ, მრავალ ამერიკელ ჯარისკაცს საფრთხე შეექმნება. ტელეკომპანია თავის წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ჩალაბის შპიონაჟის დამადასტურებელი უეჭველი მტკიცებულებები არსებობს, თუმცა, აშშ-სთვის ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რა დოკუმენტების მიწოდება მოასწრო ჩალაბიმ ირანელთათვის.

ჩალაბის წინააღმდეგ სხვა ბრალდებებიც გაისმის. მას ბრალად თანხების არამიზნობრივ გამოყენებას სდებენ.

შეგახსენებთ, ხუთშაბათს ამერიკის სამხედროებმა ერაყის პოლიციასთან ერთობლივი ოპერაცია განახორციელეს, რომლის დროსაც ჩალაბის სახლი გაჩხრიკეს. ჩხრეკა ჩალაბის პოლიტიკურ მოძრაობა "ერაყის ეროვნული კონგრესის" შტაბ-ბინაშიც ჩატარდა. მართალია, ამერიკელები ირწმუნებიან, რომ ოპერაციის დროს ისინი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ და მხოლოდ უსაფრთხოებაზე იყვნენ პასუხისმგებელნი, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, ერაყის ახლადჩამოყალიბებულ პოლიციას გავლენიანი პოლიტიკოსის წინააღმდეგ ერთპიროვნულად მიეღო ამგვარი გადაწყვეტილება. კოალიციის წარმომადგენელმა დენ სენორმა განაცხადა, რომ ჩხრეკის სანქციები ერაყის სასამართლომ გასცა და ამის საფუძველზე გაიჩხრიკა იმ პირთა სახლები და ოფისები, რომლებიც ადამიანთა გატაცებაში, თაღლითობასა და მსგავს არაკანონიერ ქმედებებში არიან ეჭვმიტანილნი. მისი თქმით, ჩხრეკა ჩალაბის სახლში სწორედ ამ განკარგულების შესაბამისად ჩატარდა.

ჩალაბის ამერიკელები სხვა მიზეზითაც ემდუროდნენ. კერძოდ, არაოფიციალურ საუბრებში ჩალაბის ბრალს სდებდნენ, რომ იგი კორუფციის ფაქტების გამოძიებას ეწინააღმდეგებოდა. აღნიშნული გამოძიება სადამ ჰუსეინის მიერ საზღვარგარეთ თავისი მომხრეებისათვის ქრთამის მიცემას ეხება. საუბარია გაერო-ს პროგრამის - "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" - ფარგლებში, ქრთამის სახით, მრავალმილიონიანი საჩუქრების დარიგებაზე.

გამოძიების ცნობით, ჩხრეკის დროს ჩალაბის სახლში ნაპოვნი იქნა იარაღი და სხვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები.

პარალელურად, თავად აჰმად ჩალაბი კოალიციის ძალებთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის შესახებ აკეთებს განცხადებას. "მე ვწყვეტ ურთიერთობას ამერიკის სამოქალაქო ადმინისტრაციასთან... ერაყში მე ამერიკის საუკეთესო მეგობარი ვიყავი. თუ სამოქალაქო ადმინისტრაცია საჭიროდ მიიჩნევს, ჩემი ოჯახის წინააღმდეგ შეიარაღებული თავდასხმა დაიწყოს, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი იქნება უბრალო ერაყელებსა და ამ ადმინისტრაციას შორის დამოკიდებულება", - აცხადებს განაწყენებული ჩალაბი. შემდეგ კი, ყოფილ მეგობრებს კიდევ უფრო მწვავედ აკრიტიკებს და შინ დაბრუნებას ურჩევს. "მიეცით ჩემს ხალხს თავისუფლება!... ჩვენ მადლიერები ვართ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (ერაყის გათავისუფლებისათვის), მაგრამ დადგა დრო, საკუთარი ქვეყანა თავად ერაყელებმა მართონ".



აჰმად ჩალაბი ამერიკელებს განუდგა.

ჩალაბისა და კოალიციას შორის ურთიერთობების გაწყვეტა ამერიკელთათვის დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა. ეს მაშინ, როცა არცთუ დიდი ხნის წინ შიიტი მუსულმანების ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი აჰმად ჩალაბი ქვეყნის მომავალი მმართველის რანგში სერიოზულად განიხილებოდა. ამერიკელთა სცენარით, ჩალაბის იგივე როლი უნდა შეესრულებინა, რასაც ჰამიდ ყარზაი ავღანეთში ასრულებს. მაგრამ დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ ჩალაბის ერაყის მთავრობაში ადგილსაც კი არ შესთავაზებდნენ. აღნიშნული მთავრობის შემადგენლობა კი ორ კვირაში უნდა დასახელდეს.

ამერიკელები უკიდურესად უკმაყოფილონი იყვნენ ჩალაბით. და ამისათვის საკმარისი მიზეზებიც ჰქონდათ. ჩალაბი, რომლის მთელი პოლიტიკური კარიერა და დღევანდელი მდგომარეობა ამერიკული ფულით იყო დაფინანსებული, კოალიციის მოქმედებებს ბოლო ხანს აშკარად ეწინააღმდეგებოდა. ჯერ იყო და ამერიკელებს ფალუჯაში ამბოხებულ სუნიტთა წინააღდეგ მეტისმეტად ლმობიერ დამოკიდებულებაში დასდო ბრალი. მერე, უკვე მკვეთრად აკრიტიკებდა კოალიციის ძალების ქმედებებს შიიტთა წმინდა ქალაქებში, ნეჯეფსა და ქერბალაში.

ამერიკელებმა ჩალაბის ისიც გაუხსენეს, რომ ომამდე სწორედ მან მიაწოდა ცნობები ერაყში, თითქოსდა, მასობრივი განადგურების იარაღის არსებობაზე. ასევე, მას დააბრალეს ცრუ ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ ერაყში შესულ ამერიკელებს ოვაციებით შეხვდებოდნენ. მოკლედ, ამერიკელებმა მშვენიერი "განტევების ვაცი" იპოვეს. ოღონდ, ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ ომამდე არ იცოდნენ, რა ხდებოდა ერაყში, ანდა ის, რომ აჰმად ჩალაბი ერაყელებში უკიდურესად არაპოპულარული ფიგურა იყო.

და კიდევ რამდენიმე მიზეზი: ჩალაბი ერაყში დაბრუნების შემდეგ, მმართველ საბჭოში ყოფნისას, უშუალოდ კურირებდა პარტია "ბაასი"-ს წევრთა მიმართ განხორციელებულ რეპრესიებს. ეს რეპრესიები მოგვიანებით შეწყდა, როცა გამოირკვა, რომ მისი განხორციელების შედეგად უსამართლოდ იქნენ დათხოვნილნი მაღალი დონის პროფესიონალები - მასწავლებლები, მეცნიერ-მუშაკები, საშუალო რგოლის მოხელეები, სამხედრო ოფიცრები. ამერიკელები ეჭვობენ, რომ ჩალაბიმ მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა და პირადი მტრების წინააღმდეგ ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს.

ჩალაბისა და აშშ-ს შორის პირველი განხეთქილების სიგნალი აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილის, პოლ ვულფოვიცის გამოსვლა იყო. ვულფოვიცმა განაცხადა, რომ ჩალაბის "ერაყის ეროვნულ კონგრესს" დაფინანსება შეუწყდება. ვაშინგტონმა მიზანშეწონილად აღარ მიიჩნია, 340 ათასი დოლარი იმ პოლიტიკური ძალის ანგარიშზე გადაერიცხა, რომელსაც მანამდე მილიონები (თურმე, სულ ტყუილად) ჰქონდა უკვე მიღებული. სენატში გამოსვლისას ვულფოვიცმა განაცხადა: "ჩვენ ასეთი დაფინანსების გაგრძელება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ამ გზით, მართალია, ჩვენთვის ძალიან ფასეული სადაზვერვო ინფორმაცია მივიღეთ, მაგრამ მომავალში, ტრადიციული სადაზვერვო არხებით სარგებლობას ვაპირებთ", - ამბობს პენტაგონის მაღალჩინოსანი.

ჩალაბი დროებითი ადმინისტრაციის მმართველ პოლ ბრემერსაც დაუპირისპირდა. ეს დაპირისპირება მაშინ წარმოიშვა, როცა "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" პროგრამასთან დაკავშირებულ კორუფციის ფაქტებზე გამოძიების ხელმძღვანელობის საკითხი წყდებოდა. აშშ-მ მიიჩნია, რომ ჩალაბის აღნიშნულ გამოძიებაში რაიმე სახით მონაწილეობა სანდო ინფორმაციის მიღებას ეჭვქვეშ დააყენებდა.

ახლა, "საძულველ" ამერიკელებთან დაპირისპირებამ ერთ დროს არაპოპულარულ ერაყელს შესაძლოა თანამემამულეთა შორის გავლენა გაუზარდოს. დღეს უკვე ერაყელები მას "ოკუპანტებთან" თანამშრომლობას ვეღარ დააბრალებენ, ანუ ერაყში კიდევ ერთი "სახალხო" ლიდერი წარმოიშვა.

ლატვია - "კაგებეს" აგენტები დღის სინათლეზე

გუშინ ლატვიის პარლამენტმა თითქმის ერთხმად დაუჭირა მხარი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იმ ათასობით საიდუმლო დოკუმენტის გამოქვეყნებას, რომელიც ლატვიაში სსრკ-ს დაშლის შემდეგ დარჩა.

ამ გადაწყვეტილების თანახმად, ლატვიის ყველა მოქალაქეს შეეძლება, სურვილის შემთხვევაში, მოიძიოს და გაეცნოს ლეგენდარული სუკ-ის საიდუმლო დოკუმენტაციას. პარლამენტის დადგენილების მიუხედავად, ლატვიის საზოგადოების გარკვეულ წრეებში მაინც არსებობს იმის შიში, რომ ამით ძალიან ბევრი დაფარული საქმე ამოტივტივდება ზედაპირზე და მრავალი ღირსეული ადამიანის რეპუტაციას ზიანი მიადგება. ლატვიის კანონმდებლობის თანახმად, მოქალაქე, რომელიც კაგებესთან თანამშრომლობდა, სახელმწიფო სტრუქტურაში რაიმე პოსტის დაკავებას ათი წლის განმავლობაში ვერ შეძლებს.

ჯერ კიდევ 1994 წელს, ლატვიის თითოეულმა მოქალაქემ მიიღო უფლება, მის შესახებ კაგებეს მიერ შექმნილ დოსიეს გაცნობოდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ესა თუ ის მოქალაქე სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობის დაწყებას მოინდომებდა, მაშინ ეს დოსიე ყველასათვის საჯარო ხდებოდა და პრესაში უნდა გამოქვეყნებულიყო.

ეს პრაქტიკა დღემდე მოქმედებს, რამაც არცთუ ისე ცოტა პოლიტიკური მოღვაწის კარიერა იმსხვერპლა. ასე მაგალითად, პარლამენტის წევრებს იური ბოიარს და იანის ადამსონს დეპუტატის მანდატები ჩამოერთვათ, როდესაც კაგებესთან მათი თანამშრომლობის დამადასტურებელი დოსიე პრესაში გამოქვეყნდა.

თუმცა, ლატვიის პარლამენტის გადაწყვეტილებას საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერა გააჩნია. ლატვიელებს არ სურთ ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები ჰყავდეთ, რომლებიც საბჭოთა იმპერიის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ. კაგებესთან კავშირი ლატვიის ღალატის ტოლფასია, - მიიჩნევენ ლატვიელები. **"ეს კანონი საშუალებას იძლევა, ამ დოკუმენტებს საიდუმლოების გრიფი მოეხსნას. მე ვფიქრობ, რომ ამ დოკუმენტების გასაიდუმლოებას უფრო მეტი ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის, ვიდრე სიკეთე,"** - განუცხადა სააგენტო "ბიბისის" ლატვიის სეიმის დეპუტატმა მარის გრიბლატსმა.

კაგებეს არქივების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელი ინდულის ზალიტე კი აცხადებს, რომ ეს დოსიეები არასრულია. მისი თქმით, არქივებში შენახულია მხოლოდ აგენტთა სახელები, რომლებიც უშიშროების კომიტეტმა 1991 წლამდე გადმოიბირა, მაგრამ არავითარი ცნობები არ არსებობს იმის თაობაზე, თუ რა სფეროში მოღვაწეობდნენ ეს ადამიანები, დაკონსერვებული აგენტები იყვნენ თუ აქტიურად მოქმედნი.

"არქივში შემონახულ სიებში დაფიქსირებულ აგენტთა 85 პროცენტი არავითარ პოლიტიკურ საქმიანობაში არ იყო ჩართული. ამ ხალხს 1940-1950-იანი წლების სისხლიან პერიოდზე არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მსხვილ აგენტებზე არსებული მონაცემები კი, უკვე დიდი ხანია, მოსკოვშია გადაგზავნილი," - აცხადებს ზალიტე.

მისი აზრით, ამ დოკუმენტებს გრიფი "საიდუმლო" კიდევ 40-50 წლის განმავლობაში უნდა შეუნარჩუნდეს, ანუ, ვიდრე არქივებში მოხსენიებული აგენტები არ გარდაიცვლებიან.

მიუხედავად ამისა, ლატვიის საზოგადოება არქივების გახსნას მოუთმენლად ელოდება, თუმცა კაგებეს ყოფილ აგენტებზე იგივეს ვერ ვიტყვით. გამორიცხული არ არის, რომ ლატვია ახალი სკანდალების წინაშე აღმოჩნდეს.

მეცნიერება სჭირდება ყველას, არა მხოლოდ მეცნიერებს

პირველი გვერდიდან

როგორც მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ვანო კილურაძემ განაცხადა, საბიუჯეტო დაწესებულებების პროგრამულ დაფინანსებაზე გადაყვანის დოკუმენტი ჯერ კიდევ 2003 წელს მუშავდებოდა. ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა რამდენიმე ადამიანს დაავალა წინადადებათა შემუშავება იმის თაობაზე, თუ როგორ იქნას გადაყვანილი ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია არასაბიუჯეტო სფეროში.

"ამ წინადადებათა შემუშავებაზე 27 კაცი მუშაობდა, მათ შორის - კულტურის, განათლებისა და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები. ისინი ამ სამუშაოში ხელფასს იღებდნენ და, რამდენადაც მე ვიცი, მთავრობის დავალებით, მათ ბატონი ბადრი პატარკაციშვილი აფინანსებდა. შემდეგ ეს წინადადებები წარუდგინეს ამერიკის სახაზინო დეპარტამენტის თანამშრომელს, ბატონ დევიდ ჯენტრს, რომელმაც ნამუშევარი უარყოფითად შეაფასა და მას სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია უწოდა, - განაცხადა ბატონმა ვანომ, - **მათ უნდათ საქართველოში მართვის ტოტალიტარული მეთოდები აღადგინონ. როგორ უნდა დანიშნოს მინისტრმა 100-ზე მეტი დირექტორი და როგორ, რა მექანიზმებით უნდა განახორციელოს კონტროლი? რატომღა ვატარებთ ატესტაციას იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მერე საბიუჯეტო აღარ უნდა იყოს?"**

მიუხედავად მთავრობის მიმართ გამოთქმული პრეტენზიებისა, არავინ დავობდა იმაზე, რომ მეცნიერებათა აკადემიის სისტემას რეფორმა სჭირდება. **"ახლა ისეთი დანადგარებით გვიწევს მუშაობა, რომ ხუთ წელიწადში ექსპერიმენტული ინსტიტუტები, ალბათ, საერთოდ დაიხურება"; "ადმინისტრირების პროცესში აქტიურმა არააკადემიკოსმა მეცნიერებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა",** - ისმოდა დარბაზში. პრეტენზიები გამოითქმოდა ატესტაციის დებულების მიმართაც, რომელიც თავად მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა შეიმუშავეს, ბატონ ვანო კილურაძის მეთაურობით. თუმცა აკადემიის სისტემის დღევანდელი მდგომარეობის მაკრიტიკებელნი აშკარა უმცირესობაში იყვნენ. დამსწრეთაგან რადიკალური კრიტიკით მხოლოდ ორი ადამიანი გამოვიდა. მათ განაცხადეს, რომ აკადემიის საფუძვლიანი რეფორმა ჯერ კიდევ 15 წლის წინათ უნდა დაწყებულიყო.

მეცნიერების სფეროს რეფორმა - აკადემიკოსთა სამსჯავროზე.

სახელისუფლო წრეებიდან სხდომას ესწრებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბატონი სანდრო დიდებულიძე. **"სამთავრობო წრეებში არც ჩემი თანდასწრებით და, რამდენადაც მე ვიცი, არც ისე, არავითარი საუბარი მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებაზე არ ყოფილა. როდესაც აკადემიის დაღუპვაზე ვსაუბრობთ, გავითვალისწინოთ, რომ ამ ათწლეულის განმავლობაში ჩვენმა მეცნიერებამ 10 000 მეცნიერი დაკარგა. აი, ახლა დარბაზს რომ ვუყურებ, ახალგაზრდა სახეებს ვერ ვხედავ. ეს დამღუპველია ჩვენი მეცნიერებისათვის. კიდევ ერთხელ გარწმუნებთ, რომ საქართველოში მეცნიერებას საფრთხე არ ემუქრება. თუ, მართლაც, რაიმე საშიშროება შეიქმნება, მე შემიძლია, პირობა დაგიდოთ, რომ ამაში მონაწილეობას არ მივიღებ და გადავდგები. არ გვინდა აჟიოტაჟი, ამას ჯობს, დავსხდეთ და ერთად ვისაუბროთ მეცნიერების გადასარჩენად",** - განაცხადა მან.

მეცნიერებმა მიიღეს მიმართვა, სადაც ითხოვენ, რომ რეფორმირებულ მეცნიერებათა აკადემიას საბიუჯეტო ორგანიზაციის სტატუსი უნდა მიენიჭოს, მასში შემავალი კვლევითი დაწესებულებები კი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარჩნენ.

ჩვენთან საუბრისას განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კახა ლომაიამ განაცხადა, რომ ამ რეფორმით მხოლოდ იურიდიული კაზუსი გვარდება და სხვა არაფერი: **"არსებობს კანონი საჯარო იურიდიული პირის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს მეორეს. მეცნიერების მართვა და მეცნიერების სტრატეგიის განვითარებაში პრიორიტეტების გამოხატვა, რა თქმა უნდა, მეცნიერთა საქმეა. ჩვენი როლი ძალიან მოკრძალებულია. მეცნიერული ხელმძღვანელობა აკადემიამ უნდა განახორციელოს, მათ უნდა გვირჩიონ, რა იყოს პრიორიტეტი, ჩვენ კი, ამის მიხედვით, მხოლოდ ადმინისტრაციულ-ფინანსურ მართვას უზრუნველვყოფთ".**

იქ, სადაც ავადმყოფები კვდებიან!

იქ, სადაც ავადმყოფები კვდებიან, გუშინ იმყოფებოდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი. სტაციონარად გადაკეთებული რკინიგზის ტუბდისპანსერიდან იგი თავზარდაცემული გამოვიდა.

ზაზა ფაჩუაშვილი

"აქედან ავადმყოფები არ ეწერებიან, ისინი აქ კვდებიან და მხოლოდ ასე თავისუფლდება საწოლი, რომელსაც მაშინვე იკავებს სხვა ავადმყოფი", - ასეთი განცხადება გააკეთა ახალი შემთხვევების განყოფილების გამგემ ნანა ქირიამ, რომელმაც მინისტრთან შეხვედრის დროს კოლექტივის სახელით ისაუბრა. შენობაში, რომელსაც საავადმყოფოს ვერ დაარქმევ, 110 ადგილია, მაგრამ 197 საწოლი დგას და ამდენივე ავადმყოფი ლაფავს სულს. სტაციონარში მხოლოდ უმძიმესებს აწვენენ, მაგრამ, როგორც ექიმებმა განაცხადეს, უადგილობის გამო, უკან ისეთ ავადმყოფებსაც უშვებენ, რომელთაც დაავადების ღია ფორმა აქვთ და პირიდან სისხლი გადმოდით. თუმცა, იმ პირობებში დაწოლა სულაც არ არის განკურნების გარანტია; პირიქით უფროა, რასაც მინისტრმაც გაუსვა ხაზი, - როგორ შეიძლება აქ ვინმე განიკურნოსო. განიკურნოს კი არა, როგორც ექიმებმა თქვეს, სამედიცინო პერსონალის 10 წარმომადგენელი თავად დაავადებულა. ჭიპაშვილს არც ეს გაჰკვირვებია და საერთო მდგომარეობას კატასტროფული უწოდა. ყველაფერი კი წინა მთავრობას დააბრალა, რომელმაც, მისი თქმით, რეფორმა და ოპტიმიზაცია მოუფიქრებლად ჩაატარა და არც მმართველობაში ივარგა.

ლადო ჭიპაშვილი: "ეს არის ნათელი დადასტურება იმისა, თუ სადამდე მიგვიყვანა ყბადაღებულმა და წინა ხელისუფლების მიერ ფართოდ რეკლამირებულმა ოპტიმიზაციამ. ჩვენ, ფაქტობრივად, ვდგავართ დარგის მთლიანი მოშლისა და განადგურების წინაშე. თუ არ მივიღებთ სასწრაფო ღონისძიებებს, დარგი დაიშლება, ქვეყანაში კი მოხდება ტუბერკულოზის ეპიდემიის აფეთქება, რომელიც წალეკავს ყველაფერს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ეს საშიში სიმპტომები უკვე სახეზეა.

,სამიოდე დღის წინათ ჟენევაში შევხვდი გაერო-ს გლობალური ფონდის პრეზიდენტს, რომელმაც ჩემს კითხვაზე, - თუ რატომ არ შეიტანეს ტუბერკულოზი გლობალური ფონდის გრანტში, - მხრები აიჩეჩა. მოგეხსენებათ, გლობალური ფონდი გვეხმარება შიდსისა და მალარიის მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. ორივე ძალიან საჭირო დახმარებაა, მაგრამ ვერავინ დამიმტკიცებს, რომ ტუბერკულოზი ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს. ამიტომ, სასწრაფოდ მივიღეთ ზომები და შევეცდებით, რომ გლობალური ფონდის დახმარება ტუბერკულოზის პროგრამამაც მიიღოს. მაგრამ, ამას თვეები დასჭირდება.

რაც შეეხება "დოც-პლუსს" (ტუბერკულოზთან ბრძოლის სტრატეგია), მე არა ვარ ამ სფეროს სპეციალისტი, მაგრამ რადგან მსოფლიო ამ სტრატეგიას ავითარებს, ჩვენც არ გვმართებს უარის თქმა. ჟენევაში ვესაუბრე ამ დარგის სპეციალისტებსაც და მივიღე დაპირება, რომ უახლოეს თვეებში განიხილება ჩვენი საკითხი და "დოც-პლუსის" პრეპარატებს ჩვენ შემოვიტანთ 90-პროცენტიანი ფასდაკლებით. ასე რომ, მომავალი წლიდან "დოც-პლუსის" პროგრამაზე გადასვლა აბსოლუტურად რეალური იქნება.

რა თქმა უნდა, 110 საწოლი საკმარისი არ არის, რასაც პრაქტიკაც ადასტურებს. ამიტომ, მე ვთხოვე მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობას, რომ პირველადი ჯანდაცვის 40- მილიონიანი პროექტიდან, სადაც მსოფლიო ბანკის წილი 23 მილიონია, გამოიყოს გარკვეული თანხები ცენტრის რეაბილიტაციისთვის და იმედი მაქვს, რომ ეს ძალიან სწრაფად განხორციელდება (დავაყენებთ საწოლების რაოდენობის გაზრდის საკითხსაც, რომ 200 მაინც იყოს). ავადმყოფებს მანამდე რა ვუყოთ, ეს იქნება ჩემთვის, ალბათ, ყველაზე დიდი თავსატეხი და ძნელად გადასაჭრელი პრობლემა".

მინისტრმა საკადრო ცვლილებების საკითხიც დააყენა და თქვა, რომ ორშაბათს კატეგორიულად მოსთხოვს ქონების მართვის სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს გადახალისებას. მინისტრი, ასევე, კატეგორიულად მოითხოვს, რომ ახალი ხელმძღვანელობის დანიშვნა მოხდეს მასთან შეთანხმებით; კოლექტივს კი დაჰპირდა, - მე ყველაფერს თქვენთან შევათანხმებო.

მინისტრს არ დახვედრია ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორი პროფესორი გიორგი ხეჩინაშვილი, რომელიც მოულოდნელად შვებულებაში წასულა. ამის შესახებ მას კომენტარი ვთხოვეთ.

- რატომ არ დახვდით მინისტრს?

- ძალიან ვწუხვარ, რომ შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მივიღე, მაგრამ მინისტრის ვიზიტის შესახებ მე ოფიციალურად ინფორმირებული არ ვიყავი. რაც შეეხება შვებულებაში გასვლას, მიზეზი არის არა გარიდება, არამედ მუშაობა იმაზე, რომ მე სულ მალე ძალიან სერიოზულ დონეზე წარმოვადგენ ყველა პრობლემას, იმისათვის, რომ მოინახოს გამოსავალი.

- ადრე რატომ არ შეხვდით მას?

- ბატონი ლადო ჭიპაშვილი დაინიშნა სამიოდე კვირის წინათ, მაგრამ, ჩემი დიდი მცდელობის მიუხედავად, მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე. მინდოდა, ყველა ამ საჭირბოროტო საკითხზე გვესაუბრა, მაგრამ მისმა მოუცლელობამ ხელი შეგვიშალა. ბატონ ლადოს სახელზე გაგზავნილია ჩემი მოხსენებითი ბარათი, სადაც მე კონკრეტულად და კატეგორიულად ვითხოვ, რომ დღეს ცენტრს ესაჭიროება, მინიმუმ, 200 საწოლი. ვინაიდან მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხებისა და რეგულაციების შესაბამისად, თბილისში შესაძლებელია მხოლოდ 110 საწოლის აღდგენა (მსოფლიო ბანკის პროექტი, ასევე, გულისხმობს საწოლების გახსნას გურჯაანში, რუსთავში, ქუთაისში და 100 საწოლის მოწესრიგებას აბასთუმანში), ამიტომ დანარჩენი თანხა ქვეყანამ უნდა გამონახოს. ეს აუცილებელია, რათა შეიქმნას პაციენტთა მკურნალობისა და მედპერსონალის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი პირობები. საერთოდ, ყველამ უნდა გაიგოს, რომ ტუბერკულოზის პრობლემის მოგვარება სახელმწიფოს დონეზე უნდა მოხდეს.

- მინისტრის განცხადებით, გაუგებარია, რატომ არ გაკეთდა განაცხადი გაერო-ს გლობალური ფონდის გრანტის მოსაპოვებლად?

- გაერო-ს გლობალურ ფონდში ჯერ კიდევ გასულ წელს წარვადგინეთ განაცხადი. როგორც ჩანს, ეს არის წარმატებული განაცხადი, ვინაიდან ჩვენთან ერთად იმუშავა ჯანმო-ს სერიოზულმა ექსპერტმა და ძალიან დიდი შანსი გვაქვს, რომ საქართველომ ტუბერკულოზთან ბრძოლისათვის მიიღოს 7 მილიონი დოლარი. გვაქვს ინფორმაცია, რომ ჩვენმა განაცხადმა პირველი ეტაპი უკვე გაიარა და ყველა მონაცემს აკმაყოფილებს. ეს ძალიან კარგად იცოდა ბატონმა გიგი წერეთელმა, მაგრამ ის ისე სწრაფად შეიცვალა, რომ, ეტყობა, ამის თქმა ვერ მოასწრო.

- როგორც მინისტრმა ბრძანა, მის მიერ მიღებული ზომების შედეგად მომავალი წლიდან საქართველოში დაიწყება "დოც-პლუსის" სტრატეგია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქრონიკული ავადმყოფებისთვის მეორე რიგის წამლებს მივიღებთ.

- ვერავინ ვერ დაიწყებს "დოც-პლუსის" სტრატეგიას საქართველოში, თუ არ შესრულდა ყველა ის წესი, რაც ამისათვის აუცილებელია. წესი ასეთია: კოორდინატორმა უნდა მოიწვიოს ჯანმო-ს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის) ექსპერტი, რომელიც შეისწავლის ვითარებას. მისი დადებითი დასკვნის შემდეგ ხდება განაცხადის შეტანა მწვანე შუქის კომიტეტში, რომ ქვეყანა მზადაა, შეიძინოს მეორე რიგის პრეპარატები. თითო პაციენტზე წელიწადში 13 ათასი ამერიკული დოლარი უნდა დაიხარჯოს (ასეთი პაციენტი ჩვენ წელწადში 600 გვყავს). თუ ჩვენ აგვინთეს მწვანე შუქი, მაშინ ერთი პაციენტი წელიწადში 3 ათასი დოლარი დაჯდება.

ჩვენ შევამზადეთ ყველაფერი - მოვიწვიეთ ჯანმო-ს ექსპერტი პიერ პაოლო კოლომბანი, რომელმაც თქვა, - საქართველო, ალბათ, მზადაა "დოც-პლუსისთვისო", - და მირჩია განაცხადის გაკეთება, მაგრამ საუბარია თბილისზე და პაციენტების გარკვეულ რაოდენობაზე.

- რას ნიშნავს მზადაა?

- კოლომბანიმ ჩვენი მუშაობა დადებითად შეაფასა და თქვა, რომ არის პროგრესი. ის გულისხმობდა შემდეგს: "დოცის" სისტემა ჩვენთან მოწესრიგებულად მუშაობს. ჩვენ დღეს უკეთ ვავლენთ პაციენტებს (სამწუხაროდ, ლაპარაკია თბილისზე, გორზე, რუსთავზე და ქუთაისზე, ვინაიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით "დოცის" სტრატეგიას ვერ ვახორციელებთ); გვაქვს პროგრამის საუკეთესო მენეჯმენტი პოსტსაბჭოურ სივრცეში; არაჩვეულებრივი ლაბორატორია და სასწავლო პროგრამები; ვიმეორებ, ეს არის ჯანმო-ს ექსპერტის შეფასება.

- ე.ი. პრობლემა მხოლოდ საავადმყოფოს არარსებობაა?

- პრობლემები დაიწყო მიწისძვრის შემდეგ, როცა ქალაქის 8-სართულიანი სტაციონარი გამოუსწორებლად დაზიანდა. მას შემდეგ შენობის შერჩევა ვერა და ვერ მოხერხდა. გვინდოდა, დიღმის რკინიგზის საავადმყოფო გამოგვეყენებინა, მაგრამ ჩხაიძის ბარიერი ვერავინ გადალახა. სხვა შენობებიც შევათვალიერე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ამიტომ, მივმართავ ახალ მთავრობას, რომ გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და ეს ახლა მაინც გააკეთოს. შესაფერისი შენობის შემთხვევაში, მსოფლიო ბანკი მზად არის, გამოგვიყოს 2 მილიონი რეაბილიტაციისთვის. ეს სავსებით საკმარისი იქნება.

უსერთიფიკატო უფროსი და აღშფოთებული თანამშრომლები

"თქვენი ახალი ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი არის ერუდირებული, წესიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა. იმისთვის, რომ მას არჩევანის თავისუფალი საშუალება მიეცეს, გთხოვთ, ყველამ დაწეროთ განცხადება გადადგომის შესახებ. მოგეხსენებათ, თქვენი სამსახურის საქმიანობას პროკურატურა იძიებს. ის დარღვევები, რაც აქ დაფიქსირდა, მარტო ყოფილ უფროსს არ ეხება", - ასე წარუდგინა გუშინ სანიტარიული სამსახურის თანამშრომლებს ახალი უფროსი ქალაქის ვიცე-პრემიერმა გიორგი არევაძემ. მისმა კატეგორიულმა ტონმა სამსახურის თანამშრომლების გაღიზიანება გამოიწვია.

თამარ დვალი

სანიტარიული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ახალ უფროსს გუშინ დილის 11 საათისთვის ელოდნენ, ამ სიტყვებმა კი ხასიათი წაუხდინათ. **"აქ ყველანი ადამიანები ვართ და არ შეიძლება, გვითხრან, რომ სამსახურში ვძლებით! შეიძლება, ვიღაც, მართლაც, არღვევდა კანონს, მაგრამ არ შეიძლება, ასეთი სიტყვებით ყველას ერთად მოგვმართონ. ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებია. ახალი უფროსი ჯერ გაგვეცნოს, გვითხრას, რას აპირებს, რა განათლება და გამოცდილება აქვს, რის საფუძველზე გვათავისუფლებს და შემდეგ დაგვატოვებინოს თანამდებობები",** - აღშფოთდნენ ისინი.

"ყოველ შემთხვევაში, იმ კორუმპირებული ხელისუფლების დროს, დავით მესხიშვილს თქვენს სამსახურში არ უმუშავია", - იყო არევაძის პასუხი.

"რადგან ასეთი ინტერესი გამოიწვია იმან, თუ რა მაქვს დამთავრებული, მოგახსენებთ, რომ დამთავრებული მაქვს სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი, ვარ ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი,

ახალი უფროსის წარდგენა სანიტარიულ სამსახურში უსიამოვნო გამოდგა.

გახლდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის პრეზიდენტი და ევროპის მედიკ-სტუდენტთა ასოციაციის სამეცნიერო საზოგადოების დირექტორი. ბოლო დრომდე ვმუშაობდი თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის აღმასრულებელ დირექტორად", - ასე ჩამოაყალიბა თავისი ბიოგრაფია 24 წლის დავით მესხიშვილმა.

ახალი უფროსი კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის დაწყებას აპირებს. მისი თქმით, სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში ქრთამს იმისთვის იღებდნენ, რომ პროდუქტები არ შეემოწმებინათ. **"დამთავრდა ქრთამებით ცნობების გაცემის დრო. დაუნდობელ ბრძოლას ვუცხადებთ ყველას, ვინც კორუფციის გზით ცდილობს ხალხის ჯანმრთელობის შელახვას. გუშინ გავიგე, რომ სამსახურში ბევრს ჩემი ასაკი გაუხარდა, - თითქოს, პატარა ვარ და კორუფციულ ელემენტებს გამომაპარებენ. მინდა, იმედი გავუცრუო ყველას, ვინც ასე ფიქრობდა. ხვალვე გავალ პროდუქტების შესამოწმებლად და უმკაცრესად დავსჯი იმ ობიექტის ხელმძღვანელებს, რომელთა პროდუქციაც ვადაგასული იქნება. გავხსნი ცხელ ხაზსაც, რომ მოსახლეობამ ყველა შემჩნეული დარღვევა მაცნობოს",** - განაცხადა მესხიშვილმა.

როგორ მოახერხებს შემოწმებების განხორციელებას ქალაქის სანიტარიული სამსახურის ახალი უფროსი, მთლად ნათელი არ არის - სანიტარიული ექიმის სტატუსი, რომელსაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული შესაბამისი სასერთიფიკაციო კომისია მხოლოდ სპეციალური გამოცდების ჩაბარების შემდეგ იძლევა, დავით მესხიშვილს ჯერ არ აქვს. როგორც "24 საათმა" გაარკვია, დღეისთვის გამოცდის სავარაუდო თარიღიც არ არის დადგენილი. თუმცა, ახალგაზრდა ჩინოვნიკი საჭირო სერთიფიკატის მოპოვებას ერთ კვირაში გვპირდება: **"მე თავად მაქვს სურვილი, რომ მთავარი სანიტარიული ექიმის წოდება მქონდეს, თორემ ეს სავალდებულო არ არის. მაქსიმუმ, ერთ კვირაში სახელმწიფო სერთიფიკატს ავიღებ, მანამდე კი ცნობებს მთავარი სანიტარიული ექიმი გასცემს".**

სამართალი

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" გენერალური პროკურატურის ქმედებას აპროტესტებს

რამდენიმე თვის წინ გენერალური პროკურორის მიერ გამოცხადებული სადამსჯელო ღონისძიება - "პოლიციური კვირეული", რომელმაც ბევრ სამხრეებიანს სიმშვიდე დაუფრთხო, მართალია, დაიწყო, მაგრამ გენპროკურორის მიერ დაპირებული შედეგით არ დასრულებულა. შს მინისტრის ყოფილი მოადგილე, შემდეგ საქართველოს საპასპორტო-სავიზო განყოფილების უფროსი დავით თოდუა და საგზაო პოლიციის ყოფილი უფროსი დავით კობახიძე გენერალურ პროკურატურაში რამდენჯერმე მიიყვანეს, რამდენიმე საათიანი საჩვენებელი დაკითხვა მოაწყვეს და ატეხილი სკანდალიც ამით დასრულდა

საუბარი იყო 2002-2003 წლებში საგზაო პოლიციის მიერ უკანონოდ რეგისტრირებულ 20 ათას მანქანაზე, რის გამოც საქართველოს ბიუჯეტმა სოლიდური - 20-მილიონიანი ზარალი მიიღო. გარდა უკანონო რეგისტრაციებისა, დასკვნაში, რომელიც ანტიკორუფციულმა საბჭომ შეადგინა, საგზაო პოლიციის მიერ დაშვებული სხვა სერიოზული სამართალდარღვევებიც გახლდათ გაშიფრული და კონკრეტულად იყო მითითებული დანაშაულში მხილებულ მაღალჩინოსანთა გვარები.

სხვათა შორის, საგზაო პოლიციის კორუფციულ საქმიანობაზე ხმაური ჯერ კიდევ კობა ნარჩემაშვილის მინისტრობის დროს ატყდა, უფრო ზუსტად, ანტიკორუფციულმა საბჭომ იხმაურა და, ფაქტობრივად, უშედეგოდ - კობა ნარჩემაშვილმა დავით კობახიძე თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლა. მოგვიანებით პოსტრევოლუციურ ეპოქაში სკანდალურად წამოწეული საქმე კვლავ მაღალჩინოსანთა სასარგებლოდ დასრულდა. "პოლიციური კვირეულის" ავტორი, გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც საგზაო პოლიციის მაღალჩინოსანთა მისამართით მუქარას არ იშურებდა, დავით თოდუას თანამდებობიდან გადაყენებას დასჯერდა. ერთი სიტყვით, ახალმა გენერალურმა პროკურორმა ყოფილი კოლეგების ძველი ტრადიცია გაიმეორა - საგზაო პოლიციაში ჩატარებული მსხვილი კორუფციული საქმიანობა ამ საქმეში გარეულ მაღალჩინოსნებს შეარჩინა. სამაგიეროდ, სამართალდამცველთა რისხვა დაატყდათ უდანაშაულო ადამიანებს - 2002-2003 წლებში უკანონოდ განბაჟებული მანქანების მფლობელებს.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" პროკურატურის მიერ განუბაჟებელ ავტომანქანებთან დაკავშირებით დაწყებულ კამპანიას უკანონოდ მიიჩნევს. ასოციაციის წევრთა განცხადებით, მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის და გენერალური პროკურორის დაპირებისა, რომ კეთილსინდისიერ მფლობელებს ხელახალი განბაჟების თანხებს და ჯარიმას არ გადაახდევინებდნენ, ეს პროცესი მაინც გრძელდება - საბაჟო სამსახური და პროკურატურა ხალხს თანხის გადახდას უკანონოდ აიძულებს.

ასოციაციის წარმომადგენლის თინათინ ხიდაშელის თქმით, პროკურატურა ვალდებულია, ამ საქმეში მთავარი დამნაშავეები დაადგინოს და ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის გადახდა მათ დააკისროს. არადა, ამის ნაცვლად, პროკურატურა უდანაშაულო ადამიანებს აიძულებს, განბაჟებისთვის საჭირო თანხა გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მანქანას პროკურატურაში "დაპატიმრება" ელის.

თინათინ ხიდაშელის განცხადებით, ყველა ავტომანქანის მფლობელმა, თავის დროზე, სახელმწიფო უწყებებიდან ტექპასპორტი და მფლობელობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია აიღო, ახლა კი კეთილსინდისიერ მფლობელებს განბაჟების თანხის ხელახლა გადახდა უწევთ. მისივე თქმით, **"ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პროკურატურა ერიდება იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, რომლებმაც ქვეყნის ბიუჯეტი ნამდვილად აზარალეს. პროკურატურა დამნაშავეებს იქ არ ეძებს, სადაც უნდა ეძებოს,"** - აცხადებს თინათინ ხიდაშელი.

ორგანიზაციის წევრის, დაზარალებულ მძღოლთა ადვოკატის ბესო აბაშიძის ინფორმაციით, ამჟამად შსს-ს საგზაო პოლიციას დაევალა, არ დააყენოს აღრიცხვაზე ავტომანქანები და არ გასცეს მანქანის ტექპასპორტი მანამ, სანამ არ იქნება გადახდილი მანქანის განბაჟებისა და ჯარიმის თანხა. ასოციაციის წევრები მოითხოვენ, პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც ყალბი დოკუმენტაციების გაცემის სისტემა შექმნეს. **"იმის ნაცვლად, რომ პროკურატურას აღნიშნულ საქმეში მთავარი დამნაშავეები დაედგინა და მათთვის ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის გადახდა დაეკისრებინა, დღეს ისევ უდანაშაულო ადამიანები იძულებით იხდიან თანხას,"** - აცხადებენ ასოციაციის წევრები.

იურისტთა ასოციაცია გენერალური პროკურატურისგან მოითხოვს, საბოლოოდ მოგვარდეს უკანონოდ განბაჟებული მანქანების საკითხი და საზოგადოებას აცნობონ, ვინ არის კორუფციული სისტემის შექმნაში დამნაშავე.

24 საათი

ემზარ კვიციანი გელაევის რაზმის კოდორის ხეობაში გადაადგილების გამოძიებას ითხოვს

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი იზიარებს კონფლიქტების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს პროკურატურამ სპეციალური გამოძიება უნდა ჩაატაროს 2001 წლის შემოდგომაზე ხეობაში რუსლან გელაევის 500-კაციანი რაზმის მოხვედრის ფაქტთან დაკავშირებთ.

კვიციანი გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიურად ითანამშრომლოს პროკურატურასთან ჩეჩენ ბოევიკთა რაზმის სამეგრელოში და კოდორის ხეობაში ყოფნის შესახებ მისთვის ცნობილ ფაქტებთან დაკავშირებით.

გოგა ხაინდრავას მსგავსად, ემზარ კვიციანი მიიჩნევს, რომ ჩეჩნური რაზმის ჯერ წალენჯიხის რაიონში და შემდეგ კოდორის ხეობაში მოხვედრა ეროვნული ინტერესების საზიანოდ, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქცია იყო. **"პანკისის ხეობიდან ჯერ სამეგრელოში და შემდეგ კოდორის ხეობაში ჩეჩნური რაზმის გადასროლით რუსებმა ანტიქართული საქმე ქართველი მაღალჩინოსნების ხელით განხორციელეს,"** - აცხადებს ემზარ კვიციანი.

კვიციანის თქმით, საქართველოს პროკურატურამ უნდა გამოიძიოს არა მარტო გელაევის რაზმის სამეგრელოში და კოდორის ხეობაში მოხვედრის ისტორია, არამედ ჩეჩენთა შეიარაღებული რაზმების პანკისის ხეობაში გამოჩენასთან დაკავშირებული პროცესებიც.

კვიციანი, რომელიც 2001 წლის შემოდგომაზე ხელისუფლების დავალებით ჩეჩენთა რაზმის კოდორის ხეობაში მოხვედრასთან დაკავშირებული პროცესების მონაწილე აღმოჩნდა და რამდენიმეჯერ შეხვდა რუსლან გელაევს, დარწმუნებულია, რომ ჩეჩენმა საველე მეთაურმა **"არ იცოდა, რომ ქართველთა წინააღმდეგ მოქმედებდა და როგორც ეტყობა, ამ ნაბიჯის გადადგმა მას თავად ქართველმა მაღალჩინოსნებმა შესთავაზეს".**

რაც შეეხება ამ პროცესებში პირადად მის მონაწილეობას, კვიციანის განცხადებით, ჩეჩენთა რაზმის სამეგრელოში გამოჩენის შემდეგ მან, როგორც მეგზურმა, ხელისუფლების დავალება შეასრულა და "დარწმუნებული იყო, რომ კოდორის გავლით გელაევის რაზმი ჩეჩნეთში გადავიდოდა".

ჩეჩენთა რაზმის კოდორის ხეობაში მოხვედრის ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურის მიერ საქმის აღძვრის შესახებ ოფიციალური განცხადება სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ მას შემდეგ გააკეთა, რაც სოხუმში გაერო-ს ეგიდით გამართულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ინტერ-პრესი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე

აცხადებს კონკურსს

საეთერო ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია") სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის და/ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა „სამცხე-ჯავახეთის მასმედიის განვითარების რეგიონალურმა ასოციაცია"-მ მე-6 სამაუწყებლო ზონაში საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დადგენილი მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმა მე-6 სამაუწყებლო ზონაში ითვალისიწნებს შემდეგ თავისუფალ სიხშირულ რესურსს: ნინოწმინდის რაიონში – მე-8, ახალქალაქის რაიონში – მე-12, ახალციხის რაიონში – 28-ე, ბორჯომის რაიონში – 32-ე, წალკის რაიონში – 29-ე არხები.

კანონმდებლობით მაუწყებლებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე, სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 455 მუხლის, „კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიამ

გადაწყვიტა:

1. გამოცხადდეს კონკურსი მე-6 სამაუწყებლო ზონაში საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) ხუთი გადამცემის გამოყენებით:

	სამაუწყებლო ზონა	ანტენის განთავსების ადგილი	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის სიმაღლე მიწის ზედ. მ	სატელევიზიო არხი	სიმძლავრე კვტ	მაუწყებლობის საშ. რად. კმ.
1	6	ნინოწმინდა	43E35; 41N16	35	8	0.02	5
2	6	ახალქალაქის ანძა	43E25; 41N21	60	12	0.02	5
3	6	ახალციხე	42E57; 41N38	50	28	0.5	30
4	6	ბორჯომი	43E22; 41N49	25	32	0.25	20
5	6	წალკის ანძა	44E14; 41N38	45	29	0.25	20

შენიშვნა:

სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N 267 გადაწყევტილების პირველი პუნქტით.

გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 50-150 მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

ბ) სამოქმედო ზონა – სამაუწყებლო ზონა 6

გ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს **57 946 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ორმოცდაექვსი) ლარით;**

დ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს **2004 წლის 17 სექტემბერი 12:00** საათი.

ე) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს **2004 წლის 16 ივლისის 17 საათამდე;**

2. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;

ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

3. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

4. კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

5. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 452 და 362 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;

გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის „ბ"–„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სამაუწყებლო სატელევიზიო სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

6. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების.

7. ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.

ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

8. ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);

ბ) სესხები;

გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;

დ) საინვესტიციო ვალდებულებები;

ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

9. პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N267 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის, აგრეთვე სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის (მომხმარებლების) მრავალფეროვანი ინტერესების გათვალისწინებით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

10. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის "დ", "ე", "ვ", "ზ" ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

11. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია – ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

12. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

13. თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 455 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი), რომელიც შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებულ თანხის ოდენობას.

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა.

გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა.

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას.

ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში.

14. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს.

15. სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში.

16. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

17. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ", "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ", „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", „რეკლამის შესახებ" და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.

18. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა პირის ტექნიკური საშუალებების გამოყენების გზით.

19. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

20. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

21. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

22. ლიცენზიის განსაკუთრებული პირობები შეიძლება შეიცვალოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში მოქმედი კანონმდებლობლობის ცვლილების შესაბამისად.

23. საკონკურსო სხდომა საჯაროა.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მისამართზე:

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N 42

ტელ.: 921667 ფაქსი: 921625

ღია წერილი საქართველოს ახალ ხელისუფლებას

"ეროვნული თანხმობის" მონუმენტის დასადგმელად გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით

მოგმართავთ მერიისა და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ "ეროვნული თანხმობის" მონუმენტის დასადგმელად გამოცხადებულ 28-დღიან(?!) ბლიც-კონკურსით გამოწვეულ იმ უხერხულობათა გამო, რომელიც იბადება საკონკურსო პროგრამასთან გაცნობისთანავე.

პროგრამიდან ჩანს, რომ კონკურსი ცხადდება პრეზიდენტის №336 22.04.04 დადგენილების თანახმად. პირველივე უხერხულობას იწვევს პრეზიდენტის დადგენილებაში და საკონკურსო პროგრამაში ძირითადი თემის სხვადასხვაგვარად დასახელება. პირველში მას ჰქვია "ეროვნული ერთიანობა", მეორეში - "ეროვნული თანხმობა". რაკი პროგრამაში, თანახმად საყოველთაოდ მიღებული წესისა, არ არის განმარტებული ძირითადი თემის არსი (რა, როდის, რატომ), კონკურსში მონაწილისათვის ბევრი რამ ბუნდოვანი რჩება, რადგან მან იცის, რომ "ერთიანობა" და "თანხმობა" ერთი და იგივე არ არის.

კერძოდ, თუ ერთიანობაზე იქნება ლაპარაკი, კონკურსანტი სიამოვნებით დაუდგამდა ძეგლს ისეთ ერთიანობას, როგორიც ბალტიისპირელებმა აჩვენეს მათთვის ავის მსურველებსა და მთელ მსოფლიოს, სამი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაჭიმული, სამი ხალხის ხელიხელჩაკიდებული უწყვეტი ჯაჭვის, ჟრუანტელის მომგვრელი დოკუმენტური კინოკადრებით, რითაც თავისუფლების პირველივე დღიდან, გარედან მოსალოდნელ ბოროტებას ცხვირწინ აღუმართეს ერთიანობის შეუვალი კედელი და დღემდე არ დაურღვევიათ იგი. თუ თანხმობაზეა ლაპარაკი, რომელიც ჩვენში არაერთი იყო, კონკურსანტს გაუჭირდება არჩევანის გაკეთება, რომელ მათგანს დაუდგას ძეგლი. ასეთი ძეგლის დადგმა შეეძლო წინა ხელისუფალსაც, - გავიხსენოთ მის წინ მუხლებზე დაშვებული ჩვენი მოქალაქეების, ყველაფერზე თანახმა, მუდარით სავსე თვალები, რაც რიგით მეორე უთანხმოებას მოჰყვა. შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს არც გასული წლის ნოემბრისა და გუშინდელი დღის, მართლაც მნიშვნელოვანმა, მოვლენებმა. ეს იყო იმ უკანასკნელი საბჭოური ბასტიონების ნგრევა, რომლებიც სირცხვილის მომგვრელად ამუხრუჭებდნენ ნამდვილი, დამოუკიდებელი, თავმოყვარე სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს. ეს შთამბეჭდავი სანახაობები იყო, მაგრამ ვერც თავისი სანახაობრიობით და, რაც მთავარია, მიზნითა და მით უმეტეს შედეგით, ვერ გაუტოლდებიან 1989 წლის მარტი-აპრილის მოვლენებს. გავიხსენოთ პარლამენტის შენობის წინ, დანთებული სანთლებით ხელში, ტანკების მოლოდინში გარინდული ზღვა ხალხისა, ციდან ჩამოსული სიმღერა უსინათლო გოგონებისა და ტანკთან ჯოხით შეჭიდებული ყმაწვილი. შემდეგ, - "9 აპრილი" და... თავისუფლება!!! რეალურად განცდილი, კინოდოკუმენტებად ქცეული, მსოფლიოს თვალით ნანახი, ეს აგრეთვე ჟრუანტელის მომგვრელი ჰეროიკული დრამა, შემოქმედს უყოყმანოდ აღებინებს ხელში საჭრეთელს და შეაძლებინებს შექმნას ძალდაუტანებელი შთაგონებით დამუხტული გულწრფელი მემორიალი.

ჩვენ დასადგმელი გვაქვს ჩვენი მთავარი ძეგლი, ძეგლი თავისუფლებისა!!! ქვეყანაზე ალბათ არ არსებობს საკუთარი ღირსების მატარებელი ისეთი ერი, რომელსაც განეცადოს გათავისუფლების ბედნიერება და პირველ რიგში მისთვის არ დაედგას ძეგლი.

იქნებ ღირს, ვაჩვენოთ ყველას, რომ შეგვწევს უნარი, გავარჩიოთ მთავარი მეორეხარისხოვნისაგან, თანაც ბოლომდე არმიყვანილისაგან.

იქნებ ცოდვათაც ჩაგვეთვალოს, რომ აქამდე ძეგლი არ დავუდგით ჩვენს სანუკვარ, საუკუნეების განმავლობაში ნანატრ, განხორციელებულ ოცნებას, მით უმეტეს, რომ იგი თანხლებული იყო მსხვერპლთშეწირვით (ამ თემის ტაქტიანი, მხატვრულად განზოგადებული ფორმით გამოყენება, ერთდროულად, პატივს მიაგებს შეწირულთა ხსოვნას).

ჩვენ გვეძლევა უნიკალური შანსი, ვუჩვენოთ ყველას, თუ როგორია თავისუფლებით ტკბობის ჩვენეული განცდა და ხედვა, - ბოღმისა და შურისძიების სურვილი გარეშე, კეთილშობილური და მიმტევებლური. ეს ერთნაირად სასარგებლო იქნება ჩვენთვისაც და ბოროტების ჩამდენისთვისაც.

საერთოდ, გარდა იმისა, რომ შეცდომაა ჩვენი უახლესი ისტორიის მოვლენების მონათვლა ეროვნული თანხმობა-უთანხმოების სახელით, არც ერთი მათგანი არ განეკუთვნება მოვლენათა იმ კატეგორიას, რომელსაც ახლად თავისუფლებამოპოვებულმა ქვეყანამ თავისი პირველი, ე.ი. მთავარი ძეგლი უნდა დაუდგას. ნუ ვიჩქარებთ. ძეგლის დადგმის ტემპს ნუ მოვაქცევთ კორუფციასთან ბრძოლის ტემპის რეჟიმში, რადგან იგი, განსაზღვრული დროის შემდეგ, აუცილებლად შეიძენს საკუთარი წარმატებებისათვის ნაადრევად დადგმული, ბუნდოვანი პათოსით გამსჭვალული და საკუთარი სილამაზით თავმომწონე მონუმენტის ელფერს.

ჩვენ უნდა გვეჩქარა 9 აპრილის შემდეგ. პარლამენტის შენობის წინ დღესაც დევს ქვა და მისთვის ჩვეული მოთმინებით ელოდება დიდი ხნის დაპირების აღსრულებას. რაც მთავარია, დანაპირებს ელოდება თავისუფლების ჭეშმარიტი შემოქმედი, ჩვენი ხალხი.

თქვენ, რომელთაც შეძელით, უყოყმანოდ დაგეტოვებინათ "ის" თვალთმაქცი გარემო და შეგექმნათ, ბევრის აზრით, ნამდვილი, ჯანსაღი ოპოზიცია, არ უნდა გაგიჭირდეთ გადაწყვეტილების მიღება - კონკურსის თემას შეეცვალოს დასახელება და სრულიად არარეალისტური ვადები.

მიზანშეწონილი იქნება, სახელისუფლებო წარმომადგენლობასთან შეიქმნას მსგავს კონკურსებში გათვითცნობიერებული პროფესიონალებისაგან შემდგარი მოკლევადიანი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც დაადგენს საკონკურსო თემის ახალ დასახელებას (მაგ., ზოგადად, - "თავისუფლება") და რეალისტურ ვადებს, რათა მივიღოთ ისეთი მთავარი ძეგლი, რომელიც გულწრფელად იქნება გამსჭვალული ძეგლის ძირითადი თემის არსით. ეს ხელს ვერ შეუშლის სამუშაოში უკვე ჩართული კონკურსანტების მუშაობას, რადგან კონკურსის დაწყებიდან (22 აპრილი) გასული დრო უმნიშვნელო ნაწილია იმ დროისა, რომელიც საჭიროა ასეთი კონკურსის წარმატებული შედეგებისათვის. გარდა ამისა, ეს აღარ იქნება "ბლიცკონკურსი", რაც მნიშვნელოვნად გაზრდის წარმოდგენილ ნამუშევართა რაოდენობასა და ხარისხს, რადგან კონკურსში ჩააბამს მხატვართა იმ ფართო წრესაც, რომელიც, არცთუ უსაფუძვლოდ, ფიქრობს რა, რომ საქმე აქვს კონკურსამდე შესრულებულ, თქვენ მიერ უკვე მოწონებულ პროექტთან, თავს არიდებს "გაბითურებული" კაცის შეურაცხმყოფელ როლში ყოფნას.

დარწმუნებული ვართ, იგივე მოსაზრებისაა ჩვენი მოქალაქეების ის დიდი უმრავლესობა, რომელმაც, ჩვენთან ერთად, თქვენი ელექტორატი შეადგინა. ჩვენ გვსურს გვჯეროდეს, რომ თქვენი მოსვლით საბოლოოდ დაესვა წერტილი სიყალბესა და მოჩვენებითობას.

ჩვენ გვითქვამს, ახლა თქვენ იცით...

საქართველოს მოქალაქეები,
არქიტექტორები: ლამარა ჯალაღანია, თემურ მიქაშავიძე, თენგიზ ქრისტესაშვილი

ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმოთ, ბატონო პრეზიდენტო

იქნებ, ძეგლი უნდა ავუგოთ საუკუნეობრივი ოცნების აღსრულებას - თავისუფლებას

ანატოლი სობჩაკის ბიუსტის გახსნის ცერემონიალზე თქვენ თბილისის მერიას დაავალეთ, რომ "2004 წლის 1 სექტემბერს პარლამენტის შენობის წინ დაიდგას საქართველოს ერთიანობის გრანდიოზული ძეგლი, ვინაიდან 9 აპრილი, პირველ რიგში, საქართველოს ერთიანობის ზეიმია, საქართველოს სულიერი ამაღლების ზეიმი და ამას ჩვენ ყველანი ერთად აღვნიშნავთ!

ძეგლი 1 სექტემბერს დაიდგმება იმის გამო, რომ ეს არის სასწავლო წლის დაწყების დღე და მინდა, ეს ტრადიცია მომავალ თაობებს გადაეცეს!"

თქვენ 9 აპრილს ახალი ინტერპრეტაცია მიეცით, უფრო სწორად, 9 აპრილის ფაქტის მრავალი მხრიდან "ერთიანობას" გაუსვით ხაზი. გეთანხმებით, საქართველო ისეთი ერთიანი, შეკრული არასდროს ყოფილა, როგორც 9 აპრილს და მის წინა დღეებში, მაგრამ 9 აპრილი ქართველთა ცხოვრებაში, საზოგადოდ, ისტორიის მეხსიერებაში, ტრაგედიის დღეა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვიხოცეს შვილები, დედები და ბებიები, არამედ დაგვამცირეს, აბუჩად აგვიგდეს, დასცინეს ჩვენს ეროვნულ ღირსებას.

კარგად ვიცნობ მრავალი ქვეყნის "მემორიალურ" პრაქტიკას, თავადაც ვარ არაერთი მემორიალის ავტორი, დაწყებული კავკასიის დამცველთა (მარუხის) მემორიალიდან 9 აპრილის ტრაგედიის მემორიალამდე. ძალიან მიჭირს წარმოვიდგინო ერთ მემორიალად "ერთიანობის" საზეიმო, მაჟორული, ამაღლებული თემა ცრემლთან, ტკივილთან, ტრაგედიასთან. ეს თემები სრულიად განსხვავებულ ფსიქო-ემოციურ გადაწყვეტას ითხოვენ. არ არის მიზანშეწონილი სხვადასხვა ისტორიული ფაქტების - ტრაგედიების, გმირობების, გამარჯვებების გაერთიანება და მათი ერთი დიდი მემორიალით აღნიშვნა. ისტორიული ფაქტი ან იმსახურებს ღირსეულად აღნიშვნას, ან საერთოდ არ უნდა აღინიშნოს. ძეგლს უდგამენ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, ფაქტს, პიროვნებებს და არა ოცნებას. ჯერჯერობით საქართველოს არათუ ერთიანობა, არამედ გაერთიანებაც კი ოცნებაა, თუმცა ყოველი ჩვენგანის ღრმა რწმენით, აღსრულებადი. იქნებ, ძეგლი უნდა ავუგოთ საუკუნეობრივი ოცნების აღსრულებას - თავისუფლებას. დავდგათ ის ქვეყნის მთავარ - თავისუფლების მოედანზე.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ მემორიალის გახსნის დღეც დაასახელეთ - 2004 წლის პირველი სექტემბერი. ჩემი ღრმა რწმენით, მემორიალი უნდა დაიდგას მაშინ, როდესაც დაიბადება დიდი მხატვრული იდეა, ნაწარმოები, რომელსაც ექნება ზემოქმედების განსაკუთრებული ძალა. ამ ნაწარმოებმა ჩვენს ქვეყანას ღირსება და პრესტიჟი უნდა შესძინოს. ვადის ამგვარმა განსაზღვრამ განაპირობა კონკურსის წარმოუდგენლად მოკლე ვადა და სხვა სერიოზული დარღვევები, რაც არა მხოლოდ შემოქმედებითი კონკურსების ჩატარების საერთაშორისო წესების უხეში იგნორირებაა, არამედ საბაბი არაჯანსაღი მითქმა-მოთქმისა, თითქოს კონკურსი მორგებულია უკვე არსებულ ნამუშევარზე და ავტორზე, რომ საკითხს, ფაქტობრივად, გადაწყვეტს არა ჟიური, რომელიც გამოცხადებულიც კი არ არის, რაც ასევე დარღვევაა, არამედ ხელისუფლება და სხვა. საკითხავია, რატომ ასეთი ფორსირებული ტემპი? ეს ის შემთხვევაა, როდესაც შემოქმედებითი შედეგი სააზროვნო დროის პირდაპირი შედეგი თუ არა, ამ შედეგის მნიშვნელოვნად განმსაზღვრელია.

ამავე დროს, მინდა ვირწმუნო: თქვენ მიერ ნათქვამი ფრაზა "გრანდიოზული ძეგლი", მიანიშნებს არა ფიზიკურ ზომებს, არამედ მხატვრული აზრის "გრანდიოზულობას".

დაბოლოს, იმის შესახებ, რაც პიროვნულად მე და მოქანდაკე ნოდარ თოფურიას შეეხო. თქვენ ბრძანეთ, რომ კონკურსში გამარჯვებული ნამუშევარი "არ შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს". და ამით ხაზი გადაესვა სოლიდური კონკურსის (მასში 321 პროექტმა, 100-მდე არქიტექტორმა და მოქანდაკემ მიიღო მონაწილეობა) შედეგს. ვიტოვებ უფლებას ვიკითხო - რომელი საზოგადოების? რა ინტელექტის, რა ცენზის? რა კომპეტენციის? რომელმა რეფერენდუმმა დაადგინა ეს საზოგაზდოებრივი აზრი? არსებობს ერთი ჭეშმარიტება - ისტორიის სამსჯავროს წინაშე დგება მხოლოდ კონკრეტული პიროვნება, კონკრეტული პოლიტიკური თუ სახელმწიფო მოღვაწე, ხელოვანი, მეცნიერი და არა კოლექტივი, საზოგადოება, ხალხი. მე შემიძლია დაგისახელოთ ათეულობით ადამიანი, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, რომლებმაც არათუ კულუარულ საუბარში, არამედ წერილობით დააფიქსირეს მაღალი შეფასება კონკურსში გამარჯვებულ პროექტზე, რითაც შედეგზეც აიღეს პასუხისმგებლობა.

9 აპრილის ტრაგედიის ხსოვნის მემორიალზე სამი ღია, რესპუბლიკური კონკურსი ჩატარდა - 1990, 1997 და 1999 წლებში. მე სამივე კონკურსში მივიღე მონაწილეობა, ვთვლიდი რა ამას ჩემს პროფესიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობად. პირველი ორი კონკურსი უშედეგოდ დამთავრდა, მესამეში უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებლით გაიმარჯვა მოქანდაკე ნოდარ თოფურიას და ჩემმა პროექტმა. ჟიურის 17 წევრიდან მას 11-მა პირველი, ხოლო 4-მა მეორე პრემია მიანიჭა. პროექტი შეითანხმა ყველა ინსტანციამ. მათ შორის საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების საბჭომ (ავტორების თხოვნით, რადგანაც ეს საკითხი მათ კომპეტენციაში არ იყო). შემდგომ ხუთ წელიწადში თბილისის ყოფილმა მერმა, ბ-მა ივ. ზოდელავამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მემორიალი არ განხორციელებულიყო, რამაც განაპირობა კურიოზული სიტუაცია - მოქალაქეთა ერთმა ნაწილმა ტრაგედიის მე-14 წლისთავი წარწერიან ქვასთან, ხოლო მეორე ნაწილმა 9 აპრილის ბაღში, სახელდახელოდ დადგმულ მემორიალთან აღნიშნა.

მიმაჩნია: 9 აპრილის ძეგლი, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა აიგოს დამოუკიდებლად, შესაძლებელია 9 აპრილის ბაღშიც, ვინაიდან ის ამ ტრაგედიის არეალია და რიტუალებისთვისაც მოხერხებული. არსებობს ასეთი პრაქტიკა: იმისათვის, რომ გამოირიცხოს რისკი, თუ გნებავთ, აზრთა სხვადასხვაობა ნაწარმოების მხატვრულ-აზრობრივ, ემოციურ საკითხებში, რაც სრულიად ბუნებრივია არა მხოლოდ პროექტის ესკიზურ სტადიაზე, არამედ რეალიზაციის შემდეგაც, სკულპტურული კომპოზიცია უნდა შესრულდეს საპროექტო ზომაში, რბილ მასალაში (თაბაშირი) და დროებით დაიდგას განკუთვნილ ადგილზე. ასე და ამრიგად, შესაძლებელი იქნება ჭეშმარიტების დადგენა. ავტორები მზად ვართ ამისათვის, ეს სრულიად უმნიშვნელო ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ბატონო პრეზიდენტო!

ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს დაგიდასტუროთ ჩემი უდიდესი პატივისცემა თქვენი თანმიმდევრული, ენერგიული და იმედის მომცემი მოღვაწეობისადმი.

პატივისცემით
ვახტანგ დავითაია
10 მაისი, 2004 წ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა საქართველოსთვის პრიორიტეტულ ამოცანად იქცა. 24 მაისიდან გაზეთ "24 საათი" გთავაზობთ ყოველკვირეულ გამოცემას "24 საათი სამხედრო".

იკითხეთ ორშაბათობით

სამხედრო
24 საათი

www.24hours.ge 24 B

შაბათის სტუმარი

სიმღერაში ყველა ცდუნებას გავუძელი

A1 გვერდიდან

- ეს არის ფოლკლორის ფესტივალი, რომელზეც ოჯახური გუნდები გამოვლენ, ისინი, ვინც სიმღერა მუსიკალურ სკოლაში კი არ ისწავლეს, ბაბუებისგან გადმოეცათ და შეინარჩუნეს.

- ასეთი შემსრულებელი ბევრი ნახეთ?

- საკმაოდ. ძირითადად, რეგიონებში. მე გურიაში ვიყავი, იქ ძალიან ბევრნი არიან. აჭარაშიც ვნახე... მოკლედ, ეს ფესტივალი რომ ჩატარდეს, მაგდენი ხალხი არის. იმედი მაქვს, მომავალ წელს მეტი იქნებიან.

- დიდი ხანია ფოლკლორის შესასწავლად რეგიონები არავის შემოუვლია, როგორ გხვდებიან?

- ძალიან უხარიათ. იქ გელოდებიან. ჩვენი ჩასვლის გამო წლების უნახავი ხალხი შეხვდა ერთმანეთს. ერთი პრობლემაა - დიდი ხანია არ უმღერიათ.

- სულ ერთხელ ისადილებენ ერთად და რეპეტიციაც გამოუვათ, არა?

- ჰო, რეპეტიციები მიდის. ფესტივალის ძირითადი ნაწილი ეგ იქნება. საღამოებს ჩვენ დავასრულებთ, "სოფტ იჯექტი", ზუმბა, "მწვანე ოთახი", ბაკურ ბურდული და სუხიშვილები.

- ფოლკლორს შეასრულებთ?

- არა, ჩვენსას, მაგრამ ეს ის ჯგუფებია, ვინც ამ ფესვებს მოწყვეტილი არ არის.

- სხვა მუსიკოსებისგან განსხვავებით, მხოლოდ სახელით მოგიხსენიებენ. არ გიფიქრიათ რატომ?

- სახელია ეგეთი. ისე, აჭარაში ყოფნისას, ორი ნიაზ დიასამიძე გავიცანი.

- გადავწვდეთ ქართულ-ხალხურ შოუბიზნესს. ჩვენს პირობებში ეს ძვირი სიამოვნებაა. ფულიანი მუსიკოსები არ ჩანხართ, როგორ იკვლევთ გზას?

- ვერ დავიჩივლებ, რომ ფინანსურად ცუდად არის საქმე. ნულზე არ ვარ. იმის ფულიც მაქვს, რომ ხანდახან მეგობრები სადმე დავპატიჟო...

- საიდან მოდის ფინანსები?

- მუსიკიდან, კონცერტებიდან. ეს პროფესია თვითონ გიწყობს ხელს, რომ მეტ-ნაკლებად გქონდეს ფული. შეიძლება, სამი თვე ისე გავიდეს, რომ არაფერი მქონდეს. მერე მოდის ორი ფულიანი თვე და ასე გადავანაწილებ ხოლმე. ნისიად მიწევს ცხოვრება.

- სპონსორები არაკომერციულ ჯგუფებს დიდი ხალისით არ უნდა აფინანსებდნენ.

- კომერციულს, ალბათ, მართლაც, ვერ დავირქმევთ. ეს არის მუსიკა, რომელიც შიგნიდან, გულიდან მოდის. ამიტომ ეს კომერციული არ არის. კეთების დროს მუსიკა კომერციულად ჩაფიქრებული არ არის. თუმცა, შეიძლება ეს კარგად გაიყიდოს.

მაგალითად, ფესტივალისთვის ფული ვიშოვეთ, ეს თემა სპონსორებს მოეწონათ. პრესის დიდი მხარდაჭერაც გვაქვს. როცა ასეა, სპონსორი ადვილად მოდის. დიდ ღონისძიებაზე ფულის შოვნა ადვილია. პირად პროექტებზე, საკუთარ ალბომებზე სპონსორი იშვიათად მყავს.

- "არტ-გენი" ვისი აღმოჩენაა?

- ჩემი და ზუმბას საუბარში გაჩნდა. ფესტივალი ტარდება კუს ტბაზე, ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც 10 წელია წყალი არ არის. ამ ფინანსებით ეს სანატრელი წყალი გამოგვყავს, ღობეების შეკეთებას ვიწყებთ და ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ. გვინდა, ამ მუზეუმს ბოლომდე მივცეთ ის სახე, რაც ეკუთვნის.

- არ დადგა მესამე, კულტურული რევოლუციის დრო? არის ამის საფუძველი?

- მაგაზე ვფიქრობთ. ჩვენი მუსიკით პროტესტისგან შორს არ ვყოფილვართ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სწორედ დღეს დილით "მაესტროს" ვუყურებდი...

- ხშირად უყურებთ?

- არა. უბრალოდ, ყველა სხვა არხზე სერიალი იყო. არ მინდა, ბიზნესი გავუფუჭო, ეს მათი საქმეა. მაგრამ, პირველ რიგში, "მაესტროს" სჭირდება კონკურენცია. ბოლო აღარ აქვს ფულისთვის უგუნურად გაკეთებულ საქმეს. იმას აღარ ფიქრობენ, რომ მომავალ თაობას მთლიანად უფუჭებენ გემოვნებას და ხვალ-ზეგ ორმაგი შრომა იქნება საჭირო იმისთვის, რომ ის ისევ სწორ გზაზე დადგეს. ხომ არსებობს დედამიწაზე ფასეულობები?!

ნიაზ დიასამიძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

- და არსებობს მოთხოვნაც ამგვარ პროდუქციაზე.

- ბაზარი იქნება, რადგან ალტერნატივა არ არსებობს. დანარჩენები არიან სახლში, კლუბში... ისეთი აწყობილი მანქანა, როგორიც პოპს აქვს, ჩვენ არ გაგვაჩნია.

- ამ მანქანის აწყობას ფინანსები უნდა.

- ფინანსები გამოჩნდება, ამის ორგანიზებას მოვახერხებთ.

- ეს დღეს დილით მოიფიქრეთ, თუ რაიმე კონკრეტული პროექტი გაქვთ?

- დიდი ხანია ვფიქრობ, უბრალოდ, ამ დილით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს აუცილებელია. ვფიქრობ და სხვადასხვა ხერხს ვეძებ - ეს ფოლკლორული ფესტივალიც ერთ-ერთი ნაბიჯი მგონია და ასეთი ნაბიჯები ცოტა არ გვაქვს. ჩვენი დღე მხოლოდ მუსიკით არ არის დაკავებული. რასაც ახლა ვამბობ, ამაზე ბევრს ვფიქრობ. ფული რომ მქონდეს, ეს უკვე დიდი ხნის გაკეთებული მექნებოდა.

- რამდენად მნიშვნელოვანია მუსიკოსისთვის წარდგენა ("პრომოუშენი")?

- დღეს ეს ადვილი გახდა. პოპვარსკვლავისთვის ეს აუცილებელია. მაგრამ, სიმღერას, რომლითაც სულიერ მდგომარეობას და განწყობას გამოხატავ, არავითარი წარდგენა არ სჭირდება, ის თვითონ იპოვის გზას. ისე, როგორც წყალი ყოველთვის იპოვის გამოსავალს - ქვას გახვრეტს და მივა.

- რატომ ასოცირდება დღევანდელი შოუბიზნესი ყვითელ პრესასთან?

- ჩემი აზრით, ეს ერთი ორგანიზმია. ყვითელი პრესა გარედან ფერადია, შიგნიდან - შავი. კარგია, რომ მუშაობენ, შრომობენ, ამას არავინ უკარგავს, მაგრამ ის, რასაც აკეთებენ, მომავალში არავის გამოადგება. შეეძლოთ, ის ენერგია ბევრად საინტერესოდ მიემართათ. თუ ამას მომავალში აპირებენ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

- "მაესტროს" ეთერში ხშირად გატრიალებენ?

- კლიპების სიხშირით არ გამოვირჩევი იმიტომ, რომ ფირი ძვირია, ვიდეო კი არ მომწონს. საკმაოდ კარგი ვიდეოკამერა მაქვს, მაგრამ ჩემთვის ვერ ვიყენებ. რასაც ვმღერი და რა მუსიკასაც ვაკეთებ, ამას ვიდეოში ვერ ვდებ. ასე რომ, ცოტა კლიპი მაქვს და რაც არის, იმას ატრიალებენ. როცა დამჭირვებია, დამხმარებიან კიდეც, არ ვემდური. იქ არის ხალხი, ვინც ჩვენსავით ფიქრობს.

- 60-იანი წლების შუა ხანებში როკი რევოლუცია იყო, 20-40 წლებში - ჯაზი. დღეს თუ არსებობს მომავლის მუსიკა?

- ამაზე ვერ გიპასუხებთ. ელექტრომუსიკა ბოლომდე აწმყოსია... ალბათ, მაინც საავტორო მუსიკაა ასეთი. ბარდი არასდროს არ ამოიწურება. ვფიქრობ, ეს სულ დარჩება. ინსტრუმენტი რომ არ ჰქონდეთ, სიმღერა მაინც დაიწერება. სიყვარული ხომ არსებობს, ეს ხომ ცარიელი სიტყვა არ არის? რაკი სიყვარული არსებობს, მომავლის მუსიკა ის იქნება, რაც გულიდან წამოვა.

- ხშირად მიმართავთ მუსიკალურ-სოციალურ აქციებს. რას ემსახურებით?

- გაცოცხლებას, ნამდვილის ძიებას... ძიებას კი არა, პოვნას. ძიება არ სჭირდება, ის არსებობს, უბრალოდ, უნდა მიაგნო. ეს აქციები პოპმუსიკის ალტერნატივის შექმნის დასაწყისია.

- ხართ თუ არა ძლიერი ალტერნატივა?

- ბრძოლას არავის ვუცხადებთ. უკვე ვართ ალტერნატივა... როგორც ჩანს, ალტერნატივა იშვიათს ჰქვია.

- როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებაში ახალი თაობის მოსვლით კულტურის სფეროში რაიმე რადიკალურად შეიცვლება?

- ცვლილებები უკვე ხდება. თუნდაც ის აქციები, ან ფესტივალი "არტ-გენი". ეს პატარა დეტალია, მაგრამ შარშანწინ ეს დეტალიც აიკრძალა. მუზეუმში ამოსული ბევრი ხალხი რომ დაინახეს, ფესტივალი დაიხურა. "სუფთა ჰაერი" (ასე ერქვა იმ ფესტივალს) მუზეუმის გაცოცხლების მცდელობა იყო. რეალურად იმაზე არ მუშაობდნენ. არც იყო საჭირო. გოკას შემთხვევაში ეს ასე არ არის.

- ოდესმე მიიღებთ რაიმე მონაწილეობას კულტურის პოლიტიკის შექმნაში?

- კონკრეტულ მაგალითებზე ჩანს, რომ ის რეალურ, ჯანმრთელ იდეებს ბოლომდე წამოჰყვება. თუმცა, ასე იოლადაც - არა. თავისი მენეჯმენტით და ყველაფრით პროექტის აუცილებლობის დასაბუთებას ითხოვს ბოლომდე. ჰაერზე ნასროლ იდეებს ვერ ეთანხმება. საკუთარი ინიციატივაც აქვს და იმიტომ არ ვაქებ, ძმაკაცი რომ არის. ჯერ ყველაფერი დასალაგებელი აქვს - სპორტიც მასთან შედის და, რაც მთავარია, ძეგლთა დაცვა... იმდენად დანგრეულია სტრუქტურა, რომ შეიძლება, ყველა შემოქმედებით იდეას ვერ ესარჩლება, მაგრამ ახლა სწორედ ამის დრო მოდის.

- რა არის დღეს საქართველოს კულტურული ექსპორტი?

- მე თუ მკითხავ, კულტურაში საექსპორტო მასალა არსებობს. ამის მაგალითია სუხიშვილები და სხვებიც. მაგრამ, ესენი დიდი ხანია არსებობენ. დღეს სიახლეები გასატანად მზად არის, უბრალოდ, ტექნიკური დეტალებია მოსაგვარებელი.

- რა ჰქვია ამ ექსპორტს?

- დღეს ამას ჰქვია ნამდვილი ხელოვნება და ის არსებობს მხატვრობაშიც, რეწვაშიც, მუსიკაშიც. მაგრამ, ამას ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება. იქ ისეთი დონეა, თუნდაც ტელევიზიებში, რომ ჩანაწერს ვერ გაუშვებ, თუ კონკრეტული ხარისხის არ არის. რა თქმა უნდა, "პრომოუშენი," რომელიც იქ ნამდვილად საჭიროა... ანუ, იქაური ძმაკაცი გვინდა. გასატანი მასალა არის და ეს რევოლუციები სწორედ იმის პირობაა, რომ ეს მოხდეს.

- თქვენზე ახალგაზრდა თაობის ჯერ უცნობი შემსრულებლების შესახებ რას იტყვით?

- არის ბრიგადა, მაგრამ გაურკვევლობა არსებობს. როცა ახალგაზრდაა და ამდენ ცდუნებას ხედავს - ტელევიზია, პოპულარობა - იქით ქაჩავს. სინამდვილეში კი იცის, რომ ნამდვილი მუსიკა ეს არ არის. მოკლედ, გასაჭირშია. არჩევანის მომენტია. სწორედ იმიტომ არის საჭირო ნამდვილის მხარდაჭერა, რომ არ დაიბნენ.

- ეს გზა თქვენც გაიარეთ?

- გავიარე. 16 წლის ვიყავი, როცა დავიწყე, მაგრამ მაშინ ამდენი ცდუნება არ იყო. ტელევიზია არ მიზიდავდა და დღემდე ეგრე ვარ. ტელევიზია საერთო საქმისთვის მჭირდება - როცა ფესტივალს ვაკეთებ. პირადად ჩემთვის ძალზე იშვიათად გამომიყენებია.

მასმედიაზე კიდევ ერთ რამეს ვიტყვი - თემების შიმშილი აქვთ, ამიტომაც იჩაგრება ფასეული და ეს მასმედიის ბრალიც არის. ეს მთელ მედიას ეხება. იმის ძებნაში, რა გავყიდო, ხშირად თითიდან გამოწოვილი, იაფფასიანი სიუჟეტებია. ამ დროს კი არსებობს ხალხი, ვინც მართლა მაგარ რაღაცას აკეთებს. იმათთვის კი არავის სცალია. მასმედიაც დამნაშვეა... ვერც ეს მესამე კულტურული რევოლუცია მოხდება მედიის გარეშე.

- 1996 წელს პირველი ალბომი ჩაწერეთ. მაშინ სულ სხვა გარემო იყო. როგორ იწყებდით?

- ეს სამხატვრო აკადემიაში დაიწყო. ხელოვნების სიყვარული ხატვამ გამაგებინა.

- იმ დროს რა ცდუნებები არსებობდა მუსიკოსისთვის?

- ცდუნება იყო "ლედ ზეპელინი" და ჰენდრიქსი, სხვა არაფერი. მინდოდა, მათსავით დამეკრა. სიმღერაში კი ყველა ცდუნებას გავუძელი.

- ჰო, ასლის კეთება ერთგვარად სასარგებლოა. ერმიტაჟში სტუდენტები საგანგებოდ დაჰყავთ რემბრანტის ასლების საკეთებლად, ეს სასწავლო პროცესის ნაწილია, ტექნიკას ეუფლებიან. თქვენ რაზე ივარჯიშეთ?

- როცა ვხატავდი, მუსიკას ვრთავდი და ყველასთან ერთად ვმღეროდი - "პინკ ფლოიდი" იქნებოდა ეს, "ბითლზები" თუ სხვა რამ... იყო ხალხური სიმღერებიც, ოთარ რამიშვილსაც ვუსმენდი ადრეულ ასაკში. სულ ვმღეროდი. ხატვა და მასთან ერთად სიმღერა იყო ვარჯიში, ოღონდ სიტყვები არ ვიცოდი. მუსიკალური სკოლა კი არის ქართული სუფრა. ლამაზი იყო, ნამდვილი სიმღერით. ალბათ, მთავარი აქ ვისწავლე.

- "გმირული" და კომერციული მუსიკალური თაობები...

- მგონია, რომ რაც ჩვენ გავაკეთეთ, ცუდი არ არის. არც გენიალური მგონია, მაგრამ ამას ფუნქცია აქვს და ეს უკვე კარგია. თუ ერთი კაცისთვის მაინც აქვს ფუნქცია, ეს მყოფნის.

- შემსრულებლები ერთმანეთის ოსტატობას სპორტის სასახლით ზომავენ. გაგივსიათ ეს დარბაზი?

- ეს სახუმარო საზომია. ამ დარბაზის შევსება არ მიცდია და არ ვიცი.

- მაგრამ, იცი, რომ გაავსებ ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიას?

- ჰო, ალბათ. დიდი სოლო-კონცერტი არ მქონია... თუ მქონია? არც მახსოვს... ეგ არც მაღელვებს. ვიწრო წრე მირჩევნია, ასე 500 კაცამდე. ასეთ დარბაზში სულ სხვა მუსიკას ვაკეთებ. ხალხის დიდ რაოდენობაზე, როგორც ჩანს, სხვა ენერგია მოდის და მეც ვიცვლები.

- თბილისის ბოჰემის შესახებ რას იტყოდით?

- ამბიცია ის არის, რომ საკუთარ თავს მუდმივად რაღაც ახალი მოსთხოვო. რაც გააკეთე, იმაზე ერთი წამითაც არ შეჩერდე. ახლა ასე ვარ - ამ ეტაპზე ახალი სიმღერა არ მოდის, გაჩერდა. რომ შემიკვეთო, მაგარ სიმღერას გავაკეთებ.

ახლა კარგად ვართ და "ზასტოი" მაქვს. მგონია, ყველაფერი ისე დალაგდა, რომ აღარაფერია სამღერი. ყველას ვთხოვ, აღარ მინდა სიმღერა. შეიძლება, თხრობით სიმღერაზე გადავიდე და რაღაცები მოვყვე... ახლა მუსიკაში ჩაღრმავება და ინსტრუმენტები უფრო მიზიდავს. ამიტომაც მაქვს იდეა, რომ "მუსიკის ტყეში" შევიდე, ერთი ექსპერიმენტი გავაკეთო და სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩავწერო მუსიკა, ოღონდ კლასიკისთვის. არატრადიციულ ინსტრუმენტებს ცოტას შევამცირებ და ცოტასაც დავამატებ. ზუმბასთან ერთად ეგეთი პროექტი მაქვს. მას, პირობითად, "ბგერების თეატრი" ჰქვია.

- შარდენის ქუჩის "შაბათობაზე" აკიმი გამოჩნდა...

- აკიმი ენერგიის წყაროა. დაღლილი რომ მიუჯდე გვერდით, მაშინვე დაიტენები.

- ამასობაში, რამდენი წლისა გახდა?

- დიდი ხანია არ მიკითხავს... ორმოცის იქნება. ახლობლებს წლებს არ ვეკითხები. 16 წლის რომ იყო, პარიზში წავიდა, დედას გაჰყვა. ბაბუაჩემი რომ გარდაიცვალა, ბებია საფრანგეთში წავიდა, იმიტომ, რომ ფრანგი იყო და შვილებიც წაიყვანა. მხოლოდ დედაჩემი არ გაუშვეს და დავრჩით დედა, მამა და მე. დედას სამი ძმა ჰყავს, ლუკა - არქიტექტორი, გელა - მხატვარი, ჯაბა - აკიმი. ეს არის მისი პროფესია. როგორიც "არაჩვეულებრივ გამოფენაშია," ზუსტად ისეთია, უბრალოდ, ახლა ბურთებს არ ისვრის. ეგეთი ალალი და საყვარელი ადამიანი არ მინახავს.

- ბავშვობაში შესრულებულ როლზე თავად რას ამბობს?

- იმუქრება, არ გამამეორებინოთო. სხვათა შორის, ტყუილად არ მუშაობდა, ყოველი ეპიზოდისთვის რაღაცას ითხოვდა - ხან ნაყინს, ხან - კიდევ რაღაცას. ძალიან უყვარს თავისი ცხოვრების ეგ პერიოდი.

- შვილი როგორი ჰყავს?

- სერგი დინჯია ბოლომდე...

- საკუთარ შვილზე რას გვეტყვით?

- ხულიგანია. ისეთია, როგორიც უნდა იყოს ბიჭი მაგ ასაკში.

- მღერის?

- არა, მაგრამ ვატყობ, რომ უსმენო არ არის. როცა სტუდიაში მიმყავს, მაშინვე დოლებთან მიდის, ეს მისი ადგილია.

- ბაღის ტრადიციულ სიმღერებს სხვა ბავშვებთან ერთად ასრულებს?

- როგორც კი ლექსის სწავლა იწყება, მაშინვე სხვა მიმართულებით მიდის. საერთო ჟრიამულში იქამდე მონაწილეობს, ვიდრე ლექსის სწავლა დაიწყება.

- თემა - ფანები...

- ფანი არდანები... ფანები პლაკატებითა და დახვედრებით ნამდვილად არ მყავს, რადგან, რომ გყავდეს, თავად უნდა გინდოდეს. ალბათ, ჩემი მუსიკა ვილაცას მოსწონს. აბა, ხო არ მატყუებენ, ვატყობ, რომ მისმენენ და გაზიარებული აქვთ. მგონი, ყველაზე წყნარი მსმენელი მყავს. ისე, ვერ გავიგე, რად უნდათ ხელმოწერები?! იმდენი კასეტა არ მაქვს, რომ წავუწერო და ავტოგრაფს ფუნქცია მიეცეს.

- ის ქაღალდი, ალბათ, მათთვის ძვირფასია...

- თუ ასეა, ასჯერ მოვაწერ.

- შეიცვალა თუ არა დამოკიდებულება თქვენი მუსიკისადმი? ვინმეს მსმენელი წაართვით?

- სხვათა შორის, ბევრი სიმღერა არ იციან. ბევრი სიმღერა უფრო ახლო წრემ იცის. მსმენელი, მგონი, მომრავლდა.

- ამ მიმდინარეობას თავად რას არქმევთ?

- სახელი ჯერ ვერ დავარქვი... უფრო როკის ოჯახიდან არის. ჩემთვის რეგეს რითმიც ახლობელია. მგონია, აჭარა რომ ზღვის პირას არის, იმიტომ, ჩვენ ხო აჭარიდან ვართ.

- გამოდის, ეს თქვენი პირადი ზეიმიც იყო...

- ბავშვობაში სულ ბათუმში დავდიოდი. ზღვა კი მიყვარს, მაგრამ ბანაობა - არა. არც პლაჟზე წოლა მიყვარს. მგონია, რომ ზღვაში თევზები არიან და ჩვენ ხმელეთზე უნდა ვიყოთ. ზღვის ყურება უფრო მომწონს და მთა. ამიტომ მეუღლესთან უთანხმოება მაქვს - იმას ზღვა უყვარს. მოკლედ, ჩემი იდეალური მდგომარეობაა ზღვა და გვერდით აუზი...

- ფლორიდა გყვარებიათ...

- აჭარა სულ მალე იქნება ფლორიდა.

ეს არის მუსიკა, რომელიც შიგნიდან, გულიდან მოდის. ამიტომ ეს კომერციული არ არის.

ბოლო აღარ აქვს ფულისთვის უგუნურად გაკეთებულ საქმეს. იმას აღარ ფიქრობენ, რომ მომავალ თაობას მთლიანად უფუჭებენ გემოვნებას.

ახლა კარგად ვართ და "ზასტოი" მაქვს. მგონია, ყველაფერი ისე დალაგდა, რომ აღარაფერია სამღერი. ყველას ვთხოვ, აღარ მინდა სიმღერა.

კონცერტები

კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი
სიმფონიური მუსიკის კონცერტი
თბილისის კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრი და გუნდი
დირიჟორი: ლევ მარკიზი (ნიდერლანდები)
პროგრამაშია: გაბრიელი, ყანჩელი, ჰაიდნი
დას: 19:00 სთ.

თეატრები

თეატრალური სარდაფი
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
უილიამ შექსპირი
"ვენეციელი ვაჭარი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
დას: 19:00 სთ.

გრიბოედოვის თეატრი
ცხოვრება მშვენიერია"
(ვთამაშობთ ჩეხოვს)
სასცენო კომპოზიციის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ.

კინოთეატრები

გოეთეს ინსტიტუტი
გერმანული ფილმების მესამე კვირეული თბილისში
გახსნა 15:00 სთ.

კინოს სახლი
"მშვიდობით, ლენინ!"
დას: 18:00 სთ.

"ბატონი ლემანი"
დას: 21:00 სთ.
დასწრება თავისუფალია

რუსთაველი
"ჩემი ძმა დრუნჩა"
დას: 12:00; 14:00; 16:00 სთ.

"ვან ჰელსინგი"
დას: 17:30 სთ

"50 პაემანი"
დას: 20:00 სთ.

"არსად აფრიკაში"
დას: 22:00 სთ.

ახმეტელი
"ჩემი ძმა დრუნჩა"
დას: 12:00; 13:30; 15:00 სთ.

"ვან ჰელსინგი"
დას: 16:30 სთ.

"არსად აფრიკაში"
დას: 19:00 სთ.

"50 პაემანი"
დას: 21:30 სთ.

ამირანი
"ტროა"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.
ფასი: 5-11 ლარი

ცირკი

მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 12:00; 15:00 სთ.

გამოფენა
სურათების ეროვნული გალერეა
გამოფენა-აქცია "9 აპრილის მემორიალი"

ძველი გალერეა
მიშა იაშვილის ნამუშევრების
პერსონალური გამოფენა

"ორიენტი"
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

"ქარვასლა"
შალვა ხახანაშვილის ფოტოგამოფენა

ბავშვთა ნახატების გალერეა
გამოფენა - "რა ვიცი ევროპის შესახებ"

კლუბები

"ნოა-ნოა"
ტანგო. ბუენოს-აირესის ღამე
რაულ ხაურენა-ბანდონეონი
დას: 21:00 სთ
ფასი: $ 15-დან 30-მდე

"აჭარა მიუზიქ ჰოლი"
რეზიდენტი დი-ჯეები
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.
ფასი: ბიჭებისთვის 20 ლარი
გოგონებისთვის - უფასო

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

23 მაისს და 6 ივნისს

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - "Превращения в Лукоморье"

დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი

კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.

დას: 13:00; 15:00 სთ.

საქართველოს რიჰარდ ვაგნერის საზოგადოება

22 მაისს, რიჰარდ ვაგნერის დაბადების 191-ე წლისთავზე, სამხატვრო აკადემიის სააქტო დარბაზში დაფუძნდება საქართველოს რიჰარდ ვაგნერის საზოგადოება.

დასაწყისი 15 საათზე

დასწრება თავისუფალია.

ქართული ვანდალიზმი

ნინო ჭანიშვილი

ნოემბრის რევოლუციის დღეებში საქართველოს მხატვართა კავშირს 70 წელი შეუსრულდა. კავშირის გამგეობამ მაშინვე გადაწყვიტა, რომ იუბილეს აღნიშვნა სხვა დროისთვის გადაედოთ.

დღეიდან ერთი კვირის მანძილზე მხატვართა კავშირის მიერ ორგანიზებული გამოფენები მთელი თბილისის მასშტაბით მოეწყობა. ყველა ღონისძიების გამართვას მხატვართა კავშირი საკუთარი ფინანსებით ახერხებს. ბოლო ხანებში გაფართოვდა კერამიკის კომბინატის წარმოება. ავჭალის მინის კომბინატში ინვესტიცია იტალიელებმა ჩადეს და ისიც მალე ამუშავდება. გარდა ამისა, კავშირი ამზადებს მონაცემთა ბაზას ქართველი მხატვრების შესახებ, რომელიც ჯერ კომპაქტ-დისკების სახით გამოვა, შემდეგ კი ინტერნეტში ჩაეშვება (მზადდება კავშირის ვებ-გვერდი).

თუმცა, კავშირის მთავარი მიზანი, მისი თავმჯდომარის გია ჯანბერიძის თქმით, "მხატვრის სახლის" დაბრუნებაა. რუსთაველის გამზირის 7 ნომერში მდებარე "მხატვრის სახლი" 1991-92 წლების ომის დროს განადგურდა. მაშინ დაიწვა საგამოფენო დარბაზები, შემოქმედებითი სახელოსნოები, ბიბლიოთეკა, კაფე, რესტორანი, სტამბა, არქივი, საცავები. თუმცა, ომის შემდეგ დროინდელ ფოტოებზე კარგად ჩანს, რომ შენობის ფასადი სამივე სართულის სიმაღლეზე გადარჩენილი იყო.

მხატვრის სახლი 1909 წლის ფოტო.

იმის მაგივრად, რომ ქალაქის ერთ-ერთი უმშვენიერესი ნაგებობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი აღედგინათ, თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებით (24.02.1994) შენობის ნანგრევები 4600 კვ. მ. მიწის ნაკვეთიანად საკუთრების უფლებით გადაეცა "თბილისი სიტის", 1997 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კი "თბილისის უძრავი ქონების კომპანიას". კომპანიას ეს ტერიოტორია 99 წლის ვადით გადაეცა იჯარით და თან 20 წლის ვადით გათავისუფლდა იჯარის ქირის გადასახადიდან.

"ერთი წელია მხატვართა კავშირში ვარ და ჩემი მთავარი ამოცანა "მხატვრის სახლის" დაბრუნებაა. - ამბობს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გია ჯანბერიძე - "ახლა დასასრულს უახლოვდება სასამართლო პროცესების წარმოება. თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი კომპანიის სახელზე არსებული საკუთრების უფლება შენობაზე და 4600 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით მხატვართა კავშირი ამ ტერიტორიის მესაკუთრედ იქნა ცნობილი. ეხლა ერთი ნაბიჯია დარჩენილი საბოლოო გამარჯვებამდე, წინ უზენაესი სასამართლოს პროცესი გველის".

თუ ყველაფერი კავშირის სასარგებლოდ გადაწყდა, ჯანბერიძეს უკვე მზად აქვს კონცეფცია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ტერიტორიის ათვისება. რაც მთავარია, ჯანბერიძე ამბობს, რომ შენობის ფასადი პირველადი სახით უნდა აღდგეს: "ამხელა ტერიტორია საშუალებას გვაძლევს ერთდროულად განთავსდეს მხატვართა კავშირიც და თანამედროვე ხელოვნების საექსპოზიციო დარბაზებიც, კომპლექსის პარადულობა განაპირობებს პრეზიდენტის და სამთავრობო სტუმრების მიღებებისათვის საკონფერენციო და საკონცერტო დარბაზების მოწყობას, ფეშენებელური ოფისების განთავსებას, გასართობ, დასვენების და კვების ობიექტებს, მიწისქვეშა ავტოსადგომების მოწყობის ჩათვლით. ეს რეალობაა".

შენობა, სადაც შემდგომში "მხატვრის სახლი" განთავსდა, 1865-1867 წლებში თბილისელი არქიტექტორის სიმონსონის პროექტის მიხედვით აშენდა. 1868-1895 წლებში აქ მოთავსებული იყო თბილისის სასამართლო პალატა და საოლქო სასამართლო. 1895 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ კი გაიხსნა "უდიდესი და საუკეთესო სასტუმრო ქალაქში -"ორიანტი". რეკონსტრუქციის ავტორი იყო თბილისელი არქიტექტორი ზალცმანი. სასტუმრო "ორიანტის ერთ-ერთი დარბაზი ლადო გუდიაშვილის მოხატული იყო.

რევოლუციის შემდეგ აქ სასტუმრო "ინტურისტი" განთავსდა. 1976 წელს, შენობა მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საქართველოს მხატვართა კავშირს გადაეცა. დღეს შემორჩენილი ფასადი უმოწყალოდ არის დანგრეული და პირველი სკოლის მშენებლობისას საშენ მასალად გამოყენებული.

არსად ისეთი სისასტიკით არ უსწორდებიან კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც საქართველოში. ქართველების ვანდალიზმს, ალბათ, თალიბების მიერ ბუდას ქანდაკებების აფეთქება თუ შეედრება.

ფესტივალი დასასრულს უახლოვდება

სალომე კიკალეიშვილი

სტუდენტური ფილმების ფესტივალმა "სესილი 2004", რომელიც 17 მაისს საზეიმოდ გაიხსნა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში, ოთხი დღის მანძილზე სტუდენტთა 56 ნამუშევარი წარმოადგინა. საკონკურსო ჩვენებაზე, რომელიც გუშინ დამთავრდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა და დამოუკიდებელ ავტორთა მიერ შექმნილი მხატვრული, დოკუმენტური, მუსიკალური კლიპები და ექსპერიმენტალური ნამუშევრები იყო ნაჩვენები.

რა არის ამ ფესტივალის მიზანი? ის, რომ გამოჩნდეს (შეძლებისდაგვარად) ახალი სახელები, გარკვეული სტიმული შეუქმნას, ქართული კინოსივრცის უიმედო აურაში ახალგაზრდა სტუდენტებს. იყოს ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება ნამუშევრის გამოტანა, შეფასება...

ამ კუთხით თუ შევხედავთ, ფესტივალი თავის მისიას ყოველთვის ასრულებს. უკვე მეოთხედ ატარებს სტუდენტური ფილმების ჩვენებას, სადაც ახალგაზრდებს ხმამაღლა შეუძლიათ განაცხადონ თავიანთი სათქმელი, თავიანთი "მე", გამოთქვან საკუთარი პოზიცია. ის, რაც ახარებთ, აწუხებთ... მაგრამ, რა ხდება ამ დროს სესილი "2004-ზე", რომლის დევიზიც, საკონკურსო ფილმებს თუ გადავხედავთ ძალზედ ბანალურადაც ჟღერს - "ჩვენ მოვდივართ". ჩემთვის პირადად ფესტივალს, არც ერთი ახალი სახელი არ განუცხადებია, პირიქით, ისიც გავიგე, ვისი გვარის გაგონებაზეც (რომელიც გარკვეული მიზეზების გამო, დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ არაერთხელ გაიჟღერებს, ან უფრო სწორედ გააჟღერინებენ), ფილმი არამცთუ არ უნდა ნახო, რაც შეიძლება შორს უნდა დაიჭირო თავი ეკრანისგან, საიდანაც წამოსული ამბიცია და თავხედობა, რომელიც დიდ რეჟისორებსაც კი არასდროს უკადრებიათ მაყურებლისთვის, მხოლოდ და მხოლოდ გაღიზიანებას და უარყოფით ემოციებს ბადებს.

კადრი ნატო შუშანიას მუსიკალური კლიპიდან.

საკონკურსო ფილმების უმრავლესობა საკმაოდ სუსტი იყო. აქ აქტუალურობაზე ან მრავალფეროვან თემატიკაზე კი არ არის საუბარი, ზოგიერთი ელემენტარულად შინაარსის დონეზეც კი გაუგებარი იყო. ასეთი სურათის ფონზე კი ძნელია ისაუბრო და ბრალად დასდო ახალგაზრდა სტუდენტებს გამოსახულების ცუდი, მდარე ხარისხი თუ სხვა ტექნიკური ხარვეზები, რაც ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვნადაც კი მეჩვენება. ბევრმა ხომ ვერ გაიგო, რომ კინო, ეს არ არის იზოლირებული ხელოვნება, რომელიც მარტო შენთვის ან შენი თანაკურსელისთვის იქნება გასაგები, რომელიც ხმამაღლა დაგიკრავს ტაშს და თუ საჭიროა, ბრავოსაც წამოიძახებს.

მიუხედავად სუსტი პროგრამისა, სადაც ბევრი ფილმი რაღაც უსასრულობათაც კი გეჩვენებოდა, იყო რამოდენიმე ნამუშევარი, რომელიც ასეა თუ ისე, გამახსოვრებდა თავს.

საინტერესო იყო რუსუდან ჭყონიას დოკუმენტური ფილმი მიგრაციასა და ტრეფიკინგზე, "აღთქმული ქვეყანა", რომელიც ორგანოების ვაჭრობასა და ქართველი ქალების უცხოეთში მოტყუებით წაყვანას და მათ საროსკიპოებში გატარებულ ცხოვრებას ასახავდა. მაია კიკაბიძის არაკომერციული რეკლამა "ყაზბეგური". მართალია, თავისი მინუსებით (დაბალი ხარისხი, გამომსახველობა), მაგრამ საკმაოდ გონებახვილურად მოფიქრებული სარეკლამო რგოლი, ნამდვილად აჯობებდა ჩვენს ტელესივრცეში არსებულ ბევრ, უაზრო რეკლამას. ნატო შუშანიას და თამუნა სულამანიძის ექსპერიმენტალური ნამუშევრები, მუსიკისა და ფოტოკოლაჟების ნაერთით არც ისე ურიგო სანახავი იყო. თუმცა, ისევ და ისევ ბადებდა ლამაზი, კარგად შეფუთული ნივთის შეგრძნებას, რომლის გახსნისასაც აბსოლუტურ სიცარიელეს გრძნობდი. მუსიკალურ კლიპებში, ჩემი აზრით, უდავო ლიდერია გიორგი ლიფონავა, კლიპით "ფეთქავს". სადაც მშვენივრად არის შერწყმული ბაკურ ბურდულის სასიამოვნო მელოდია და ლიფონავას ორიგინალური გადაწყვეტა. მეტ-ნაკლებად საინტერესო იყო cimen`art -ის მოკლე ფილმი "ცივილიზაცია", ნიკა ბეჟანიშვილის "გუშინ-დღეს"...

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ და ვნახოთ, თუ ვინ დატოვებს "სესილით" ხელში კინომსახიობთა სცენას, რომელიც 24 მაისს, საღამოს ექვს საათზე საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალზე გაირკვევა.

პარტნიორობა და თანასწორობა

ვერა ნეფარიძე

გუშინ მერიის კულტურის საქალაქო სამსახურმა რუსულ მხარესთან პარტნიორობასა და თანასწორობაზე დაფუძნებული ხელშეკრულება გააფორმა. დავით ოქიტაშვილთან ერთად ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მოსკოვის მერიის განათლების დეპარტამენტის წარმომადგენელმა ანა კერესელიძემ.

მსგავსი ხელშეკრულება დავით ოქიტაშვილის უწყებასა და მოსკოვის მერიას შორის 2003 წელსაც დაიდო. როგორც მხარეები ამბობენ, სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე მოხდა გუშინ მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაც. ამჯერად მოსკოვის მხრიდან მერიის განათლების დეპარტამენტის, უფრო ზუსტად კი ამ დეპარტამენტის ცენტრალური საოლქო სამმართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განყოფილების წარმომადგენელი ანა კერესელიძე ესწრებოდა. მის სახელთანაა დაკავშირებული არბატის ქართული სკოლა, ქართული კულტურის ცენტრი. მოკლედ, ამ ადამიანს მოსკოველი ქართველები საკმაოდ კარგად იცნობენ.

შეკითხვაზე, რა განსხვავებაა გუშინდელსა და 2000 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებებს შორის, დათო ოქიტაშვილმა მარტივად აგვიხსნა: გაიზარდა თანამშრომლობის სფეროები. ანუ, კულტურას დაემატა სპორტი, ტურიზმი და ახალგაზრდობის საქმეები. "გარწმუნებთ, თბილისში ტურიზმი განვითარდება. ახლა რომ ყველა ქუჩის კუთხეში ტურისტული ბიუროებია გახსნილი, ასე აღარ იქნება. მათგან რამდენიმე ლიცენზირებული ბიურო დარჩება, რომლებიც რეალურად იმუშავებენ", - თქვა თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის შეფმა.

პრესკონფერენციაზე.

გოგიტა ბახაიძის ფოტო

რაც შეეხება გუშინდელ ხელშეკრულებას, როგორც გუშინ განიმარტა, ეს ის ითვალისწინებს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სფეროში მხარეთა საგანმანათლებლო სისტემების განვითარებას; ახალგაზრდა შემოქმედებით დასებს, თვითშემოქმედებით კოლექტივებს, პედაგოგთა თუ მოსწავლეთა შორის გაცვლით პროგრამებს. ჩამონათვალის გაგრძელება შესაძლებელია, თუმცა, ალბათ, ჯობს, უფრო კონკრეტულზე ითქვას რაიმე.

როგორც ცნობილია, 27-29 მაისს თბილისში მოსკოველი საქმოსნების ჯგუფი ჩამოდის. დათო ოქიტაშვილის უწყება ამ ვიზიტის კულტურული ნაწილის ხელმძღვანელია და შესაძლებელია, სხვადასხვა ერთობლივ კულტურულ პროექტებში ბიზნესმენებიც დაინტერესდნენ. ამას გარდა, მზადდება თბილისში მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის სტუმრობა, რის ფარგლებშიც თბილისში მოსკოვის კულტურის დღეები გაიმართება. საპასუხო ვიზიტით თბილისის კულტურის დღეების პროგრამის მონაწილეები მოსკოვში სექტემბერში გაემგზავრებიან. ჯერჯერობით უცნობია ამ ღონისძიებების პროგრამა. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურთან ერთად, ოქტომბრიდან თეატრალური სარდაფი ახალ პროექტს იწყებს. სეზონის განმავლობაში, მოსკოვიდან სარდაფის სცენაზე სხვადასხვა საინტერესო თეატრალური დასები საკუთარ სპექტაკლებს წარმოადგენენ. ამას გარდა, ფესტივალ "საჩუქარის" (რომელიც წელს 1 ივნისიდან დაიწყება) მაგალითზე, სახეზე იქნება მოსკოვის მერიის მონაწილეობა ქართულ კულტურულ პროექტებში. ისევე როგორც წინა წლებში, წლევანდელ ფესტივალზე მოსკოვის მერიის ფინანსური მხარდაჭერის წყალობით იქნება შესაძლებელი მოსკოვის თეატრალური დასების სტუმრობა. ლუჟკოვის ეს და სხვა დამსახურებები არ გამორჩენია გუშინ მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის სტუმარს: "მნიშვნელოვანია, რომ რასაც კი ვაკეთებთ რუსეთში ქართულს, ძირითადად, მოსკოვის მერიის დაფინანსებულია", - თქვა ანა კერესელიძემ.

კანის ფესტივალის დღიური

A1 გვერდიდან

ტომ ჰენკსი.

ეს არის ბრაზილიელი რეჟისორის ვალტერ სელასის "მოგზაურობის დღიური", ჟოელ და ეთან კოენების Ladykillers ("ქალბატონის მკვლელები"), ოლივიე ასაიას Clean ("სუფთა"), ანიეს ჟაუის "როგორც სურათი", ახალგაზრდა არგენტინელი რეჟისორის ლუკრესია მარტელის "წმინდანი გოგო". ფესტივალის ბოლო დღეებში შედგა აზიური კინოს სამი წარმომადგენლის ფილმების ჩვენებაც: კორეელი პარკ ჩან-ვუკის Old Boy ("ბებერი ბიჭი"), ასევე, კორეელი ჰონგ სანსუს "ქალი მამაკაცის მომავალია" და ჰონკონგელი რეჟისორის ვონგ კარ-ვაის 2046".

იმის გათვალისწინებით, რომ ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილების გაცხადებამდე სულ რამდენიმე საათი დარჩა, პროგნოზების გაკეთებას თავს ავარიდებთ და მხოლოდ იმ რამდენიმე ფილმის მიმოხილვას შემოგთავაზებთ, რომელთა ჩვენებასაც ფესტივალზე შეკრებილი კინოკრიტიკოსები და ჟურნალისტები განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ.

ახალი ჩე გევარა

ფილმით "მოგზაურობის დღიური" ბრაზილიელი რეჟისორი ვალტერ სალესი პირველად ჩამოდის კანის ფესტივალზე. ფილმი ლათინური ამერიკის ლეგენდარული გმირის, ერნესტო გევარას (ჩე გევარას) მოგზაურობის დღიურის ადაპტაცია. 1952 წელს ერნესტო გევარა და მისი მეგობარი, ასევე სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი ალბერტო გრანადო მოტოციკლეტით ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობენ. ორი ახალგაზრდა არგენტინიდან ჩილეში, პერუდან კი ამაზონიის სიღრმეებში მოგზაურობისას ლათინური ამერიკის მძიმე რეალობას აღმოაჩენენ. სწორედ ამ მოგზაურობის დროს იწყება მომავალი რევოლუციონერის ჯერ პიროვნული თვითგამორკვევა და შემდეგ უკვე პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებაც; რაც საბოლოო ჯამში ბუენოს აირესის სამედიცინო ფაკულტეტის ასთმით დაავადებულ მოკრძალებულ სტუდენტს ერნესტო გევარას, ლათინური ამერიკის მითად - ჩე გევარად აქცევს.

"ეს არ არის ისტორიული ფილმი, განაცხადა რეჟისორმა ვალტერ სალესმა, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული და ლეგენდარული პერსონაჟის ცხოვრების ერთ-ერთ ეტაპს მოიცავს. ეს არის ფილმი, რომელიც ლათინური ამერიკის აწმყოსაც ეხმაურება. სამწუხარო და გასაკვირია, მაგრამ 50-იან წლებთან შედარებით ბევრი არაფერი შეცვლილა ლათინური ამერიკის ქვეყნების რეალობაში".

ფილმის გადაღებებში აქტიურ მონაწილეობას თავად ჩე გევარას მეგობარი და მოგზაურობაში მისი კომპანიონი, ახლა უკვე 82 წლის ალბერტო გრანადოც იღებდა, რომელიც კანის ფესტივალზე ფილმის ჩვენებასაც და შემდეგ გამართულ პრესკონფერენციასაც დაესწრო. "ჩე ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, განაცხადა ალბერტო გრანადომ პრესკონფერენციაზე. 14 წლის ვიყავი, როდესაც იგი გავიცანი. ერთად ვიმოგზაურეთ ლათინურ ამერიკაში და რევოლუციის დროსაც გვერდიგვერდ ვიბრძოდით".

ფილმში ერნესტო გევარას 23 წლის მექსიკელი მსახიობი გაელ გარსია ბერნალი ასახიერებს, რომელიც წლევანდელი კანის ფესტივალის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო აღმოჩენად და გმირადაც აღიარეს. სწორედ იგი ასრულებს სამ ძირითად როლს პედრო ალმოდოვარის ფილმში "ცუდი აღზრდა", რომლის ჩვენებითაც გაიხსნა ფესტივალი.

"არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთელი ლათინური ამერიკის კუმირის, ჩეს როლის შესრულება დიდი პასუხისმგებლობა იყო ჩემთვის. ამიტომ ძალიან ვნერვიულობდი გადაღებებზე. მინდოდა მაქსიმალურად გამომეყენებინა ჩემი სამსახიობო პოტენციალი, რომ მეჩვენებინა ის პიროვნული ტრანსფორმაცია, რომელიც გევარას ცხოვრებაში ამ მოგზაურობამ გამოიწვია" - თქვა გაელ გარსია ბერნალმა. ახალგაზრდა მექსიკელი მსახიობის და რეჟისორის მონდომების მიუხედავად, ერნესტო გევარას პიროვნებაში მოგზაურობით გამოწვეული ტრანსფორმაცია ფილმში საკმაოდ ზედაპირულად არის ნაჩვენები. ბერნალის მიერ განსახიერებული ერნესტოს პერსონაჟი არსებული მითის შესაბამისად ზედმეტად პოზიტიური, ზედმეტად სამართლიანი და ზედმეტად რომანტიკოსია. იგი ფილმში ერთგვარ საერო წმინდანადაც კი გვევლინება. თავად ფილმი კი მოგზაურობის თავგადასავლების და ჩე გევარას დროინდელი ლათინური ამერიკის რეალობის საკმაოდ ფრაგმენტული აღწერა უფროა, ვიდრე ამ რეალობის ფონზე ლეგენდარული რევოლუციონერის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის მცდელობა.

ძმები კოენების "ქალბატონის მკვლელები"

ბრიტანელი რეჟისორის, ალექსანდრე მაკენდრიქსის 1955 წელს გადაღებული ფილმის "ქალბატონების მკვლელების" რიმეიქით ძმები ჟოელ და ეთან კოენები უკვე მეშვიდედ მონაწილეობენ კანის ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში. ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი ტომ ჰენქსისთვის კი ეს კანის ფესტივალზე პირველი ვიზიტია.

"ქალბატონის მკვლელები" უნივერსიტეტის პროფესორის გოლდვაით ჰიგინსონ დორის ისტორიაა. იგი კაზინოს სალაროს გაძარცვის მიზნით არაპროფესიონალ კრიმინალთა ჯგუფს ქმნის; ქირაობს ოთახს მორწმუნე მისის მანსონის სახლში და თანამოაზრეების დახმარებით თხრის გვირაბს, რომელიც სახლის სარდაფს კაზინოს სალაროსთან აკავშირებს. მძარცველთა წამოწყება წარმატებით მთავრდება, თუმცა ეკლესიიდან მოულოდნელად დაბრუნებული მისის მანსონი დანაშაულის მოწმე ხდება. პროფესორი დორი და მისი ჯგუფი არასასურველი მოწმის თავიდან მოშორების მიზნით მისი მოკვლის გადაწყვეტილებას იღებენ - რაც არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდება.

კომიკური და აბსურდული სიტუაციების ფონზე კრიმინალური ჯგუფის ხუთივე წევრი თავიანთი წამოწყების მსხვერპლი ხდება. მისის მანსონი კი მოპარული თანხის მფლობელი.

ჟოელ კოენის განცხადებით (ავადმყოფობის გამო ეთან კოენი ფესტივალზე ვერ ჩამოვიდა) მისი დიდი ხნის ოცნება - ალექსანდრე მაკენდრიქსის ფილმის რიმეიქის გაკეთება და ტომ ჰენქსთან თანამშრომლობა - ბოლო-ბოლო ასრულდა. "ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია კონკურენცია გავუწიოთ ორიგინალურ ვერსიას. უბრალოდ, იმდენად გვიყვარდა მაკედრიქსის ფილმი, რომ ჩვენი ვერსიის შექმნა გადავწყვიტეთ". ტომ ჰენქსმა კი პრესკონფერენციაზე მრავალრიცხოვანი ხუმრობების და ამერიკაერაყის ომზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შემდეგ სერიოზულად განაცხადა: "მე ძმები კოენების ფილმების ფანი ვარ. "ფარგოს" კი უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე გადაღებულ ფილმებს შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ მივიჩნევ. ასე რომ, დიდი სიხარულით მივიღე ფილმში მონაწილეობის წინადადება და ძალიან კმაყოფილი ვარ პროფესორი დორის როლის შესრულებით. მე მგონი, კარგად გავართვი თავი".

კანის ფესტივალზე "ქალბატონების მკვლელების" ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟის მიზეზად კოენების კინემატოგრაფიული რენომე და ფილმში ტომ ჰენქსის მონაწილეობა შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ ფილმს ფესტივალის შესაძლო პრიზიორთა შორისაც ასახელებენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფილმის პრემიერამ კი, კოენების სხვა ფილმებისგან განსხვავებით, საკმაოდ წარუმატებლად ჩაიარა.

ვონგ კარ-ვაის "2046"

ფესტივალის პროგრამაში აზიური კინოს წარმომადგენლების (18 საკონკურსო ფილმიდან 5) რაოდენობამ და ფილმების ორიგინალურობამ, კრიტიკოსებს იმის საბაბიც კი მისცა, რომ აზია კინოს ახალ კონტინენტად ეღიარებინათ. საერთაშორისო კინოსამყაროს ინტერესი აზიური კინოპროდუქციისადმი მისი ხარისხის ზრდის შესაბამისად მატულობს.

ჰონკონგელი რეჟისორი ვონგ კარ-ვაი იმ აზიელ რეჟისორთა რიცხვშია, რომელთა თითოეული ახალი ფილმი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა. გამონაკლისი არც "2046" აღმოჩნდა. ფილმი ისე შეირჩა საკონკურსო პროგრამისთვის, რომ რეჟისორს მასზე მუშაობა არც ჰქონდა დამთავრებული, ბოლო წუთამდე გაურკვეველი იყო შედგებოდა თუ არა კანში ფილმის პრემიერა, რადგან გავრცელებული ხმების თანახმად, ოფიციალურ პრემიერამდე ორი დღით ადრე ვონგ კარ-ვაი დამატებით გადაღებებზე და მონტაჟზე მუშაობდა. შესაბამისად, დანიშნული სეანსები გადაიდო და მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ფილმის საკონკურსო ჩვენება მაინც შედგა და იგი ოქროს პალმის მოპოვების ერთერთ ყველაზე რეალურ კანდიდატადაც დასახელდა.

ვონგ კარ-ვაი უკვე მეოთხედ სტუმრობს კანის კინოფესტივალს. მას ჯერ კიდევ 1994 წელს გადაღებული ფილმის "ჩანკინგ ექსპრესის" საერთაშორისო წარმატების მოპოვების შემდეგ უწოდეს ჩინელი ტარანტინო. 1997 წლის კანის ფესტივალზე ფილმი "ერთად ბედნიერად" დაჯილდოვდა პრიზით საუკეთესო რეჟისურისთვის, ხოლო 2000 წელს წარმოდგენილ ფილმში In The Mood for Love მთავარი როლის შემსრულებელი ტონი ლენგი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

"2046"-ის მთავარი გმირი მწერალია. იგი მუშაობს რომანზე, რომელშიც მისტიკური მატარებული რეგულარულად გადის 2046-ის მიმართულებით. ყველას, ვინც ამ მატარებელში ჯდება ერთი სურვილი აერთიანებს, დაიბრუნონ თავიანთი წარსული და მოგონებები. 2046-ში არაფერი იცვლება, თუმცა ეს დანამდვილებით არავინ იცის, რადგან იქიდან არავინ დაბრუნებულა; გარდა ერთადერთი ადამიანსა - მან გადაწყვიტა ყველაფრის შეცვლა. სწორედ ეს ადამიანი წერს ფილმში რომანს, რომელშიც საკუთარ წარსულს აღწერს.

"2046"-ში ვონგ კარ-ვაის ფილმებისთვის ჩვეული ყველა ელემენტი სახეზეა: საინტერესო სცენარი, ორიგინალური რეჟისურა, ბრწინვალე ოპერატორული ნამუშევარი და მაღალი კლასის მსახიობები; ანუ ყველაფერი ის, რის საფუძველზეც ფესტივალის კონკურსში მონაწილე ყველა ფილმისგან გამორჩეული "2046" "ოქროს პალმის" მოპოვების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად სახელდება.

პაულო კოელიოს თაყვანისმცემელთათვის

გუშინ, ეროვნული ბიბლიოთეკის წინ, ღია ცის ქვეშ, "ბაკურ სულაკაურის" გამომცემლობამ უჩვეულო პრეზენტაცია გამართა - ბრაზილიური მუსიკის თანხლებით და სახალისო ლატარეით, რომლის დროსაც "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის", "ორიფლეიმის", "ისი-პარისა" და ჟურნალების "სტერეოსა" და "კაკადუს" მიერ დაწესებული პრიზები გათამაშდა. ძალიან მხიარული საღამო იყო, კიდევ კარგი, ქუჩაში გაიმართა, თორემ ამდენ ხალხს რომელი დარბაზი დაიტევდა! მართალია, ვერაფერი მოვიგე, მაგრამ ძალიან გავერთე - უამრავი ნაცნობი შემხვდა და, რაც მთავარია, შესანიშნავად გამოცემული წიგნებიც შევიძინე.

ზეიმის მიზეზი სწორედ წიგნები იყო - ცნობილი ბრაზილიელი მწერლის, მსოფლიო ბესტსელერების ავტორის, პაულო კოელიოს ტრილოგიის პირველი ორი წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა. ამიერიდან ჩვენში უკვე ფრიად პოპულარული კოელიოს შემოქმედების მოყვარულებს შეუძლიათ "რიო-პედრას ნაპირზე ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა" ქართულ ენაზე წაიკითხონ - თარგმანის ავტორი ქალბატონი მზია გელაშვილი გახლავთ.

მზია გელაშვილი.

[illegible] ფოტო

მათ კი, ვინც ამ მწერლის ნაწარმოებებს ჯერ არ ზიარებია, გამომცემლებმა მისი რომანის შესავლიდან ნაწყვეტი შესთავაზეს, რომელიც მწერლის მთელი შემოქმედების არსს ასახავს:

"ერთი ესპანელი მისიონერი რომელიღაც კუნძულზე სამ აცტეკ ქურუმს შეხვდა.

- ლოცვა თუ იცით? - ჰკითხა მათ.

- "უფალო, შენ სამება ხარ და ჩვენც სამნი ვართ, შეგვიწყალე ჩვენ".

- კარგია, - უპასუხა მისიონერმა, - მაგრამ არა მგონია, ეგ თქვენი ლოცვა უფლის სმენას მისწვდეს. მოდი, უკეთეს ლოცვას გასწავლით.

ასწავლა კათოლიკური ლოცვები და უფლის სიტყვის გასამრავლებლად, გზა განაგრძო. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა უკან, ესპანეთში ბრუნდებოდა, ისე მოხდა, რომ გემმა სწორედ იმ კუნძულს ჩაუარა გვერდით. მისიონერმა ზედა გემბანიდან დაინახა ნაპირზე მდგომი ქურუმი და ხელი დაუქნია.

იმავ წამს ქურუმებმა წყალზე გამოიარეს და გემს მიუახლოვდნენ.

- პადრე! პადრე! - იყვირა ერთმა, სულ ახლოს რომ მივიდა გემბანთან, - ის ლოცვა ვერ დავიმახსოვრეთ, კიდევ ერთხელ გაგვიმეორეთ!

- არა უშავს, - უპასუხა ამ სასწაულის მნახველმა მისიონერმა და გულში პატიება შესთხოვა უფალს, უმთავრესს რომ ვერ ჩასწვდა: უფალი ყველა ენაზე ლაპარაკობს."

აი, ასეთი ამბავია. და თუ დაინტერესდებით, თუ რა ატირებდა რიო-პედრას ნაპირზე ჩამომჯდარს და რატომ გადაწყვიტა ვერონიკამ სიკვდილი, თბილისის ნებისმიერ წიგნის მაღაზიას მიაკითხეთ: "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" ახალი წიგნები უკვე გაყიდვაშია.

ათეულები

კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის"

ავტორი	წიგნი	გამომცემლობა	რეიტინგი
	[illegible]	[illegible]	7.6
[illegible]	[illegible]	[illegible]	6.4
ალენ კარი	"ბოლო სიგარეტი - მარტივი გზა"	[illegible]	5.6
[illegible]	[illegible]	[illegible]	3.6
სალვადორ დალი	"იდუმალი ცხოვრება სალვადორ დალისა"	[illegible]	3.2
აკა მორჩილაძე	"მოგზაურობა ყარაბაღში"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.8
რეზო გაბრიაძე	[illegible]	[illegible]	2.4
ალექსანდრე რონდელი	[illegible]	"მეცნიერება"	2
[illegible]	[illegible]	[illegible]	1.6
[illegible]	[illegible]	[illegible]	1.6

ჟურნალ "ბილბორდის" საუკეთესო სინგლების ცხელი ათეული

შემსრულებელი	სიმღერის სათაური	ჩარტებში გატარებული პერიოდი
აშერი	Burn	11
მარიო უინანსი, ენია და ფი. დიდი	I Don't Wanna Know	14
აშერი, ლილ ჯონი და ლუდაკრისი	Yeah!	20
ბიონსე	Naughty Girl	9
მარუნ 5	This Love	15
ტვისტა	Overnight Celebrity	9
კანიე უესტი და სილვია ჯონსონი	All Falls Down	11
"ჰუბასტანკი"	The Reason	10
ალიშა ქიზ	If I Ain't Got You	12
დი12	Shady	10

კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

ფილმი	რეჟისორი	მსახიობი	უიკენდის შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
ტროა	ვოლფგანგ პეტერსენი	ბრედ პიტი, ერიკ ბანა, ორლანდო ბლუმი, პიტერ ო'ტული	46,865,412	46,865,412
ვან ჰელსინგი	სტივენ სომერსი	ჰიუ ჯეკმენი, კეიტ ბეკინსეილი	20,727,615	85,095,305
ბოროტი გოგონები	მარკ უოტერსი	ლინდსი ლოჰანი, ტინა ფეი	10,182,766	55,400,970
მფარველი	ტონი სკოტი	დენზელ ვაშინგტონი, დაკოტა ფენინგი, კრისტოფერ უოკენი	5,101,128	64,169,492
დაარღვიე ყველა წესი	[illegible]	ჯეიმი ფოქსი, ჯენიფერ ესპოზიტო	5,088,577	5,088,577
13-იდან 30 წლამდე	გერი უინიკი	ჯენიფერ გარნერი, მარკ რუფალო	4,107,023	48,522,282
[illegible]	დენი გორდონი	მერი-კეიტ ოლსენი, ეშლი ოლსენი	3,814,307	10,783,723
მიზიდულობის კანონები	პიტერ ჰოვიტი	პირს ბროსნანი, ჯულიან მური	2,009,380	15,301,189
მოკალი ბილი-2	ქვენტინ ტარანტინო	უმა თურმანი, დევიდ კარადაინი, მაიკლ მედსენი, დერილ ჰანა, ლიუსი ლიუ	1,628,802	60,836,074
შური	ბარი ლევინსონი	ბენ სტილერი, ჯეკ ბლეკი, კრისტოფერ უოკენი	1,042,949	11,099,458

ფეხბურთი

განხეთქილება საბერძნეთის ნაკრებში

საბერძნეთის ნაკრების ბანაკში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეა, განხეთქილებაა. ოთხშაბათს ათობით ფანმა შტურმი მოაწყო ნაკრების საბაზო კლუბის აეკის ბაზაზე და ამით თანადგომა გამოუცხადა გუნდის გადარჩენის გეგმას, გუნდისა, რომელიც ახლა ფინანსურ კრიზისს განიცდის. ეს გეგმა თავის დროზე წარმოადგინა მადრიდის "ატლეტიკოსა" და საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელმა დემის ნიკოლაიდისმა, რომელიც ესპანეთში გადასვლამდე სწორედ აეკის ღირსებას იცავდა.

გააფთრებული გულშემატკივრები თავს დაესხნენ ფეხბურთელებს, მიანგრ-მოანგრიეს ოფისის შენობა და ფეხბურთელებისა და ხელმძღვანელობის რამდენიმე ავტომანქანა დაამტვრიეს. საბერძნეთის მასმედიამ კი აღნიშნა, რომ ეროვნულ ნაკრებში განხეთქილებაა.

კერძოდ, აეკისა და საბერძნეთის ნაკრების ნახევარმცველმა ვასილიოს ცარტასმა ეროვნული გუნდის წამყვანი ფორვარდი ნიკოლაიდისი "არაეთიკურ ქცევაში" დაადანაშაულა, მის გეგმას კი შანტაჟი უწოდა. ამით ცარტასმა ნიკოლაიდისი, ფაქტობრივად, დებოშის ორგანიზატორად გამოაცხადა. ფეხბურთელს ეროვნული ნაკრების სხვა მოთამაშეებმაც დაუჭირეს მხარი, კერძოდ, თეოდორის ზაგორაკისმა (ნაკრების კაპიტანი), მიხალის კაპსისმა, ვასილიოს ლაკისმა და კონსტანტინოს კაცურანისმა.

"ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ, ყველამ, პორტუგალიაში ეროვნული ნაკრების ღირსება უნდა დავიცვათ, - განაცხადა ცარტასმა, - არ ვიცი, როგორ შევძლებ ნიკოლაიდისის გვერდით ყოფნას".

კონფლიქტში უკვე ჩაერთნენ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი და საბერძნეთის ფეხბურთის ასოციაცია. მათ ფეხბურთელებს სთხოვეს, ოდნავ დაცხრნენ.

TV-სპორტი

შაბათი. 22 მაისი

НТВ+ФУТБОЛ

08:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ბერნარდ კინგი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "მონაკო" - "ჩელსი". პირველი მატჩი
15:10 "ევროფანკლუბი"
15:40 "გაიტანე"! დარკო კოვაჩევიჩთან ერთად
15:55 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
16:25 თავისუფალი დარტყმა
16:40 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. პირველი მატჩი. "სან პაულუ"" (ბრაზილია) - "დეპორტივო ტაჩირა" (ვენესუელა)
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "შტუტგარტი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:25 თავისუფალი დარტყმა
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 უკრაინის ჩემპიონატი. "დნეპრი" - "დინამო"
22:40 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. პირველი მატჩი. "სანტოსი" (ბრაზილია) - "ონსე კალდასი" (კოლუმბია)
00:25 თავისუფალი დარტყმა
00:40 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტიორი" - "კარპატი"
02:25 02:25-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. პირველი თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ

08:55 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ვაჟები. კორეა - ჩინეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
10:30 "ფორმულის ჰარმონია"
11:30, 14:00, 17:40, 22:00 პრესცენტრი
11:50, 22:15 "ოლიმპის შვილები"
12:00 ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი დიუსელდორფში
13:30 "მწვერვალი გვეძახის" - ევერესტი. ჩრდილოეთ კედლის ცენტრში
14:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. პლეი-ოფი
16:40 სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი. პირველი ნაწილი
17:55 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ფინალი აშშ-ში. პირველი ნაწილი
20:00 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
21:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი სტრასბურგში. ფინალი
00:30 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ვაჟები. კორეა - ჩინეთი. შესვენებისას (01:15) - ახალი ამბები
02:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
03:00 03:00-დან 06:00-მდე შესვენება
06:00 პროფესიული კრივი. ფლოიდ მეივეზერი - დემარკუს კორლი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

12:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის საათი
13:30 კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი
15:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მომენტები
17:30 ველორბოლა. იტალიის ტური
20:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
21:00 სნუკერი. მიმოხილვა
23:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
04:45 ახალი ამბები

ოტმარ ჰიცფელდი: „ბაიერნს" თავაწეული ვტოვებ"

"ბაიერნში" გატარებული ექვსი წლის განმავლობაში ოტმარ ჰიცფელდმა რვა ტიტული მოიპოვა. უკანასკნელ სეზონში კი წარმატებამ ზურგი აქცია მწვრთნელს - "ბაიერნი" ტიტულის გარეშე დარჩა. კლუბის ხელმძღვანელობამ დასკვნები გამოიტანა და მწვრთნელი გაათავისუფლა. დღეს საღამოს "ბაიერნი" "ფრაიბურგს" შეხვდება. ეს მატჩი უკანასკნელი იქნება ჰიცფელდისთვის. რა იქნება შემდეგ? - ბევრი თავისუფალი დრო და გოლფის თამაში...

ჰიტცფელდი მიდის.

- დღეს თქვენი უკანასკნელი დღეა მიუნხენის "ბაიერნში". რა მოტივაცია გაქვთ "ფრაიბურგთან" მატჩში?

- მე მახარებს ეს მატჩი და კლუბში დარჩენილი უკანასკნელი დღეები. მიუნხენში ჩინებული პერიოდი მქონდა, ძალიან წარმატებული პერიოდი, რომელმაც ბევრი სიხარული მაჩუქა. ამიტომაც, მეტად მნიშვნელოვანია, რომ დღევანდელ მატჩში სამი ქულა მოვიპოვოთ. ასეთ შემთხვევაში "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის საგზურს გაინაღდებს. ამ შემთხვევაში საქმე მე არ მეხება, არც ფეხბურთელებს. საქმე ეხება "ბაიერნს", რომელმაც ჩემპიონთა ლიგიდან საჭირო შემოსავალი უნდა მიიღოს.

- როგორი რეაქცია ჰქონდათ ფეხბურთელებს, როცა გუნდიდან თქვენი წასვლის შესახებ შეიტყვეს?

- ზოგიერთი მოვიდა და მითხრა, რომ ძალიან წყდება გული. მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. როდესაც ვერც ერთ ტიტულს ვერ მოიპოვებ, პასუხსაც აგებ. "ბაიერნში" ეს ნორმალურია.

- შაბათის შემდეგ ბევრი თავისუფალი დრო გექნებათ. რა გეგმები გაქვთ უახლოეს მომავალში?

- ჯერ არ ვიცი, რას ვიზამ. ჯერჯერობით მთლიანად "ფრაიბურგთან" მატჩზე ვარ ორიენტირებული. დანამდვილებით ვიცი, რომ 1 ივლისს ახალ გუნდს არ ჩავუდგები სათავეში. ჩემთვის ახლა მხოლოდ ის არის მნიშვნელოვანი, რომ "ბაიერნთან" ერთად სეზონი წარმატებით დავასრულოთ, ვიცე-ჩემპიონები გავხდეთ, მიუხედავად იმისა, რომ მძულს ეს სიტყვა. შემდეგ კი დადგება დრო, როდესაც ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო, დრო, როდესაც არაფრის დაგეგმვა არ მომიწევს. მე შევძლებ, ყველაფერს გამოვეთიშო, ოჯახზე ვიზრუნო, გოლფი ვითამაშო.

- ექვსი წარმატებული წლის შემდეგ დამშვიდობება არ გიჭირთ?

- ცხადია, მიჭირს, როდესაც უკან ასეთი შესანიშნავი წლები რჩება. მიუნხენში დიდი დრო გავატარე. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ "ბაიერნში" ექვსი წელი გავჩერდებოდი.

- "ბაიერნის" მენეჯერმა ჰიონესმა უკანასკნელად იმის გამო გაგაკრიტიკათ, რომ გუნდს მეტად ლმობიერად ეპყრობოდით.

- ამას მე კრიტიკად არ ვთვლი. მე ვარ მწვრთნელი, რომელიც საჭირო მომენტში ალვირს ქაჩავს, შემდეგ კი უკან უშვებს. ხანდახან ლმობიერი ვარ, ზოგჯერ კი - ძალიან მკაცრი.

- როგორ შეაფასებდით "ბაიერნის" ხელმძღვანელობის არაერთსულოვნებას უკანასკნელ დღეებში?

- ამ ჭორებს ჩემთვის დიდი პრობლემები არ შეუქმნია. ეს ნორმალურია. საზოგადოება უფრო ცივი გახდა, მედია კი - უფრო აგრესიული. გაზეთებიც კი გადარჩენისთვის იბრძვიან. ჩვენ ვცხოვრობთ გერმანიაში, სადაც ცხოვრება მუჯლუგუნებით უნდა გაიტანო. მაგრამ მე შემიძლია ასე ცხოვრება.

- რა მიგაქვთ თან "ბაიერნში" გატარებული წლებიდან, რა იყო თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა?

- უმნიშვნელოვანესი, ცხადია, გამარჯვებებია. ტიტულების გარეშე "ბაიერნში" არ გაგაჩერებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ის იყო, რომ თავიდან ბოლომდე ჩემს კურსს მივყვებოდი და ამ კურსს არც ერთხელ არ ვუღალატე. წაგება შეიძლება, მაგრამ საკუთარი სახის დაკარგვა - არა. "ბაიერნს" თავაწეული ვტოვებ.

- რას ელით კლუბისგან დამშვიდობების დროს?

- ხელის ჩამორთმევას. შესაძლოა, ყვავილებიც იყოს, არ ვიცი.

„რეალმა" ვალტერ სამუელი შეიძინა

მორიენტესზე კი ნადირობაა გამოცხადებული

აკა ტონია

საფეხბურთო სეზონი 2003-04 დასასრულს უახლოვდება და, როგორც ყოველთვის, ამ დროს იწყება მითქმა-მოთქმა შესაძლო ტრანსფერების შესახებ. მაშ ასე, ვინ რჩება, ვინ მიდის? - ამ კითხვებზე პასუხს ქვემოთ შეიტყობთ.

დევიდ ბექჰემის თემა დღეს მეტად აქტუალურია. მას შემდეგ, რაც ის "მანჩესტერ იუნაიტედიდან" მადრიდის "რეალში" გადავიდა, არ წყდება საუბრები იმის შესახებ, თითქოს ბექჰემი ინგლისში დაბრუნებას აპირებს. ეს ფეხბურთელი საკმაოდ კარგად შეერწყა ახალ გუნდს, თუმცა, მადრიდში მას პირადი ცხოვრება აერია. სწორედ მადრიდში გამჟღავნდა ბექჰემის სასიყვარულო თავგადასავლების საიდუმლო. ესპანელმა ჟურნალისტებმა ზედიზედ ორი ქალბატონი გამოქექეს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დევიდთან ინტიმური კავშირი ჰქონდათ. ბექჰემის ოჯახი დანგრევის პირასაა, თავად ფეხბურთელი კი დეპრესიაში ჩავარდა. ამ დროს გამოჩნდა ლონდონის "ჩელსი", რომელიც ინგლისელი ვარსკვლავის სანაცვლოდ სარეკორდო თანხის გადახდას აპირებს. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებდა, რომ ბექჰემი მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე მიატოვებდა "რეალს" და სამშობლოში დაბრუნდებოდა.

მაგრამ, ნურას უკაცრავად, ბექჰემი მადრიდში რჩება და არსად წასვლას არ აპირებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავად ფეხბურთელი არავითარ კომენტარს არ აკეთებდა. ახლა, როგორც ჩანს, მთელი ეს მითქმა-მოთქმა მობეზრდა და ხმაც ამოიღო. თანაც, თავისი პოზიცია მან წერილობით დააფიქსირა. "მადრიდის "რეალთან" ხანგრძლივი ხელშეკრულება მაკავშირებს. სულ რაღაც ერთი წელია, რაც მადრიდში ვთამაშობ და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემი მისია აქ ჯერ არ ამომიწურავს. ის მხარდაჭერა, რომელიც მე აქაური ქომაგებისგან მივიღე, ფანტასტიკურია და მე მინდა, ამ ჩინებულ გულშემატკივარს ჩემი კარგი თამაშით გადავუხადო სამაგიერო", - წერს ბექჰემი. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი 35 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადაბარგდა "რეალში" და ესპანურ კლუბთან მისი კონტრაქტი 2007 წლამდეა ძალაში.

მაშ ასე, თუ მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობას და თავად ბექჰემს ვენდობით, ინგლისელი კიდევ არაერთ სეზონს ჩაატარებს სამეფო კლუბში.

ვალტერ სამუელი - "რეალის" პირველი შენაძენი.

მის გვერდით კი ამიერიდან არგენტინელი ვალტერ სამუელი ითამაშებს. "რომას" 26 წლის მცველის "რეალში" გადასვლის შესახებ ინფორმაცია პირველად დაახლოებით ორი კვირის წინათ გავრცელდა. თავად ფეხბურთელი მადრიდის წინადადებას თავიდანვე დათანხმდა და "რომას" ულტიმატუმიც კი წაუყენა, "რეალის" გარდა, არც ერთ სხვა კლუბში არ გადავალო. მაგრამ სამეფო კლუბის საქმეს ის ართულებდა, რომ სამუელის შეძენით ლონდონის "ჩელსი" და მისი მეპატრონე რომან აბრამოვიჩიც იყო დაინტერესებული. მიუხედავად ამისა, "რომამ" და "რეალმა" უკვე მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას ამ ტრანსფერის თაობაზე და, სავარაუდოდ, ვალტერ სამუელს მადრიდში უკვე მომავალ ორშაბათს წარადგენენ. მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებდნენ "რომას" პრეზიდენტი ფრანკო სენსი, მისი ქალიშვილი როზელა, "რომას" სპორტული დირექტორი ფრანკო ბალდინი და ადვოკატი ჯან რობერტო დი ჯოვანი. "რეალის" მხრიდან იტალიაში გამართულ მოლაპარაკებებს უძღვებოდნენ მადრიდელთა კორპორაციული დირექტორი კარლოს მარტინეს ალბორნოსი და კლუბის ადვოკატი ანტონიო ველასკესი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვალტერ სამუელის სანაცვლოდ "რეალი" 24 მილიონ ევროს გადაიხდის. აღსანიშნავია ისიც, რომ რომან აბრამოვიჩი უკანასკნელ წუთამდე ცდილობდა ამ ტრანსფერის ჩაშლას და არგენტინელი მცველის გადაბირებას. გუშინწინ აბრამოვიჩმა კიდევ ერთი ფაქსი გაგზავნა "რომას" ოფისში და სამუელის სანაცვლოდ იტალიელებს 30 მილიონი ევრო შესთავაზა. თუმცა, თავად ფეხბურთელის სურვილი გადამწყვეტი აღმოჩნდა და "რომა" ნაკლებ თანხას დათანხმდა. სამუელის კონტრაქტი "რეალთან" ხუთწლიანია და ის 2009 წლამდე იქნება ძალაში.

ასე და ამრიგად, მადრიდის "რეალმა" უკვე განახორციელა წლევანდელი სატრანსფერო ზაფხულის პირველი ტრანსფერი - სამუელი "რეალის" ფეხბურთელია, რასაც, ალბათ, სულ მალე ველარ ვიტყვით ფერნანდო მორიენტესზე. მოგეხსენებათ, ეს ფეხბურთელი ჯერაც "რეალის" საკუთრებაა და "მონაკოში" ის მხოლოდ იჯარის წესით არის გადასული. მიუხედავად იმისა, რომ მორიენტესმა წლეულს შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას მაინც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ამ ფეხბურთელს დაემშვიდობოს. მორიენტესის გუნდიდან გაშვება არ სურს "მონაკოს" და ეს კლუბი ფერნანდოს "რეალიდან" გამოსყიდვასაც ცდილობს. მაგრამ მორიენტესის შენარჩუნება "მონაკოს" ძალიან გაუჭირდება, რადგან 28 წლის თავდამსხმელის შეძენით ახლა ლონდონის "არსენალიც" დაინტერესდა. ინგლისის მოქმედი ჩემპიონი მორიენტესის სანაცვლოდ 24 მილიონ ევროს სთავაზობს "რეალს". ნაკლებად სავარაუდოა, რომ "მონაკო" ლონდონელებს კონკურენციას გაუწევს, რადგან საფრანგეთის ჩემპიონატში მონაწილე ამ კლუბს ფინანსურად მაინცდამაინც არ ულხინს. მორიენტესის მიმართ ინტერესი, "არსენალის" გარდა, ასევე ლონდონის "ჩელსიმ", "ნიუკასლმა", ტურინის "იუვენტუსმა" და "რომამ" გამოამჟღავნეს. სავსებით შესაძლებელია, მორიენტესი არც "მონაკოში" დარჩეს და არც "არსენალში" გადავიდეს. არ დაგავიწყდეთ, რომ მადრიდის "რეალს" რომას კიდევ ერთი ფეხბურთელის, ფრანჩესკო ტოტის შეძენა სურს. სავარაუდოდ, ამ ფეხბურთელის საფასური თვით სამეფო კლუბისთვისაც კი მეტად შთამბეჭდავი იქნება. ამ შემთხვევაში "რეალს" მორიენტესის "გამოყენება" შეუძლია - თანხას დამატებული მორიენტესი ტოტის სანაცვლოდ...

რა ემველება "მონაკოს"? - ამ კლუბის პერსპექტივა არცთუ ისე დამაიმედებელია. მორიენტესის გარდა, "მონაკოს" თავის მწვრთნელთან, დიდიე დეშამთან განშორების საფრთხეც ემუქრება. 36 წლის მწვრთნელის თავისთან დაბრუნება ტურინის "იუვენტუსს" სურს. მოგეხსენებათ, დეშამი მრავალი წლის განმავლობაში იცავდა "იუვეს" ღირსებას. მარჩელო ლიპი გადადგა და ტურინელები ახლა უმწვრთნელოდ დარჩნენ. ჰოდა, "იუვენტუსს" ახლა დეშამის დაბრუნება უნდა, მწვრთნელის ამპლუაში. კლუბის სპორტული დირექტორი ლუჩანო მოჯი უკვე რამდენიმე კვირის განმავლობაში აწარმოებს დეშამთან მოლაპარაკებას. "იუვენტუსში" გადასვლაზე არც თავად ფრანგი მწვრთნელი ამბობს უარს, თუმცა, ამის სანაცვლოდ მან რამდენიმე პირობა წაუყენა ტურინელებს. დეშამი წელიწადში სამი მილიონი ევროს სიდიდის ხელფასს და "იუვენტუსის" მხრიდან რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელით გაძლიერებას ითხოვს. დეშამს სურს, "იუვენტუსმა" "რომას" ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი შეიძინოს. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ დეშამის სასურველ ფეხბურთელთა სიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფერნანდო მორიენეტესს...

ფეხბურთი

დევიდ ბექჰემი: „რეალთან" ხანგრძლივი გეგმა მაკავშირებს"

ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა განაცხადა, რომ, მოარული ხმების მიუხედავად, ის სამშობლოში არ დაბრუნდება და სურს, მადრიდის "რეალში" დარჩეს. ამას გარდა, დევიდის თქმით, მისი მეუღლე ვიქტორია აპირებს, ორივე შვილით საცხოვრებლად ახლახან შეძენილ ბინაში გადავიდეს და უფროსი ვაჟი, ბრუკლინი, სასწავლებლად ადგილობრივ სკოლაში შეიყვანოს.

ბექჰემის ეს განცხადება პასუხია ბულვარულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებზე, რომლებშიც აღნიშნულია, თითქოს დევიდ ბექჰემმა პირინეებზე რომანი გააბა.

"მე ხანგრძლივი გეგმები მაქვს "რეალთან" და ესპანეთში ჩემს ცხოვრებასთან დაკავშირებით, - განაცხადა ბექჰემმა, - მადრიდში მხოლოდ ერთი სეზონი გავატარე და, როგორც ჩანს, სამუშაო ჯერ არ დამიმთავრებია. ნდობა, რომელიც გულშემატკივრებმა გამომიცხადეს, უბრალოდ, დაუჯერებელია. მინდა, მათ მადლიერება გამარჯვებებით გადავუხადო".

ამასთან, საფეხბურთო მინდორზე დევიდ ბექჰემმა მხოლოდ სეზონის პირველ ნაწილში გაიბრწყინა. შემდეგ კი "რეალმა" ვერც ესპანეთის პრიმერადივიზიონი მოიგო, ვერც ქვეყნის თასი და ვერც ჩემპიონთა ლიგა. ამის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ ესპანეთში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ ბექჰემი ინგლისში დაბრუნდება და ლონდონის "ჩელსის" შემადგენლობაში ჩაირიცხება. დასახელდა თანხაც, რომელიც თითქოს ჩუკოტკის გუბერნატორს რომან აბრამოვიჩს ფეხბურთელის სანაცვლოდ უნდა გადაეხადა.

ბექჰემს "რეალში" მოსწონს.

შემდეგ კი ბექჰემის ყოფილმა პირადმა თანაშემწემ რებეკა ლუსმა განაცხადა, რომ შარშან, მადრიდში, დევიდთან რომანი ჰქონდა. ბექჰემმა ამ ფაქტს სასაცილო უწოდა. ჭორების გავრცელებას ხელი შეუწყო დევიდის ცოლის ვიქტორიას გადაწყვეტილებამ, პირველ წელს ინგლისში დარჩენილიყო. თუმცა, ამჟამად ბექჰემი აცხადებს: "ვიქტორია იზიარებს ჩემს თვალთახედვას ესპანეთში ერთობლივი ცხოვრების შესახებ".

კალათბურთი

დეტროიტული ტრიუმფი

სანდრო ნავერიანი

აკი გითხარით, დეტროიტი მოიგებს-მეთქი.

როგორც იქნა, ჩემი პროგნოზი გამართლდა. გუნდმა ძრავების ქალაქიდან ნიუჯერსელი ქსელები გააპარტახა, გაანადგურა, შეარცხვინა... 21:90 - ასეთი ანგარიშით დამარცხდნენ ნიუჯერსელები. მართლაც, სამარცხვინოდ დათმეს შეხვედრა.

ვინც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას ადევნებს თვალყურს, ეცოდინება, ვინ არის "ნიუ-ჯერსი ნეთსის" ლიდერი. ეს არის ჯეისონ კიდი. იცით, რამდენი ქულა მოაგროვა ჯეი კიდმა "დეტროიტთან" შეხვედრაში? რამდენი და ნული, მაგის დედაც... რა ჯანდაბა დაემართა, არავინ იცის, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ჯეი კიდის ვარსკვლავი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ჩადის.

არ გეგონოთ, თითქოს წაგებული მატჩი მარტო კიდის ბრალი იყოს. არა, მთელმა გუნდმა საშინლად ითამაშა. კეი მარტმა (კენიონ მარტინის მეტსახელი-რედ.) მხოლოდ 12 ტყორცნა შეასრულა, აქედან მხოლოდ ექვსი გამოიყენა. ვერც კერი კიტელსმა ივარგა. მართალია, ყველაზე შედეგიანი იყო თავის გუნდში, მაგრამ, რაც მან ტყორცნები შეასრულა, იმის ნახევარი მაინც რომ ჩაეგდო, საქმე სულ სხვაგვარად წავიდოდა. ერთადერთი, რაც ნიუჯერსელებმა შეიძინეს ამ პლეი-ოფის დროს, ეს რიჩარდ ჯეფერსონია. რიჩარდ ჯეფერსონი მთელი სერიის მანძილზე საუკეთესო იყო ქსელების რიგებში.

გუშინდელი დღე დეტროიტელების იყო, კერძოდ, ბენ უოლასის. ეს შავი, გაბურძგნილი, აგრესიული, სწრაფი, ტექნიკური და ჟინიანი კალათბურთელი მთელი სეზონის განმავლობაში დაცვით იყო დაკავებული, მაგრამ გუშინ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და კინაღამ თავისი გუნდის საუკეთესო სნაიპერი გახდა. მას მხოლოდ ოთხი ქულა დააკლდა იმისთვის, რომ ყველაზე შედეგიანი გამხდარიყო. ყველაზე შედეგიანი კი დეტროიტელთა რიგებში ჩონსი ბილაფსი იყო. მან 22 ქულა გააკეთა. მოკლედ, ტექნო-მუსიკისა და ამერიკული მანქანების დედაქალაქში გუშინ დღესასწაული იყო. დეტროიტელები დიდხანს ელოდნენ ამ მომენტს და აუხდათ კიდეც.

სიმართლე რომ ვთქვათ, დეტროიტელთა გამარჯვება მათმა კარგმა თამაშმა კი არა, ნიუჯერსელთა საშინელმა დაცვამ განაპირობა.

ასე რომ, აღმოსავლურ ფინალში "ინდიანა პეისერზი" და "დეტროიტ პისტონზი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ფინალური მატჩები დღეს, თბილისის დროით გამთენიისას დაიწყება. თუ შვიდივე მატჩის ჩატარება აუცილებელი გახდა, 3 ივნისს დასრულდება.

დასავლური ფინალის მონაწილეები კი, ალბათ, უკვე იცით, ვინც არიან. "მინესოტა თიმბერვულვზი" და "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" დაბრდღვნიან ერთმანეთს. კეი ჯი და კომპანია პირველად მოხვდნენ დასავლეთ კონფერენციის ფინალში და არა მგონია, ეს შანსი ხელიდან გაუშვან. მინესოტელმა მგლებმა საკრამენტოელ მეფეებთან გამარჯვება უკვე იზეიმეს და ახლა მზად არიან, ლეიკერები დაამარცხონ. არადა, მართლაც, კარგ ფორმაში არიან გარნეტი, კასელი და სპრიუელი. სწორად ეს სამეულია მინესოტელთა მთავარი დამრტყმელი ძალა.

ანგელოზების ქალაქში კი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი საყვარელი გუნდი წარმატებას მიაღწევს არა მარტო მინეაპოლისელებთან, არამედ ფინალშიც გაიმარჯვებს. ასე ფიქრის საფუძველი ნამდვილად აქვთ, მაგრამ ფრთხილად იყვნენ, ფეხი არაფერს წამოკრან. არ გაუგონიათ, რომ ბევრ ტრაბახს კარგი არაფერი მოაქვს. ასეა თუ ისე, "ლეიკერსის" ქომაგებს ყველაზე მეტად მაინც თავისი გუნდის სჯერათ და სხვისი აზრები სულ არ აინტერესებთ.

"დეტროიტ პისტონზი"-"ნიუ-ჯერსი ნეთსის" მატჩზე დეტროიტელ გულშემატკივრებს ბევრი საინტერესო და სასაცილო ტრანსპარანტი ჰქონდათ მიტანილი. ერთ-ერთზე ატირებული ჯეკ ნიკოლსონი იყო გამოსახული. ქვევით ეწერა: "პისტონზმა" "ლეიკერსის" ბუდეს გადაუფრინა. ერთ ტრანსპარანტზე კი "დიდი ოთხეულის" ორი წევრის, მელოუნისა და პეიტონის სახეები იყო გამოხატული, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა: თქვენ დიდი კალათბურთელები ხართ, თქვენი სახელი ყოველთვის დარჩება ჩვენში, როგორც ყველაზე უბედური კალათბურთელებისა, თქვენ ვერასოდეს მოირგებთ თითზე ჩემპიონის ბეჭედს.

დეტროიტელი გულშემატკივრები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი გუნდი მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი გახდება. ღმერთმა იმედი ნუ მოუშალოს დეტროიტელ, ლოსანჯელესელ და მინეაპოლისელ ქომაგებს. ჩვენ კი თვალი ვადევნოთ დასვლეთ და აღმოსავლეთ კონფერენციების ფინალურ მატჩებს და ვისიამოვნოთ.

ბოულინგი

რატომ ვთამაშობთ ბოულინგს?!

ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვითამაშოთ ბოულინგი. ისიც გიამბეთ, რაოდენ პოპულარულია ეს თამაში მთელ მსოფლიოში. არც ის გამოგვრჩენია, რა პერსპექტივები შეიძლება ჰქონდეს სპორტის ამ სახეობას. ამასთან, გაგაცანით მსოფლიო ჩემპიონები ბოულინგში და წარმოგიდგინეთ საუკეთესო ბოულერთა სარეიტინგო მონაცემები. თქვენ უკვე შეიტყვეთ, რომ ქართული ბოულინგი 5 წლისაა. მას უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა ჩვენში და დღეს უკვე ბოულინგცენტრი სასიამოვნო თავშეყრის ადგილად მოიაზრება.

ახლა კი გაგიმხელთ, რატომ ვთამაშობთ ბოულინგს.

პირველი მიზეზი გახლავთ ის, რომ ბოულინგი, მართლაც, არაჩვეულებრივი გასართობია. თავისი დემოკრატიული ბუნებიდან გამომდინარე, ბოულინგი თანაბრად ახალისებს ყველას, სქესის, ასაკისა თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად. თანაც, ასეთი გართობა ხელს უწყობს სტრესისგან დაცლას და ფიზიკურ-ემოციურ განტვირთვას.

მეორე მიზეზად ბოულინგის სპორტულ ასპექტებს დავასახელებდით, რის გამოც ამ თამაშით მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები დიდი ხანია დაინტერესდნენ. ალბათ, მალე ბოულინგი ოლიმპიური სახეობის სტატუსსაც მიიღებს და შესაძლებელი გახდება საერთაშორისო ასპარეზზე თავის გამოჩენა. ესეც რომ არ იყოს, უცხოეთში სხვადასხვა რანგის კომერციული ტურნირები ტარდება, სადაც სოლიდური პრიზებია დაწესებული. გამორიცხული არ არის, ასეთი ჯილდო რომელიმე ჩვენმა ბოულერმაც მიიღოს.

მესამე, რისთვისაც ბოულინგის თამაში გვიზიდავს, არის სხეულის გაკაჟების შესაძლებლობა. ამით, ფაქტობრივად, სპორტული ფორმის შენარჩუნებაც შეიძლება და გუნებაგანწყობის გაუმჯობესებაც. აქვე დავძენთ, რომ ასეთი გაჯანსაღება დღევანდელ პირობებში ნამდვილად არავის აწყენდა.


ჩვენ ვთამაშობთ ბოულინგს.

მეოთხე ფაქტორი გახლავთ ის, რომ ბოულინგი ხელს უწყობს ორგანიზმის ჰარმონიულ განვითარებას ხერხემლისა და კიდურების კუნთების რიტმული მონაცვლეობითი დატვირთვის ხარჯზე. უნდა ითქვას, რომ ამგვარი კოორდინირებული მოძრაობის საშუალებით სხეულსაც ვავარჯიშებთ და გონებასაც. ბილიკზე არსებული სამიზნეების მიხედვით ტრაექტორიის შერჩევა ლოგიკურ აზროვნებასაც ავითარებს.

მეხუთე მიზეზი თამაშის მარტივი წესებია: ცხოვრების რთული რეჟიმის პარალელურად ასეთი სიმარტივე დაღლილობის მოსახსნელად, მართლაც, უებარი საშუალებაა. განსაკუთრებული ძალისხმევა სულაც არ არის საჭირო, უბრალოდ, გააგორეთ ბურთი და გახალისდით.

მეექვსე მიზეზია კლუბური სისტემისთვის სახასიათო პრივილეგიები. ასეთი საკლუბო ცხოვრების სტილი ნამდვილად მისაღებია და მოსაწონი. ბოულინგცენტრის ესთეტიკურად დახვეწილი გარემო, შინაურულ-მეგობრული ატმოსფერო და გემოვნებიანი მუსიკა თავისთავად კარგი განწყობის საწინდარია. კიდევ უფრო სასიხარულოა, როცა ასეთ ლამაზ გარემოში საგანგებოდ შენთვის დაწესებული შეღავათით სარგებლობ.

მეშვიდე ფაქტორით გათვალისწინებულია ბოულინგისადმი უჩვეულო სიყვარული, რაც, ფაქტობრივად, განსაზღვრავს კიდეც თამაშის სურვილს. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა სურვილები და შესაძლებლობები თანხვდება ერთმანეთს. ჩვენ გვინდა ვითამაშოთ და ვთამაშობთ კიდეც, რადგან ეს რეალურად შესაძლებელია.

თქვენც გინდათ თამაში?! რატომაც არა, შემოგვიერთდით!

არჩევანი თქვენთვის მოგვინდვია. ისე კი, უკვე იცით, როგორ ითამაშოთ, ისიც გაიგეთ, რატომ უნდა ითამაშოთ, არც ის არის ძნელი მისახვედრი, სად უნდა ითამაშოთ. მაშ, ითამაშეთ და გაერთეთ, თუ გასართობად ხართ მოსული, ანდა მოიგეთ, თუ სპორტულ ასპარეზზე მოსინჯავთ ძალებს.

მარო მაჩხაანელის კუთხე

დედოფალი ნაქურდალი გვირგვინით

როგორც ვატყობ, ზოგიერთს სულ არ აინტერესებს, რა ერქმევა ძღვენს - საჩუქარი, შემოწირულობა, სესხი, ქრთამი თუ კიდევ სხვა რამ. მთავარია, იყოს და, რაც შეიძლება, ძვირფასი. ამასთან, არც იმასა აქვს მნიშვნელობა, რა რჯულის არის ძღვენის მომრთმევი, რა ეროვნების, რა პოლიტიკური მრწამსის...

პოლიტიკურ მრწამსზე გამახსენდა. გუშინ თუ გუშინწინ ზურაბ აზმაიფარაშვილმა ჭეშმარიტად სპორტულად მოუქცია - ჩვენ პოლიტიკური მრწამსი არ გვაინტერესებსო. ბარემ ეთქვა, ძღვენის წარმომავლობა არ გვაინტერესებს, ყველასგან ყველაფერს ვიღებთო.

აზმაიფარაშვილი კომბინაციების დიდოსტატია გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობითაც. ამას ჭადრაკში და, საერთოდ, სპორტში ცრუ მანევრი ჰქვია. ეს მანევრი დიპლომატიაშიც იგივე სახელით არის ცნობილი. სხვათა შორის, კარგა ხანია, აღარავის არ აინტერესებს ასლან აბაშიძის პოლიტიკური მრწამსი. სამაგიეროდ დიდ ინტერესს იწვევს იმ სიმდიდრის წარმომავლობა, რომელსაც ყოფილი "აჭარის მეთაური" გვირგვინად შეკრული ბრილიანტების სახით არიგებს. უფრო სწორი და ზუსტი იქნებოდა მეთქვა, ნაქურდალი ბრილიანტები-მეთქი. ცნობისწადილით არ ვიწვი, მაგრამ მაინც საინტერესოა, ვის თავს დაამშვენებს აჭარლებისთვის შეწერილი ფულით ნაყიდი და საჩემპიონო გვირგვინად ქცეული ჯილდო და რა ნამუსით ატარებს ამ ჯილდოს მისი მომავალი პატრონი.

თუმცა, კმარა ამაზე.

მეთერთმეტე ეტაპზე "ჯირო" მიადგა იმ ქალაქს, სადაც... საერთოდ, ყველა ის ქალაქი, ყველა ის სოფელი, რომელსაც "ჯირო", "ტური" ან "ვუელტა" ჩაუვლის, დღესასწაულის ადგილად იქცევა ხოლმე. ამჯერად ვერ იტყოდი, ჩიზენო დღესასწაულობდა თუ გლოვობდა. აქ დაიბადა იტალიელ სპორტსმენთაგან ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და სათაყვანებელი კერპი მარკო პანტანი.

მარკოს დედა იგივეს ამბობს, რაც 1999 წლის მიწურულს თქვა:

- ჩემი ბიჭისთვის ველოსპორტი მთელი ცხოვრება იყო. ველოსპორტის გარდა, არაფერი აინტერესებდა. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რამდენი იქნებოდა პრიზი, რამდენს გადაუხდიდნენ ამა თუ იმ ეტაპზე გამარჯვებისთვის, რამდენი ექნებოდა ხელფასი. დღეს, ფულის ზეობის ხანაში, ეს ყველაფერი შეიძლება სასაცილოა, მაგრამ დღესაც არიან ჩემი შვილისნაირები, რომლებისთვისაც ფული არაფერს, ანდა თითქმის არაფერს ნიშნავს. ვიღაცას ხელს უშლიდა მარკო, ვიღაცამ მისი მოშორება გადაწყვიტა. მაშინ, 1999 წელს, ის ტესტიც, რომელმაც ვითომცდა დასაშვებზე მაღალი ჰემატოკრიტი დააფიქსირა, ის გადაწყვეტილებაც ყალბი და შეთითხნილი იყო. უკანასკნელი ეტაპის, თანაც, თავისი საყვარელი მთიანი ეტაპის, მორტილოროს წინ, ფაქტობრივად, უკვე მოგებული "ჯიროდან" მოხსნეს.

დაახლოებით იგივეს ამბობს მარკო ველო, პანტანის მეგობარი, დღეს უკვე "ჯიროს" ორგზის ჩემპიონის ჯილბერტო სიმონის გრეგარი.

- იმ დაწყევლილ ეტაპამდე სამი-ოთხი დღით ადრე პელოტონში უკვე ლაპარაკობდნენ, მარკოს მოხსნიანო.

ხუთ თუ ექვს საავტომობილო კატასტროფას გადაურჩა მარკო პანტანი. მაგრამ ეს უკანასკნელი დარტყმა კარგად მოფიქრებული სვლა იყო. მათ, ვინც ეს მოაწყო, მშვენივრად იცოდნენ, რაოდენ უსუსური იყო ყოფით აღმართ-დაღმართებზე მთების მეფე. მას ნამდვილად არ შეეძლო თავის დაცვა პოლიტიკური თუ ჟურნალისტური თავდასხმებისგან და სასოწარკვეთილს, ერთადერთი გზაღა დარჩა - თვითმკვლელობა.

ჩეზანი მდუმარედ შეხვდა ყველა იტალიელისთვის საყვარელ "ჯიროს".

წარსული აღარ ბრუნდება. ვეღარც "ილ პირატა" დაუბრუნდება თავის საყვარელ მთებს, მაგრამ ველოსპორტის ქომაგებმა, შესაძლოა, იმით ინუგეშონ თავი, რომ ეტაპი მარკოს ქალაქში მარკო პანტანის კომპლექციის, მარკოსავით შეუპოვარმა ახალგაზრდა ბიჭმა ემანუელე სელამ მოიგო; შესაძლოა, იმით ინუგეშონ თავი, რომ პირატის საყვარელ უღელტეხილს, მორტილოროს, რომელსაც ქართულად "სიკვდილის მთა" ჰქვია, დღეიდან "პანტანის მთა" ერქმევა; შესაძლოა, იმით ინუგეშონ თავი, რომ წლევანდელი "ჯიროს" ერთ-ერთი ფავორიტი პანტანის ყოფილი თანაგუნდელი, მისი ალი-კვალი დამიანო კუნეგოა!

თუმცა, კმარა სევდიანი ნოტები.

დამიანო კუნეგოს ჯიმ მორისონი ჰყვარებია და როცა ბოლო მთის ეტაპი მოიგო, გახარებულსა და ეიფორიაში მყოფს, მორისონი დაუკარითო, უთხოვია.

კუნეგო სულ 22 წლისაა. მრავალდღიანებისთვის, ერთხელ უკვე ვთქვი, ეს საყმაწვილო ასაკია და, ბუნებრივია, მის გარშემო დატრიალებული ამბებიც ასეთივე, წმინდა ბიჭური ხასიათისაა. მეშვიდე ეტაპის წინ სოფელში გაუსეირნია თავის ძმაკაცთან ერთად და სტარტზე რომ გამოცხადდა, პელოტონი კარგა ხნის წასული იყო. დამიანომ ჩამორჩენა - დაახლოებით 4 კილომეტრი - სულ მალე ამოქაჩა, მწვრთნელმა კი კინაღამ ინფარქტი აიკიდა.

ამას წინათ მობილური მოჰპარეს. თვითონ სხვა აზრისაა. არავის არაფერი არ მოუპარავს, ტელეფონი მწვრთნელმა ამაცალა, რომ ზედმეტად არ გავერთო მარიებთან და ლოლებთან ლაპარაკითო. დასრულდება "ჯირო" და ჩემს მობილურსაც უკანვე დამიბრუნებენო.

ეს იქითა ამბები მოვითავეთ. აქეთ, მართალი გითხრათ, საინტერესო არაფერი ხდება. სპორტის დეპარტამენტში, ფეხბურთის ფედერაციასა და ოლიმპიურ კომიტეტში, როგორც ისხდნენ, ისევ ისე სხედან. სხვა რა? ცოტაც წავიჭორაოთ და მოვრჩეთ.

ეხლა, ამ სპორტულ გამოცემებსა და ტელესპორტულ წამყვანებს რომ გადავავლე თვალი, სულ კაცები არიან. ვითომ მართლა ეგრე მაგრა ერკვევიან სპორტში და თან ქართულიც ისე იციან, რომ ერთი გოგო არ გააჭაჭანეს არსად?

რაღაც არა მგონია. სასაცილო იცით, რა არის? ყველაზე დიდი და ბევრის მცოდნეები ფეხბურთში არიან. ეხლა, ჩვენი ფეხბურთის შემხედვარე, ვინმე იტყვის, რომ ეს ასეა? რაც ერი, ის ბერიო. ფეხბურთელები და მწვრთნელებიც მაგათნაირები არიან და იმიტომ მივდივართ სულ ურაზე! ასლანას გვირგვინისა არ იყოს, ეს საჟურნალისტო და სატრენერო ადგილებიც მოპარული ხომ არ არის?

ამას, ისე, სხვათა შორის ვკითხულობ, მარო მაჩხაანელი.

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

აფხაზეთის დაბრუნებას ნამდვილად ველარ გადავიტანთ!

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის მოედანზე მოწყობილი კონცერტი "აჭარა თავისუფალია" ჯერაც არ დამთავრებულა, ეს წერილი ახლა რომ არ დამეწერა და ჩემი გრძნობები არ გადმომეცა, თავი ვერ შევიკავე. მე მეტრო რუსთაველთან, ზანდუკელის ქუჩაზე ვცხოვრობ და ახლა, ამ წუთებში, ყველა ფანჯრიდან ულამაზეს ფეიერვერკს ვუყურებ. არ ვიცი, ბოლო თვეების ემოციურად გადატვირთული დღეების, მოვლენების ბრალია თუ, უბრალოდ, ნერვები აღარ გვივარგა, მაგრამ დღევანდელი კონცერტის მსვლელობისას ცრემლები არაერთხელ მომადგა. მიშა სააკაშვილმა მტირალად არ გადამაქცია? აღარ შემიძლია! ნოემბრის შემდეგ პერმანენტულად მატირებს, ოღონდ ისეთი ცრემლებით, რომლებიც არასდროს მეგონა, თუ წამომივიდოდა. ხალხით გადაჭედილ მოედანს ვხედავ - მეტირება, ამდენი ათასი ახალგაზრდის გულწრფელ ბედნიერებას, ზეიმს ვუყურებ - მეტირება, ქართულ ხალხურ ცეკვაზე - მეტირება, ჩემი აზრით, კოსმოპოლიტი ავანგარდისტის, ირაკლი ჩარკვიანის პატრიოტიზმზე - მეტირება, "33 ა" თავის ცნობილ და ყველასათვის საყვარელ სიმღერას მღერის - მეტირება, ფეიერვერკზე - მეტირება, პრეზიდენტი სცენაზე ადის, უცნობს გაეთამაშება, "ვაგონი მიქრის"-ზე წაიცეკვებს და ყოველგვარი პროტოკოლის გარეშე ახალგაზრდებს ისე ესიყვარულება, თითქოს ერთი რიგითი მათგანი იყოს და მათი სიხარული მისი სიხარულიც არის - ხომ მეტირება და მეტირება! აღარ შემიძლია. თავი ვერ შევიკავე და ჩემს ერთ სკეპტიკოს ნაცნობს დავურეკე, მისი ცინიზმისა და ურწმუნოების კიდევ ერთხელ გასაქარწყლებლად, და იცით რა მოხდა? ყურმილი, ფაქტობრივად, დამიკიდა, იმიტომ, რომ ტიროდა და ვერ მელაპარაკებოდა. ესეც შენი ელიტარული სკეპტიკოსი, რომელიც პრეზიდენტის ჩვენთვის სრულიად უჩვეულო უშუალობამ ერთ წამში აზრზე მოიყვანა.

ამიხსენით, სად იყო ეს ათასობით ახალგაზრდა ადრე? ერთ დაძახებაზე რატომ იკრიბებიან, ამდენ ხალხში ჩხუბი როგორ არ ხდება, რატომ არ არის ჭყლეტა, არავინ ხულიგნობს, ყოველგვარი კომპლექსების გარეშე სიმღერებს ჰყვებიან, ცეკვავენ, ერთმანეთს უღიმიან, გზას უთმობენ, ეფერებიან. ნუთუ ადრეც ასე გვიყვარდა ერთმანეთი? მაშ, რაღას ვერჩოდით?

რა მნიშვნელობა აქვს, ასეთ კონცერტში ცალკეული გამომსვლელი, წამყვანი ან ნომერი თუ არ მომეწონა. რომელი, არც მახსოვს და არც მაინტერესებს. არის დღეები, წუთები, ემოციები, რომლებიც დაწვრილმანების უფლებას არ გაძლევს. საერთო ზეიმია, საერთო სიხარული და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ როგორ იმღერა, თუ იგი მთელი გულით თავისუფალ აჭარას და ერთიანი საქართველოსთვის პირველ გადადგმულ ნაბიჯს უმღერის.

მე მგონი, წერას დროზე უნდა მოვრჩე, თორემ ისევ მეტირება! თუ მიშა სააკაშვილი აფხაზეთის პრობლემას შეეჭიდება, მაშინ მოსახლეობის და, მათ შორის ჩემი, ნერვიული სისტემის მოწესრიგებაზეც უნდა იზრუნოს, თორემ აფხაზეთის დაბრუნებას უკვე ნამდვილად ვეღარ გადავიტანთ!

P.S. საქართველოზე მონატრებული მამაჩემი, რომელიც ბოლო წლებში საფრანგეთში ცხოვრობდა, სულ მიმტკიცებდა, რომ ქართველები ჟღერადად, მოსასმენად სასიამოვნოდ ხმაურობენო. მეცინებოდა, ყველაფერს მის ნოსტალგიურობას ვაბრალებდი და ბოლომდე ვერ ვხვდებოდი, რას ამბობდა. ახლა ამ წერილს ვწერ, კონცერტი დამთავრდა, მოედნიდან ხალხი ხმაურიანად როგორ იშლება, ღია ფანჯარაში ვუსმენ და მამაჩემი მახსენდება. ბედნიერი, გამარჯვებული ხალხის ხმაური, ლაპარაკი, სიცილი მართლაც როგორი ჟღერადი ყოფილა. აი, ჩემს ქუჩაზე მომავალი ბავშვების ერთი ჯგუფი "გაუმარჯოს" სკანდირებს, აი, მეორე "ვაგონს" მღერის, მესამე - "ზოგი ასე უბერავს". არა, არა, ისევ მეტირება!

"ბალიაში ბულბულები ზიან"

მგონი, რუბრიკისთვის სახელის დარქმევა ცოტა ნაჩქარევად მომივიდა და მინდა თუ არ მინდა, გულახდილად უნდა გამოგიტყდეთ, რომ კანონიერ ქურდებზე ჩემი პირველი შთაბეჭდილება აღტაცებითი იყო და დიმიტრი ლორთქიფანიძემ გამოიწვია, რომელიც მრავალი წლის წინ რუსთაველზე დამანახეს. დღესაც მახსოვს, როგორი არაუტრირებული, ინგლისური სტილის "ბეჟი" ლაბადა, შავი პერანგი და შავი შარვალი ეცვა, კისერში ლამაზი, მუქი ტონის აბრეშუმის შარფი ჰქონდა ჩაფენილი და ქუჩის საერთო მასაში ელეგანტური არისტოკრატიზმით გამოირჩეოდა. ასეთი გარეგნობის მქონე, ნებისმიერი საქმიანობის ადამიანმა შენში რომანტიული აღტაცება შეიძლება გამოიწვიოს. პირველი გაკვირვება კი ჯაბა იოსელიანის მიერ კარაულოვისადმი მიცემულ ინტერვიუს მოჰყვა, რომელშიც ჯაბა თავის კრიმინალურ-ქუჩური ცხოვრების არჩევანს იმით ამართლებდა, რომ მაშინ, მისი ახალგაზრდობის წლებში, მხოლოდ ორი გზა არსებობდა - ქუჩა და კომკავშირი. არც მაშინ და არც ახლა ამ თეორიას კატეგორიულად არ ვეთანხმები, ვთვლიდი და დღესაც ვთვლი, რომ მესამე გზა ყოველთვის იყო, უამრავმა უკომპრომისო ადამიანმა სწორედ ეს გზა აირჩია და შეიძლება ნაკლებად ეფექტურად, ყოველგვარი ხმაურისა და პოპულარობის გარეშე, მაგრამ მორალით, თავაწეულმა გაიარა. ჯაბა იოსელიანს, რომელსაც დიმიტრი ლორთქიფანიძის მსგავსად, განსაკუთრებული გარეგნობა, ელეგანტურობა, კოლორიტულობა ჰქონდა, ერთადერთხელ სტუმრად, სუფრაზე შევხვედრივარ. როდესაც მან გაიგო, რომ კოკა იგნატოვის ქალიშვილი ვარ, მისთვის ჩვეული იუმორით მომიყვა - ერთხელ, ზვიადის პერიოდში, კოკას ქუჩაში, ვერაზე შევხვდიო და შეკითხვაზე, როგორ ხარ, ვუპასუხეო - "აბა, როგორ ვიქნები, ერთი ბო... გადამეყარა"-იქო. ხოდა, ახლა, სახლში რომ მიხვალთო, მამა მომიკითხეთო და უთხარითო, "ჯაბამ შემოგითვალა, очередной ბო... ისევ გადამეყარა"-ო (ეს შეხვედრა შევარდნაძის პერიოდში მოხდა).

ერთხელ, ცნობილი კანონიერი ქურდის პრო... კოლას პანაშვიდზე ვიყავი, ვინაიდან მისი ოჯახის წევრს ვიცნობდი. მახსოვს, ძალიან გამიკვირდა ამერიკული კინოფილმიდან "ერთხელ ამერიკაში" მუსიკა რომ უკრავდა. თუმცა, ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა ამგვარი ჰოლივუდიზაცია შემდგომ კარგად აიტაცა და ამერიკული კინოს მელოდიები პანაშვიდებზე ხშირად ჟღერდა.

ერთ კანონიერ ქურდს შორიდან ვიცნობდი. ის ბრეიგელის ან ბოსხის ნახატების პერსონაჟს ჰგავდა. ძალიან შთამბეჭდავი, დიმიტრი ლორთქიფანიძისგან და ჯაბა იოსელიანისგან რადიკალურად განსხვავებული გარეგნობა ჰქონდა, რომელიც მხატვარს, მოქანდაკეს ან პოლიციას თუ დააინტერესებდა, თორემ, უბრალო მოკვდავებში მხოლოდ შიშს იწვევდა. ჩემმა სკოლელმა კანონიერმა ქურდმა, მიღწეული "წარმატებების" მიუხედავად, ბავშვობა არ დაივიწყა და პოლიციაზე ბევრად უფრო ეფექტურად და უსასყიდლოდ, მოპარული მანქანა მომაძებნინა. 49-ე, VIP კამერიდან საერთოში გადაყვანილმა რეზო ლორთქიფანიძემ ერთხელ ლექსი დამიწერა, რომელიც, ჩემი დაუდევრობის გამო, დავკარგე, თორემ აუცილებლად წაგაკითხებდით. თუმცა, მახსოვს, კარგი ლექსი იყო, თანაც კანონიერი ქურდის მიერ დაწერილი! ესაა და ეს, ქურდულ სამყაროსთან ჩემი შეხება ამით იწურება, მაგრამ მგონი ესეც სავსებით საკმარისია და ჩვენი საზოგადოების ანომალიური აღრევით არის გამოწვეული, რაც განსაკუთრებით აშკარა სწორედ ბოლო წლებში გახდა. რატომღაც ეჭვი მეპარება, რომ ბაბუაჩემი, ან მისი თაობის ნებისმიერი რიგითი მოქალაქე, კანონიერ ქურდს სადმე ხვდებოდა, ან, მით უმეტეს, იცნობდა. ქურდებს თავისი ადგილი ჰქონდათ და საზოგადოებას არ ერწყმოდნენ, მის თანამონაწილეობაზე პრეტენზია არ გააჩნდათ და საზოგადოება კი მათ რომანტიულ-საპატივცემულო ნაწილად არ აღიქვამდა. ბოლო ათწლეულებში კანონიერი ქურდებისადმი ინტერესი და მათი სტატუსი რადიკალურად შეიცვალა. შალამოვით დაწყებული, გოჩა მანველიძით დამთავრებული, მათ შესახებ არაერთი წიგნი დაიწერა, ფილმი გადაიღო. ქურდები საზოგადო, პოლიტიკური, ბიზნესცხოვრების სულ უფრო სრულყოფილი წევრები გახდნენ, რაც, ჩემი აზრით, იმით იყო გამოწვეული, რომ სახელმწიფოს ზედა ეშელონები თავად ემსგავსებოდნენ ქურდებს, სულ უფრო და უფრო კრიმინალდებოდნენ და, შესაბამისად, ნამდვილი ავტორიტეტებიც სულ უფრო და უფრო საჭირონი ხდებოდნენ.

ვინ არის ქურდი? ქურდი არის ადამიანი, რომელიც ფარულად, მალულად სხვისას იღებს, ანუ იპარავს. ქურდი შეიძლება ჯიბის, ხაზინის, ნემსის და აქლემის იყოს. ქურდობა ყველა დროში, საუკუნეში იყო და ალბათ იქნება. ეტყობა, ადამიანი ასეა მოწყობილი, მაგრამ ერთი განსაკუთრებული ფენომენი - კანონიერი ქურდი კი მე-20 საუკუნის საბჭოთა სისტემის მონაპოვარ-დანატოვარია. რამდენადაც ვიცი, კანონიერი ქურდის ინსტიტუტი 20-30-იან წლებში ბოლშევიკებმა შექმნეს, რათა ამ პერიოდში ზონებში აღმოჩენილი უზარმაზარი ინტელექტუალური მასა დაბალანსებული, კონტროლირებადი და დემორალიზებული ყოფილიყო. ჭეშმარიტ კანონიერ ქურდს არც სახლი, ოჯახი, ცოლი, სამსახური, განათლება, ქონება არ უნდა ჰქონოდა, ყველგან, ყველასთვის, ყველაფერი უნდა მოეპარა, "ობშიაკში" შეეტანა, საერთო ქურდული სამყაროს უმკაცრესი კანონებით ეცხოვრა და უმეტესი დრო ზონაში და არა კანის კინოფესტივალზე გაეტარებინა. სტალინის მიერ მოგონილი და ათწლეულების განმავლობაში საკუთარ ინტერესებში ძალიან ეფექტურად გამოყენებული ქურდული სამყარო, ისევე როგორც საზოგადოება, კომუნისტური მთავრობა ქამელეონივით იცვლიდა ფერს და დროს ეწყობოდა. საბჭოთა პერიოდის კანონიერი ქურდის ცნებას რაღაც რომანტიული არეალი სდევდა თან და ნამდვილი ქურდი სიტყვაძუნწი, მტკიცე კოდექსებით, ასკეტურად მცხოვრები, სამართლიანი, მიუკერძოებელი, ყოველგვარ მატერიალურს მოკლებული კრიმინალი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ზურგს უკან პატიმრობის დიდი სტაჟი ჰქონდა. მას ერთი, მოკლე სიტყვით, ან თუნდაც თავის ერთი გაქნევით, ბედის, კამათის, პრობლემის გადაწყვეტა შეეძლო. საზოგადოებამ, ისევე როგორც კანონიერმა ქურდებმა, პროგრესი განიცადა და თუ დღევანდელმა ავტორიტეტებმა სასახლეებში ცხოვრება, ოქროს სამკაულებში ჩაფლობა, უძვირფასესი მანქანებით სიარული, პოლიტიკაში ჩარევა, კოლოსალური ბიზნესების გაკონტროლება დაიწყეს და დღესდღეობით თვითონ უფრო კარგი გასაქურდები გახდნენ, ვიდრე რამის მომპარავები, მაშინ საზოგადოებაც ველარ ხვდება ბიზნესუთანხმოების, პარტნიორებს, კომპანიონებს ან ოჯახის წევრებს შორის დავის "გასაიასნებლად" საშუალოდ განათლებული, ფაშასავით მაცხოვრებელი, ყველა ქურდული კანონის დამრღვევი "კანონიერი ქურდი" ჩვენს ბედს რატომ უნდა წყვეტდეს. რატომ უნდა მივმართო ქურდს, როდესაც თუნდაც ისეთივე კორუმპირებული, ანუ ქურდი, მაგრამ სამართალდამცავი სტრუქტურები არსებობს, რომლებსაც უმაღლესი იურიდიული განათლება მაინც აქვთ მიღებული.

ალბათ, დილეტანტურად ვმსჯელობ, მაგრამ ჯერ ერთი ქალი ვარ, ანუ ქურდებისთვის სრულიად არასაპატივსაცემო არსება და მეორეც - ამ საკითხში განსაკუთრებული პროფესიონალიზმითა და ჩახედულობით გამორჩევა არც მინდა. ერთი კი ზუსტად ვიცი, რომ წლების და იდეოლოგიის შედეგად შექმნილი კანონიერი ქურდის რომანტიული სახე, მე პირადად, სრულიად დამემსხვრა, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ცნობილი კანონიერი ქურდის მიერ წყნეთის გაჩეხილი ნაძვნარი, მასში აშენებული (არ ვიცი იმას რა უნდა ვუწოდო) პალაცო და კუკიის სასაფლაოზე კი წინასწარ გაკეთებული საკუთარი საფლავი-აკლდამა მაჩვენეს შემთხვევით. რამდენადაც ვიცოდი, წამიკითხავს, კანონიერი ქურდი ბარელიეფებით, მარმარილოებით, ბრილიანტებით, ოქროებით მოპირკეთებულ სინამდვილეში მცხოვრებ ელემენტარულ მეშჩანს არ ნიშნავს. რა განსხვავებაა ამ სახლის მეპატრონესა და მის შორიახლოს მდებარე, ოდნავ უფრო პატარა სახლის მფლობელ მექრთამე ბიუროკრატს შორის? ვინ ვის პარავს, ვინ ვის აკონტროლებს და ვის ვინ უფრო სჭირდება? ვინ არის მოხელე, რომელიც კანონის სახელით იპარავს და ვინ არის კანონიერი ქურდი, რომელიც მას იფარავს?! მე მგონი დროა, ყველა ჩვენგანმა გავიაზროთ, რომ კანონიერი ქურდის ინსტიტუტმა დიდი ხანია სახე იცვალა. განუკითხაობის გამო კანონიერი ქურდი ვაჭარს დაემსგავსა, ჩინოვნიკი ქურდს, ჩვენ კი, როგორც ვიყავით ორივესთვის "ფრაერები", ისე დავრჩით, თუ, რა თქმა უნდა, საზოგადოების გაწმენდას არ შევეცდებით, საკუთარ პრინციპებს უფრო მკაცრად არ დავიცავთ და ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ.

ევროპაში გაჭრილი კიდევ ერთი ფანჯარა

17-20 მაისს თბილისში კულტურული პროგრამა "ქარავან სარაი" ჩატარდა, რომელიც სხვადასხვა ღონისძიების, გამოფენის, მასტერკლასის, პერფორმანსის მთელ ციკლს გვთავაზობდა. "ქარავან სარაის" ავტორები არიან ევროპის მხატვრული პროგრამების გაცვლების საერთაშორისო ორგანიზაცია "აპოლონია", კულტურული კოორდინაციის ცენტრი "კავკასია-ევროპა" (საფრანგეთი) და მათი თბილისელი პარტნიორ-კურატორი "N-გალერეა", რომელთა მიზანია კავკასიური და კონკრეტულად, ქართული თვითმყოფადობის საფუძველზე კულტურული ჩარჩოების კიდევ უფრო გაფართოება და მსოფლიოში მიმდინარე კულტუროლოგიურ მოვლენებთან ადაპტირება.

სამწუხაროდ, ამ პროგრამის მხოლოდ ორი შემადგენელი პროექტი ვნახე - პირველი "N-გალერეაში" ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ფოტოშემოქმედთა გამოფენა, მეორე კი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ევროპელი მხატვრების მიერ სტუდენტებისთვის ჩატარებული მასტერკლასი - პერფორმანსი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივ იმ თაობას მივეკუთვნები, რომელსაც ამგვარი კონცეპტუალურ-დეკლარირებული ხელოვნება ნაკლებად ესმის, არ შემიძლია არ აღვნიშნო ფოტოგამოფენის ღირებულება და აკადემიაში მოწყობილი პერფორმანსის მსვლელობისას სტუდენტებით გადაჭედილი, სოცრეალიზმის ეპოქის ნამუშევრებით დამშვენებული სააქტო დარბაზის დიდი ინტერესი, ცოცხალი რეაქცია და აქტივობა. დრო თავისას შვება. თაობები, მენტალიტეტი, ხედვა იცვლება, ქართველი ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო მასობრივად მსოფლიო სტანდარტებით აზროვნებს, ხედავს, ქმნის და ის, რაც ჩემს დროში ერთეულებს აინტერესებდა, ესმოდა, დღეს ფართო ინტერესს, გაგებას და თანამონაწილეობის სურვილს იწვევს. ქართული პოლიტიკა, ეკონომიკა ნაბიჯ-ნაბიჯ ევროპისკენ მიდის და ქართული კულტურაც, რომელიც ოდითგან ჩვენი ქვეყნის მთავარი სიმდიდრე იყო, დროს ფეხდაფეხ მიჰყვება, ახალი თაობების ინტერესებს, მოწოდებებს, ინდივიდუალურ ხედვას ითვალისწინებს და ორგანიზაცია "აპოლონია"-ს, "N-გალერეას", "კავკასია-ევროპას" მეშვეობით, ქალაქის კულტურის სამსახურის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, გოეთეს ინსტიტუტის, ალ. დიუმას სახელობის საფრანგეთის კულტურული ცენტრისა და ისტორიის მუზეუმის დახმარებითა და ხელშეწყობით თანამედროვე ევროპული კულტურისკენ კიდევ ერთ ფანჯარას ჭრის. შენი უნდა გიყვარდეს, იცოდე, სხვისი უნდა გაინტერესებდეს, ნახო, გაიაზრო და მხოლოდ მაშინ შეიძლება თანამედროვე ხელოვნების ენაზე სრულყოფილი, თვითმყოფადი საუბარი და დღევანდელ მსოფლიო კულტურაში ღირსეული ადგილის დაკავება.

თვალსაზრისი

ყანწები ჩქარა!

მოკრძალებული შენიშვნები გერბის თაობაზედ

მიუხედავად აზრთა თითქოსდა დიდი შეხლა-შემოხლისა, რკინისებურად დარაზმულმა პარლამენტმა სულ ტაშის გრიალით მიიღო ახალი ჰიმნი. მივეჩვევით, შეგვიყვარდება.
ჰიმნის, განსაკუთრებით კი ტექსტის მოწონების მიზეზი ისიც იყო, რომ ის თანამედროვე, პოსტმოდერნისტულიც კი ყოფილა. ზუსტად საწინააღმდეგო არგუმენტებით ახალ გერბს უთუოდ დაამტკიცებს პარლამენტი და საზოგადოებაც, ალბათ, ნაკლები ვნებათაღელვით მიიღებს მას.

ლაშა ბაქრაძე

კონკურსზე წარდგენილი გერბები ნათლად ცხადყოფს ჩვენს დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნისადმი. როგორც ჩანს, ფეოდალიზმის ეპოქიდან ვერ გამოვდივართ და ჩვენი ქვეყანა ვერანაირად ვერ წარმოგვიდგენია თანამედროვე, 21-ე საუკუნის სახელმწიფოდ. განსაკუთრებით კი, გამარჯვებული გერბი გამოირჩევა თეატრალურობითა და ბუტაფორიულობით. ასეთი სახელმწიფო გვინდა?

შედარებით ახლად მიღებულ ან სოციალიზმის შემდეგ ახლიდან გამოცოცხლებულ თუ მოგონილ გერბთა შორის ასევე სიმბოლოებით და ფრინველ-ცხოველებით გადატვირთულობაში სომხეთის გერბი თუ შეგვეჯიბრება.

არ იფიქროთ, რომ ტრადიციის წინააღმდეგი ვარ. მე, უბრალოდ, კიჩი არ მიყვარს და ზღაპრულ, ფსევდო-შუა საუკუნეებში დაბრუნება. მე მომხრე ვიქნებოდი ზოგიერთი სამოხელეო სახელის აღდგენისა - მაგალითად, რატომღაც ფრანგულიდან ნასესხები "ქალაქის მერის" მაგივრად ქალაქის თავის ხმარებისა (ანეკდოტი გასახსენებლად: ჭიჭიკია გეიგე, ქალაქის საბჭოს თავმდჯომარედ, ვიღაც მერი შაშიაშვილი რომ დაუნიშნავთ?), ან რატომ უნდა დაიკარგოს ისეთი ტრადიციის მქონე სიტყვა, როგორც "მოურავი" (ულიმღამო "ქალაქის პრემიერის" ან "გამგებლის" ან "რწმუნებულის" მაგივრად).

სწორედ ტრადიციიდან გამომდინარე და, ამავე დროს, თანამედროვეობის ელემენტარული გრძნობის გამო არ მომწონს ახალი სახელმწიფო გერბი.

თავიდან დავიწყოთ: **გვირგვინი**. ორიოდე გამონაკლისის გარდა, მსოფლიოს არც ერთ რესპუბლიკას გერბზე არა აქვს თავზე დადგმული ასეთი ხაზგასმით სამეფო სიმბოლიკა. სან მარინოს მინი რესპუბლიკის გერბი ძალიან ძველია და მე-15 საუკუნიდან მოყოლებული თითქმის უცვლელად იხმარება. ასეთივე ძველი ტრადიციის მატარებელია მეფე სტეფანეს სპეციფიკური გვირგვინი დახრილი ჯვრით, რომელიც უნგრეთის გერბს ამშვენებს და რომელიც ჩვენში მომრავლებული თვითნასწავლი ჰერალდიკოსების აზრით, ალბათ, არასაკმარისად ჰერალდიკურია. ბულგარეთის ძველ-ახალ გერბზეც, რომელიც შვიდწლიანი დისკუსიის შემდეგ იქნა მიღებული, ისტორიული ივან შიშმანის გვირგვინი მოჩანს. სხვათა შორის, ბულგარეთის გერბზეც ვხედავთ ლომებს და ვკითხულობთ დევიზს "ძალა ერთობაშია".

იმ ტიპის ფსევდო-ჰერალდიკური გვირგვინი, როგორიც ამჟამად ჩვენს გერბზე ჩანს, რუსული გავლენის ნაყოფია და გიორგი XII (იგივე XIII) იმპერატორი პავლეს ნაბოძებ გვირგვინსაც უკავშირებენ ("... გვირგვინი სამეფო, ბოძებული იმპერატრიცისა ეკატერინა მეორისგან ირაკლისადმი, დაიკარგა თფილისისა გაოხრებისა დროსა სპარსთაგან. მაშინ ბრძანა იმპერატორმან პავლე უქმნან სხვა გვირგვინი..." პლატონ იოსელიანი "ცხოვრება გიორგი მეცამეტისა") და რომელიც 1930 წლამდე სახელმწიფო მუზეუმში ინახებოდა.

თუ უგვირგვინოდ საქართველოს სუვერენულობა და ტრადიცია არ გამოჩნდება, რაღა საქართველოს უკანასკნელი უბედური და უსუსური მეფის გიორგის გვირგვინს ვიღებთ და არა დავითის ან თამარისა, რომლებიც ფრესკებიდან კარგადაა ცნობილი. ნაირ-ნაირი გვირგვინის ფორმები ხომ მაინც შემოგვინახა ქართულმა მხატვრობამ.

სამწუხაროდ, თვით საქართველოს გერბს და საერთოდ გერბებს, საგვარეულო იქნება ეს თუ სამხარეო, დიდი ტრადიცია არა აქვს ან არ შემოგვინახავს. ყველაზე ძველი წყარო, რომელშიც საქართველოს გერბს ვხვდებით, რუსულია - მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის ტიტულარნიკი, 1672 წლისა.

აქ უეჭველად ქართული ტრადიციის შესაბამისად წმინდა გიორგია საქართველოს გერბზე გამოსახული, მაგრამ აქვე ვხვდებით რუსული ფანტაზიის ნაყოფს - ქართლის (ივერიის) გერბს ცეცხლოვანი მთის გამოსახულებით, რომელშიც ისრებია გადაჯვარედინებული. ეს სიმბოლო თურმე პრომეთე-ამირანს უნდა გვაგონებდეს და ახალ გერბზეც დაუტანიათ. მცირერიცხოვანი ქართული წყაროებით ეს სიმბოლო არსად დასტურდება. არც ვახტანგ VI-ის მიერ გამოცემულ წიგნებში მოთავსებულ გერბებზე (მე-18 საუკუნის პირველი მესამედი) და არც ვახუშტი ბაგრატიონის ატლასში (1735), სადაც საქართველოს ყველა მხარის დროშა-გერბებია წარმოდგენილი, მსგავს სიმბოლოს არ ვხვდებით. არადა, ვახუშტისათვის მაინც ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ფანტაზიები. შემდეგში, ქართული ჰერალდიკა სულ რუსული ფანტაზიით განვითარდა. ასე გაჩნდა, მაგალითად, რგოლზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისი. რუსებმა ის, ალბათ, ავსტრიული (ავსტრო-უნგრული) ოქროს საწმისის ორდენიდან აიღეს. ქართულ სიმბოლიკაში ის არ ჩნდება, მაგრამ არსებობს, რასაკვირველია, ბერძნული ტრადიციაც, რომელიც, თუ ეს სიმბოლო აუცილებლად გვინდა, მეტადაა გასაზიარებელი. საშიშია, რომ მომავალში რუსების მოგონილი საქალაქო და სამხარეო გერბებიც აღორძინდება და რუსული ნახევარმთვარეზე დარჭობილი ჯვრები (იყო ასეთი სიმბოლოც ერთ-ერთ საკონკურსო გერბზეც), მდინარეები, მთები ნოეს კიდობანით და სხვა ახალ ქართულ გერბებზე გამოჩნდება ქართული სიმბოლოების - ბორჯღალოების, ბოლნური ჯვრებისა ან ვახუშტისეული ირმების, ტახების, თხებისა და დათვების მაგივრად. თბილისისათვის კი ხოხობ-შევარდენს იმედია ადგილობრივი ჰერალდიკოსები არ დაგვიწუნებენ, აქაოდა რუსთ ხელმწიფეს ასეთი რამ ჩვენთვის არ დაუმტკიცებიაო.

ბულგარეთის გერბი

უნგრეთის გერბი

უკრაინის გერბი

სომხეთის გერბი

ოქროს საწმისის ორდენი

კენიის გერბი. კენიური ფარით, ლომებით და დევიზით "ერთად!"

საფრანგეთის გერბი

იტალიის გერბი

მექსიკის გერბი

(არის ხოლმე შემთხვევები, როცა რაიმე სიმბოლოს მოძებნა ადვილია, მაგრამ მაიცდამაინც ერთადერთ არასწორს ირჩევენ. სუფრაზე რა მოსატანია, მაგრამ აიღეთ მაგალითად ლუდი "არგო": ნებისმიერი ბერძნული გემი შეიძლება არგოდ გაასაღოთ, მაგრამ არის ერთი, რომელიც არავითარ შემხვევაში არგო არაა და მაინცდამაინც ისაა ჩვენ ბოთლზე გამოსახული. თუ კარგად დააკვირდებით, გემის ანძაზე კაცია თოკებით მიბმული - ეს სხვა ზღაპარია, სხვა მითიდანაა. ის ოდისევსია და არგოზე არასდროს ყოფილა.)

და ბოლოს **ფარი.** საგერბე ფარად, ჩემის აზრით, სახელმწიფო გერბისთვის არარსებული ჰერალდიკური სტანდარტების შესაბამისად ე.წ. ფრანგული ფარი აგვიღია. საქართველოში ფარები მაინც ხომ გვაქვს ჩვენებური, ყოველ შემთხვევაში არაფრანგული. თუ, შედარებისთვის, ალბათ, ბოდიში უნდა მოვიხადო, აფრიკის ქვეყნები თავიანთი განსაკუთრებული ტრადიციის ხაზგასასმელად საკუთარი ფარების გამოჩენას ბედავენ, ჩვენ დასავლეთ ევროპას ფარიც უნდა დავესესხოთ? ევროპელობა საერთო ფასეულობათა გაზიარებას, მაგრამ, ამავე დროს, ინდუვიდუალურობის და განსაკუთრებულობის პატივისცემასაც ნიშნავს.

და კიდევ - მართალია, ბაგრატიონების გერბი ლომებს უპყრიათ, მაგრამ, რადგან დღევანდელი საქართველო აუცილებლად ბაგრატიონებთან არ უნდა გავაიგივოთ, იქნებ (თუ გერბმტვირთველთა გარეშე გვეშინია გერბი თავზე არ დაგვემხოს) ერთი ლომის მაგივრად, მაგალითად, ფასკუნჯი აგვეღო, ან აგერ "რევოლუციამ ლეოპარდიც მოიზიდა საქართველოში" (ქართული პრესიდან) და ვეფხისტყაოსნის ასოციაციებიც გაჩნდებოდა. ან, იქნებ ჩოხა-ახალუხიანი ქართველი ვაჟკაცი, ხელში ყანწით ჩამოყრდნობოდა ფრანგულ ფარს. (დევიზი "მრავალჟამიერ"-იც იყო წარდგენილი კონკურსზე.) ამისი ანალოგიებიც არსებობს მსოფლიო ჰერალდიკაში. შორს რომ არ წავიდეთ, უკრაინის გერბს კოპწია კაზაკიც ამოუყენეს ცოტახნის წინათ გვერდში. არც უკრაინელებს დავიწყებიათ "უკრაინის სამეფოს" მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მისი სიმბოლო - უძველესი უკრაინული გვირგვინი.

ახალი გერბის დამჭერი ლომები თავად ვითომ ქართულ ორნამენტზე დგანან. ქვემოთ კი, ბაფთაზე დევიზი "ძალა ერთობაში" იკითხება. ამ დევიზის ვარიანტებს, გარდა ზემოთ ნახსენები ბულგარეთისა და კენიისა, სხვა სახელმწიფოთა გერბებზეც ვხვდებით, მაგალითად: ანდორის ან მალაიზიის. რადგან მე ფეოდალური გერბის პრინციპის წინააღმდეგი ვარ, არც დევიზის აუცილებლობას ვხედავ. დევიზი შეიძლება პრეზიდენტს ჰქონდეს საპრეზიდენტო შტანდარტზე და დროთა განმავლობაში იცვლებოდეს.

როცა გავერთიანდებით, მერე შეიძლება მაგ., აყვავებაზეც ვიფიქროთ. აზიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სახელმწიფო - სინგაპური, დევიზით "დაე, აყვავდეს სინგაპური!", მართლაც, აყვავდა. ქართული შესატყვისი იქნებოდა - "აყვავდი ტურფავ ქვეყანავ, ილხინე, ივერთ მხარეო!"

ვიცი, რომ საქართველოს ახალი გერბი, ფაქტობრივად, მიღებულია და მის წინააღმდეგ გამოსვლა ფუჭი წყლის ნაყვაა. იგი სახელმწიფო გერბის შესარჩევი კონკურსის პირობებსაც კი არ შეესაბამება, მაგრამ 26 მაისი კარზე მოგვდგომია და ახალი ატრიბუტიკა ოპერატიულადაა მისაღები. ახალი გერბი ეკლექტიკურია, თან იმდენად კიჩური და ბუტაფორული, რომ მას ყალბი თეატრალურობის მოყვარე ქართული საზოგადოება მოწონებითაც კი მიიღებს. მე კი იმის იმედილა მრჩება, რომ საქართველოს მესამე გერბს უკვე მოვესწარი და ღმერთი ისე არ წამახდენს, რომ კიდევ ერთ-ორ ახალ გერბს არ მაღირსოს.

სკანვორდი



TV პროგრამა

22 მაისი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": მხ. ფილმი "ვაჟიშვილი". რეჟ. ძმები დარდენები. **01.20** მხ. ფილმი "ნიშნები". მთ. რ-ში: მელ გიბსონი, ხოაკინ ფენიქსი (18).

TV5

09.25 საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" 3-5 წლის ბავშვებისთვის. გადაცემის მეორე ნაწილი განკუთვნილია 6-10 წლის ბავშვებისთვის, ხოლო მესამე ნაწილი მოუხმობს ბავშვებს 10 წლის ზევით. **12.05** თვეში ერთხელ. საინფორმაციო გამოშვება. Анализი, დებატები. **13.10** პრინც ფილიპის სამეფო ქორწილი ესპანეთში. **01.40** ექიმი სილვესტრი. მხ. ფილმი. **03.05** კანის ფესტივალი 2004.

პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე **08.15** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.15** მხ. ფილმი "პარიმს სავანე" 1-ლი ს. **14.00** სერიალი "ძვირფასი მარიანა" 1-ლი ს. **15.15** სერიალი "რვაფეხა-2" **16.20** ისტორიანი **16.55** ავტორბოლა "ფორმულა-1" **18.00** ფეხბურთი. "თბილისი" (თბილისი)- "სიონი" (ბოლნისი) **20.35** ცაიტნოტი **21.55** ფორტუნა **22.30** "საღამოს საუბრები" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" მე-6ს. **00.35** მხ. ფილმი "ლულუ სამუდამოდ" (12)

პირველი სტერეო

07.30 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **03.00** "ბრავო" "ხიდი" მთ. რ-ში საskia რივზი, დევიდ ო-ხარა.

202

10.00 დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ტრიუკების ოსტატი" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "სახლი თურქულ ქუჩაზე" (მ. იოვოვიჩი) (18) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "ძარცვა იტალიურად" (შ. ტერონი) (12) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ტვინ პიქსი" (18)

მზე

09.00 მულტფილმი "ლილო და სტიჩი" **10.00** საბ. სერიალი "დინოტოპია" **11.30** საუბრები ბიზნესის შესახებ **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** სერიალი "კოდი "კოპერნიკი" **13.30** მხ. ფილმი "ჩასაფრებული ვეფხვი, გარინდებული დრაკონი"(უ) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.00** მხ. ფილმი "ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის"(უ) **18.05** სერიალი "ეშმაკთან ცეკვა" **19.00** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.30** მზერა ჰერეთიდან **21.30** ფეხბურთი მზეზე **22.00** მხ. ფილმი "უილბლონი" (უ) **23.30** მხ. ფილმი "მერია" (ალ პაჩინო) (15)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(უგ) **21.00** მუსიკალური ოქტაგონი **22.00** მხ. ფილმი "მდიდარი რომ ვიყო" (12)

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "მილიონერთა ექსპრესი" (უ) **17.00** მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი **00.20** მხ. ფილმი

იმედი

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30** დილის ფოსტა **11.00** საკვირაო მოძღვრება **11.15, 01.20, 04.00** იმედის მელოდიები **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** არჩევანი თქვენ **15.15** მხ. ფილმი "უძილობა" **17.35** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.10** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **20.00** ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" **21.00** სერიალი "მართლმსაჯულების 18 ბორბალი" **22.00, 01.05** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი "სისხლი და ქვიშა" (შ. სტოუნი) (18) **01.30** ეროვნული საკალათ. ასოციაცია (პლეიოფი) **03.30** ტვ-მარკეტი

იბერია

08.00 ახალი ამბები **08.40** დოკ. ფილმი **09.50** კონცერტი **11.00** მულტფილმი **13.00** მხ. ფილმი "ჩემი ბრალი არ არის" **14.00** დოკ. ფილმი **15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.00** ახალი ამბები **15.15** მხ. ფილმი "ლამაზმანი და ურჩხული" **17.00** კონცერტი **20.30** ლიტ. გადაცემა - სილუეტი **22.45** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "ეშმაკი ქურდი" (15) **00.30** კონცერტი **01.00** მხ.ფილმი "ბუნკერი" (12)

ОРТ

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости **07.10** "Ералаш" **07.20** Родион Нахапетов в фильме **"ВАЛЕНТИНА"** **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря. **10.10** Здоровье **11.10** Ольга Остроумова в фильме **"А ЗОРИ ЗДЕСЬ ТИХИЕ..."** **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба". **15.20** Умницы и умники. **16.00** "ОТТЕПЕЛЬ". КОНЦЕРТ ЛАРИСЫ ДОЛИНОЙ. **17.10** Дмитрий Певцов в боевике **"ПО ПРОЗВИЩУ ЗВЕРЬ"** **18.50** Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса. **19.20** Грегори Смит в фильме **"МАЛЕНЬКИЕ СОЛДАТЫ"** **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время. **22.20** "Розыгрыш". **23.50** "ЗОЛОТОЙ ГРАММОФОН". **00.50** Николь Кидман в триллере **"ДРУГИЕ"** **02.50** Крис Такер в боевике **"МЕРТВЫЕ ПРЕЗИДЕНТЫ"**. **05.00** Дэниэл Стерн в комедии **"ЛОВУШКА ДЛЯ ТУРИСТОВ"**

НТВ

06.50 Пирс Броснан в фильме **"ЗОЛОТОЙ ГЛАЗ"**. **09.00,13.00, 17.00** Сегодня. **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.00** Кулинарный поединок: Группа "СМЭШ". **12.00** Квартирный вопрос. **13.20** "Дикий мир: тихо в лесу". Экспедиция Тимофея Баженова. **14.00** Вкусные истории. **14.05** Бубба Смит в комедии **"ПОЛИЦЕЙСКАЯ АКАДЕМИЯ-6: ОСАЖДЕННЫЙ ГОРОД"** **15.55** Криминальная Россия: доктор смерть. **17.20** "Женский взгляд". Лайма Вайкуле. **17.55** Сериал **"КАМЕНСКАЯ: НЕ МЕШАЙТЕ ПАЛАЧУ". 1**-я с. **19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад". **21.00** Красная стрела. Спецвагон. **21.15** Владимир Еремин в фильме **"БУЛЬВАРНЫЙ ПЕРЕПЛЕТ"**. **23.40** Кинен Айвори Уэйенс в боевике **"ОСОБО ОПАСНЫЙ ПРЕСТУПНИК"**. **01.45** Майкл Мэдсен в детективе **"ЖЕРТВОПРИНОШЕНИЕ"** **03.35** Двое в городе. **04.05** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой

TV5-ის პროგრამა

24 მაისი.
07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია),03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **12.05** ზიგზაგ კაფე. **13.15** არტ რეპორტაჟი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** არეულობა. მხ.ფილმი. რეჟისორი ბერტრან ვანეფანტერი. 1990. **19.20** TV5-ის სტუმარი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **01.25** აბუნა. მხ.ფილმი. რეჟისორი მაჰამა-სალე ჰარუნი. 2002. **05.20** ექიმი სილვესტრი. ოთხ კედელს შორის. მხ.ფილმი.

25 მაისი
07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.05** ფრანსუა შალე. რომანის მსგავსი ცხოვრება. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ქრონიკები მთიდან. **13.15** სარკე. მხ.ფილმი. რეჟისორი ანდრეი ტარკოვსკი. 1974. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. სამჭედლოში დაბადებული. ტოგო. 60 წელია... Nნიგერია. ბაობაბი. ბენინი. **23.05** 5 კითხვა და 5 პასუხი. რაც ჯაკმა იცოდა. დოკ. ფილმი. **03.50** ჩალა.საოცნებო ფული. ჰაიტი. დოკ. ფილმი.

26 მაისი
07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** ახალი ტალღის მუსიკოსი. რეზვანი. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** ინვენტარიზაცია. მხ.ფილმი. რეჟისორი კაროლინ უპერი. 1997. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.25** კულტურა სახელმწიფოს საქმეა. დოკ. ფილმი. **24.00** ხსოვნა. ეთიოპია. დოკ. ფილმი.

27 მაისი
07.20, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.10** ჩინეთის ზღვა დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ტელეტურიზმი. **13.15** ექიმი სილვესტრი. სატურნის ხაფანგები. მხ.ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.25** გადაცემა - აქტუალური საკითხი. **01.25** რეპეტიცია. მხ.ფილმი. რეჟისორი კატერინ კორსინი. 2001.

28 მაისი
07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **13.15** კრიმინალი. მხ.ფილმი. **17.30** ფესვები და ფრთები. პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. ორმაგი მე. **20.30** ფეხბურთი. ამხანაგური შეხვედრა: საფრანგეთი - ანდორა. **23.05** აკუსტიკა. **01.25** დისონანსი. მხ.ფილმი. რეჟისორი ჟერომ კორნუო.2003.

29 მაისი
07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.25** გადაცემა ბავშვებისათვის. **13.15** დისონანსი. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟერომ კორნუო. 2003. **21.25** კრიმინალი. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟან პირ პრევო.2003. **22.25** დ დიზაინი. იაგუარი. **04.05** დაქირავებული ბოევიკები. ერაყი. რეპორტაჟი.

30 მაისი
07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.25** გადაცემა ბავშვებისათვის. **12.05** მწვანე კვირა. **12.30** ბურლინგერის დრიურები. **13.15** მამაჩემის პორტრეტი. დოკ.ფილმი. რეჟისორი სიმონ ბრუკი. 2001. **15.05** მედიჩის ბიბლიოთეკა. **21.25** კითხვები ჩემპიონისთვის. სპეციალური გამოშვება. თემა: ფრანგული ენა.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით.
ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაპიძე, მალხაზ ჩახნაშვილი, ნათია თურნავა და სხვები.
ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამის კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები.
ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მიღებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს 8
(46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ღ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge



საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX)

მედია ინოვაციების პროგრამა

იღებს განაცხადებს გრანტებზე ეთნიკურ უმცირესობათათვის განკუთვნილი გადაცემებისთვის

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული გრანტების კონკურსი მიზნად ისახავს გრანტების გაცემას თბილისის გარეთ მდებარე, მოქმედი ლიცენზიების მქონე, მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელ, კერძო, ელექტრონულ (ტელევიზია, რადიო) საშუალებებზე.

უმცირესობათათვის გამოცხადებული კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში ტელე/რადიო გადაცემებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით. ყველა გადაცემა უნდა წარიმართოს უმცირესობათა მშობლიურ ენაზე. მოცემულ საგრანტო კონკურსში IREX შესაძლებლობას აძლევს ორ ან მეტ ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებას წარმოადგინოს ერთობლივი პროექტი.

გრანტის მაქსიმალური სიდიდე ტელე კომპანიებისათვის შეადგენს 16,000 აშშ დოლარს, ხოლო რადიო კომპანიებისათვის 8,000 აშშ დოლარს. გრანტით შესაძლოა დაფინანსდეს როგორც აღჭურვილობის შეძენა, ასევე გადაცემის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მოცემულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იმ ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებსაც მიღებული აქვთ IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამის მიერ უმცირესობათათვის განკუთვნილი გადაცემებისთვის გაცემული გრანტები, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებული უნდა ჰქონდეთ 2004 წლის 24 მაისამდე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაესწრონ "ღია კარის" დღეს IREX-ის ოფისში სამშაბათს, 1 ივნისს 15:00 საათზე.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 14 ივნისი, 17:00 საათი.

ტელ: 29 19 05

განაცხადის სრული პაკეტის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ IREX-ის გრანტების პროგრამის ხელმძღვანელს ვალერი ნანობაშვილს: vnanobashvili@irexonline.ge ან ესტუმროთ IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამის ვებ-გვერდს www.irex.ge

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.